# ლელო

№244 (12 314) **16** ოქტომბერი სამშაბათი 2007

გამოდის 1934 წლიდან

ფასი 50 თეთრი


ეროვნული ბიბლიოთეკა

17 ოქტომბერი. ეროვნული. 21:00. საქართველო-შოტლანდია

# ნაკრებში ცვლილებებია

## ლომაია სახლში, მაკარიძე კარში... კაპიტანი, შესაძლოა, კიდევ შეიცვალოს...

UEFA EURO2008 Austria-Switzerland





ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტოები

შოტლანდიასთან საშინაო თამაშისთვის, **კლაუს ტოპმიოლერის** გუნდმა გუშინ დაიწყო ვარჯიში. წვრთნა საღამოს მიხეილ მესხის სახელობის სტადიონზე გაიმართა. ვარჯიშის პერიპეტიებამდე ნაკრებში მომხდარ ცვლილებაზე ვთქვათ. გუშინ, ნაშუადღევს, ეროვნული გუნდი ტექნიკურ ცენტრ "ბასაში" შეიკრიბა. კლაუს ტოპმიოლერის გადაწყვეტილებით, მეკარე **გიორგი ლომაიას** ნაცვლად ნაკრებში ბოლნისის "სიონის" გოლკიპერი **ზვიად სტურუა** მიიწვიეს. საშოტლანდიო შემადგენლობა კი ასეთია:

**გიორგი მაკარიძე, ზვიად სტურუა, რევაზ თევდორაძე, ზურაბ ხიზანიშვილი, მალხაზ ასათიანი, გიორგი შაშიაშვილი, ილია კანდელაკი, ლაშა სალუქვაძე, ალექსანდრე კვახაძე, ლევან ცქიტიშვილი, ჯაბა კანკავა, დავით კვირკველია, ზურაბ მენთეშაშვილი, გრიგოლ დოლიძე, დავით ბოლქვაძე, ლევან ყენია, გიორგი დემეტრაძე, ლაშა ჯაკობია, დავით სირაძე, დიმიტრი ტატანაშვილი, ლევან მჭედლიძე.**

შოტლანდიასთან მზადების პირველი დღე 2



ალექს მაკლიში

მეტოქე. შოტლანდია

# სკოტები მძიმე პრობლემებით

## მაკლიში შემადგენლობას ცვლის...

შოტლანდიის ნაკრებისთვის საქართველო ფინალი არ არის, მაგრამ ამ ფინალამდე რომ მივიდეთ, თბილისში დიდი ნაბიჯი უნდა გადავდგათო - ამას ამბობდა სკოტების თავკაცი **ალექს მაკლიში** უკრაინასთან გამარჯვების შემდეგ და ცხადია, ამ განწყობითაა ახლაც. თუმცა იმ მომენტში მან არ იცოდა, რომ თბილისური მატჩისთვის ძირითადის ორ ფეხბურთელს ვერ დაიხმარდა. თუმც ის კი იცის, რომ აუცილებლად უნდა გაიმარჯვოს საქართველოში, რათა ერთი თვის შემდეგ, იტალიასთან საშინაო მატჩში, ბოლოჯერ გაისროლოს. დღევანდელ სიტუაციაში შოტლანდიამაც, იტალიამაც და საფრანგეთმაც დარჩენილი ორორი თამაში უნდა მოიგონ. ასეთია სატურნირო აუცილებლობა.

აქედან გამომდინარე, მაკლიშს ძლიერ ანუხებს ის პრობლემები, რაც თბილისური მატჩის წინ შეექმნა. უკრაინასთან შეხვედრაში ტრავმები მიიღეს "სელტიკის" ნახევარმცველმა **სკოტ ბრაუნმა** და "რეინჯერსის" მცველმა **ალან ჰატონმა**. მათი თბილისური ვოიაჟი უკრაინასთან მატჩის მეორე დღესვე გამოირიცხა. უშუალოდ თამაშის დროს კი გაირკვა, რომ ჩვენი გუნდის წინააღმდეგ ვერც **ლი მაკკალოხი** და **გარი ო'კონორი** ითამაშებდნენ. ამ შემთხვევაში, მიზეზი დისკვალიფიკაციაა. მათ ზედმეტი ყვითლები დაუგროვდათ. რაც შეეხება "სელტიკის" წყვილს, **პოლ ჰარტლისა** და **გარი კოლდუელს**, ისინი შოტლანდიას უფრო ადრე გამოაკლდნენ.

არადა, ბრაუნი და ჰატონი ბრწყინვალე სეზონს ატარებენ, მაკკალოხმა კი უკრაინას მეორე გოლი გაუტანა... დანაკლისის თაობაზე კომენტარს შოტლანდიის საფეხბურთო ასოციაციის პრესსამსახური აკეთებს: *"სამწუხაროდ, ალან ჰატონი და სკოტ ბრაუნი საქართველოსთან მატჩში ვერ ითამაშებენ. მთავარმა მწვრთნელმა ალექს მაკლიშმა მათ ნაცვლად ნაკრებში გამოიძახა გრემ მერტი და დარენ ფლეტჩერი. გუნდში სხვა ცვლილებები არ იგეგმება".*

მერტი "რედინგის" ფეხბურთელია. ნაკრებში მან ბოლოს 2006 წლის მაისში, "კირინის თასის" ოთხთა ტურნირზე ითამაშა. რაც შეეხება ფლეტჩერს, მის გამოძახებაზე მაკლიშს სერ **ალექს ფერგიუსონთან** მოუწია კონსულტაციის გამართვა. "მანჩესტერ იუნაიტედის" ნახევარმცველმა საფრანგეთთან ერთი თვის წინანდელ მატჩში ფეხის თითი მოიტეხა და მას შემდეგ ალარ უთამაშია. ფერგიუსონმა კოლეგას შეატყობინა, რომ ფლეტჩერი სრულ მზადყოფნაშია. მაკლიშისთვის ეს სერიოზული შვებაა.

*"ძალიანაც კარგი, ფანტასტიკური ინფორმაციაა. დაველოდებით და ვნახავთ, რამდენადაა შესაძლებელი ფლეტჩერის სასტარტოში დაყენება. ის დიდი მოთამაშეა. ამავე დროს, დარენი "მანჩესტერ იუნაიტედის" ნახევარმცველია და ისევე, როგორც ამ გუნდის სხვა ფეხბურთელებს, მასაც განსაკუთრებული აურა აქვს. მაგრამ სიმართლე გითხრათ, ამდენი გამარჯვების შემდეგ მსგავსი აურა უკვე შოტლანდიის ნაკრების გარშემოცაა. ჩვენი მენტალიტეტი აშკარად დადებითისკენ შეიცვალა".*


LIVE

სპორტული საინფორმაციო ცენტრი

272-272

ინფორმაცია მიმდინარე და დასრულებული შეხვედრების შესახებ

LIVE

www.kazbegi.com
გახსენი...
ყაზბეგი
ქართულ ფეხბურთს წარმოგიდგენთ კომპანია ყაზბეგი
www.pfl.ge

ეროვნული ნაკრები. 17 ოქტომბერი. საქართველო-შოტლანდია

# ლომაია თამაშგარეში

## ნაკრების კარს მაკარიძე დაიცავს



ზურაბ ხიზანიშვილი და გიორგი მაკარიძე

ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტოები

*პირველი გვერდიდან*

ᲒᲣᲨᲘᲜ გამართულ ვარჯიშში ყველა მონაწილეობდა. ერთი ეგ იყო, **ლევან ცქიტიშვილი** საზარდულმა შეაწუხა და ტოპმიოლერმაც ის შუა ვარჯიშიდან გაათავისუფლა. ჯერჯერობით არაა დაზუსტებული შეძლებს თუ არა ლევანი სქოთებთან თამაშს. ვარჯიშის ბოლოს მოედანის ნახევარზე ორკარას თამაშისას კლაუს ტოპმიოლერმა გუნდი ორად, "ლურჯებად" და "მწვანეებად" დაყო...

ᲚᲣᲠᲯᲔᲑᲘ: **მაკარიძე, სალუქვაძე, ასათიანი, ხიზანიშვილი, კვირკველია, მენთეშაშვილი, კანკავა, ყენია, დემეტრაძე, ჯაკობია.**

ᲛᲬᲕᲐᲜᲔᲔᲑᲘ: **სტურუა, შაშიაშვილი, თევდორაძე, კვახაძე, კანდელაკი, ბოლქვაძე, დოლიძე, სირაძე, ტატანაშვილი, მჭედლიძე.**

შოტლანდიასთან მატჩისთვის კლაუს ტოპმიოლერს უკვე აქვს ძირითადი შემადგენლობის მონახაზი. თუ არაფერი შეიცვალა, 17 ოქტომბრის მატჩში, **ალექს მაკლიშის** გუნდთან სასტარტოში, ზემოთნახსენები, "ლურჯების" გუნდის ათეულს ვიხილავთ, რომელსაც, თამაში თუ შეძლო, ლევან ცქიტიშვილი დაემატება.

ვარჯიში თითქმის საათნახევარს გაგრძელდა. წვრთნის დამთავრების შემდეგ ნაკრების თავკაცსა და ფეხბურთელებს გავესაუბრეთ.

უპირველესად, კლაუს ტოპმიოლერს მივმართეთ:

- თავიდანვე გეტყვით, რომ შოტლანდიასთან მატჩში ეროვნული გუნდის კარს გიორგი მაკარიძე დაიცავს. მან ეს დაიმსახურა.

**- ლევან ცქიტიშვილმა ვარჯიში ვერ ჩაამთავრა. შეძლებს შოტლანდიასთან თამაშს?**

- სამწუხაროდ, საზარდულის ტკივილმა შეაწუხა და მისი თამაში კითხვის ნიშნის ქვეშაა.

**- ოთხშაბათის მატჩში შეტევაზე გააკეთებს აქცენტთ თუ დაცვიდან ამჯობინებთ თამაშს?**

- მაქსიმალურად შევეცდებით, ჩვენი შანსები გამოვიყენოთ და 17 ოქტომბრის მატჩი სასურველი შედეგით დავასრულოთ. საერთოდ კი ოთხშაბათის მატჩები მნიშვნელოვანია, როგორც შოტლანდიისთვის, ასევე საფრანგეთისა და იტალიისთვისაც.

ᲐᲛᲘᲡ ᲨᲔᲛᲓᲔᲒ, **გიორგი დემეტრაძეს** გავესაუბრეთ:

- გენუაში განცდილი მარცხი უკვე დავივიწყეთ და შოტლანდიასთან მატჩისთვის სრულად ვართ კონცენტრირებულნი. ოთხშაბათს, დაძაბული და საინტერესო მატჩი იქნება. ძალიან გვინდა მოვიგოთ, მინიმუმ ფრე მაინც უნდა გავახერხოთ.

**- გლაზგოური მატჩის შემდეგ ითქვა, რომ შოტლანდიის შინ დამარცხება შეგვიძლია. ისევ ამ აზრზე ხარ?**

- დიახ, ისევ ამ აზრზე ვარ. ჩვენ შეგვიძლია შოტლანდიის დამარცხება.

**- შესუსტებული შემადგენლობა რომ გვყავს?**

- თუ გამართულად ვითამაშებთ და ბოლომდე ვიბრძოლებთ, გამარჯვების მიღწევა შეგვიძლია.

**ᲚᲔᲕᲐᲜ ᲛᲭᲔᲓᲚᲘᲫᲔᲗᲐᲜ** საუბარი გენუის მატჩით დავიწყეთ:

- იტალიასთან ჩემი თამაშით კმაყოფილი არ ვარ. მართალი გითხრათ, არ წამივიდა თამაში, მაგრამ იმედი მაქვს, ახლა უკეთ წარმოვჩნდები. არ ვიცი ძირითადში მომიწევს თუ შეცვლაზე, მაგრამ თუ მოედანზე გავალ, ყველანარად შევეცდები, რომ საკუთარი შესაძლებლობები სრულად წარმოვაჩინო.

ᲡᲐᲘᲜᲢᲔᲠᲔᲡᲝᲐ, რას ფიქრობს ნაკრებში მიწვეული **ზვიად სტურუა**:

- ნაკრებში გამოძახებას ნამდვილად არ ველოდი. ძალიან გახარებული და ბედნიერი ვარ. კვლავ მეძლევა ქვეყნის პირველ გუნდში დაბრუნების შანსი და ყველანაირად შევეცდები, ეს შესაძლებლობა გამოვიყენო.

**- კარგ ფორმაში ხარ?**

- ფიზიკურად და ფსიქოლოგიურად კარგად ვარ. თამაშების ნაკლებობას ნამდვილად არ განვიცდი. ეროვნულ ჩემპიონატში მოასპარეზე ფეხბურთელის კვალობაზე ნორმალურად ვგრძნობ თავს.

ᲙᲚᲐᲣᲡ ᲢᲝᲞᲛᲘᲝᲚᲔᲠᲛᲐ გუშინ საჯაროდ განაცხადა, რომ ნაკრების კარს **გიორგი მაკრიძე** დაიცავს და თბილისის "დინამოს" მეკარესაც გავესაუბრეთ.

- კარგ ფორმაში ვარ და ყველანაირად შევეცდები, მწვრთნელის იმედებს გავამართლო.

**- შოტლანდია ჯგუფის ლიდერია და ეს მომენტი ფსიქოლოგიურ პრობლემას ხომ არ გიქმნის?**

- არა, პირიქით, უფრო მეტად მოვინდომებ, რომ ჯგუფის ლიდერთან კარგად წარმოვჩნდე. შოტლანდიასთან თამაში ჩემთვის დიდი სტიმული და მოტივაციაა.

საქართველო-შოტლანდიის მატჩს გერმანელი მსაჯები მოემსახურებიან. არბიტრი **კნუტ კირხერია**, თანამსაჯები **იან-ჰენდრიკ ზალვერი** და **ტორსტენ შუფნერი**, მეოთხე მსაჯი **პეტერ ზიპელია**. მსაჯთა დამკვირვებელი ბელგიელი **გი გუტალსი** იქნება, ხოლო უეფას დელეგატი შვეიცარიელი **მიშელ პრალონგი** გახლავთ.

**დავით ცაბაძე**



გიორგი დემეტრაძე, მალხაზ ასათიანი, გიორგი შაშიაშვილი და ჯაბა კანკავა გუშინდელ ვარჯიშზე




ლევან ყენია, ზურაბ მენთეშაშვილი და დავით ბოლქვაძე

ეროვნული ბიბლიოთეკა

მეტოქე



დარენ ფლეტჩერმა, შესაძლოა ხვალ ითამაშოს

# იტალია საქართველოსთვის ლოცულობს

**ალექს მაკლიში თბილისში დიდი იმედებით ჩამოდის. ევროპის ჩემპიონატის ფინალში მოსახვედრად შოტლანდიას დარჩენილ ორ მატჩში ოთხი ქულა ჰქოფნის, ჰოდა აქედან სამის მოპოვებას ხვალ აპირებს, შემდეგ სახლში იტალიასთან გადამწყვეტი ომისთვის რომ მოემზადოს.**

## მაკლიშს ქართველების არ ეიმედება

უეფას ოფიციალური ვებ-გვერდი სქოთების მთავარი მწვრთნელის ინტერვიუს აქვეყნებს, სადაც ის ქართველებთან მომავალ შეხვედრაზე საუბრობს:

*"საქართველოს ნაკრებმა არაერთი დანაკლისი განიცადა. თუმცა ჩვენ ვნახეთ, სექტემბერში მათ უკრაინასთან როგორ ითამაშეს ლევან კობიაშვილისა და შოთა არველაძის გარეშე. ეჭვიც არაა, რომ თბილისში კეთილი მასპინძლის იმედი არ უნდა გვქონდეს. თუმცა შეგვიძლია მოგება და მჯერა, საუკეთესო თვისებებს მომავალშიც გამოვავლენთ."*

BBC სქოთების დანაკლისზე იუწყება: *"ბრაუნმა და ჰატონმა უკვე დატოვეს გუნდი. მათ უკრაინასთან ტრავმები მიიღეს. თუმცა შოტლანდიელთა მთავარ მწვრთნელს სასიამოვნო სიახლეც აქვს - ეს ნახევარმცველი დარენ ფლეტჩერია, რომელსაც "მანჩესტერ იუნაიტედში" ნაკრებში დაბრუნების უფლება მისცა.*

*"დიდია ალბათობა, რომ ფლეტჩერი ქართველებთან ითამაშებს, განსაკუთრებით თუ ტრავმირებულთა სიმრავლეს გავითვალისწინებთ,"* - განაცხადა მაკლიშმა უკრაინასთან მატჩის შემდეგ.

## ბუფონს ქართველების სჯერა

ეს ინფორმაციაც უეფას ოფიციალურ გვერდზე გამოქვეყნდა. შაბათს გენუაში მოგებული შეხვედრის შემდეგ, იტალიის ნაკრების მეკარე **ჯან ლუიჯი ბუფონმა** იმედი გამოთქვა, რომ **კლაუს ტოპმიოლერის** შეგირდები ოთხშაბათს ჯგუფის ლიდერ შოტლანდიას ომს გამოუცხადებენ.

*"იმედია, ჩვენთან წაგება ქართველებზე ცუდად არ იმოქმედებს და ისინი ლიდერებს ღირსეულ წინააღმდეგობას გაუწევენ. ვფიქრობ, ქართველებს შეუძლიათ კიდეც შოტლანდიელებს პრობლემები შეუქმნან. მათ ცუდი გუნდი არ ჰყავთ და ახლა დასაკარგიც არაფერი აქვთ. სხვათა შორის, თბილისში ბრიტანელთა ფიასკოს არ გამოვრიცხავ. მათ შესაძლოა, ჯგუფიდან გასასვლელად 26 ან 27 ქულაც არ ეყოთ. რა თქმა უნდა, თავად ვართ დამნაშავეები, სასტარტო შეხვედრები რომ ჩავაგდეთ და საქმე გავირთულეთ. თუმცა იტალიის ევროპის ჩემპიონატზე უთამაშებლობა უსამართლობა იქნება."*

ქართველთა კარში მეორე გოლის გამტანი **ფაბიო გროსოც** კავკასიელებზე დადებითად საუბრობს:

*"ისინი კარგ ფეხბურთს აჩვენებენ და ბურთს მშვენივრად აკონტროლებენ. ვფიქრობ, ქართველები შოტლანდიელებთან მატჩში დაგვეხმარებიან. ტოპმიოლერის გუნდს მათთვის ქულების წართმევა შეუძლია. მერე კი რთული იქნება გლაზგოში მოგება, მაგრამ ჩვენი გუნდის მჯერა და ევროპის ჩემპიონატზე მოხვედრის იმედს არ ვკარგავ".*

ერთადერთი იტალიელთა თავკაცი **რობერტო დონადონია** საკუთარი მოთამაშეების იმედად. *"ქართველებთან თამაშით კმაყოფილი ვარ. ვფიქრობ, თავს არც გლაზგოში შევირცხვენთ. პარალელური მატჩების შედეგები არ მაღელვებს. ჩემთვის უფრო მნიშვნელოვანი საკუთარი გუნდის თამაშია. დღეს ზუსტად ის გუნდი ვნახე, რისი ნახვის იმედიც მქონდა,"* - აღნიშნა დონადონიმ.

იტალიელები მატჩის შემდეგ ტოპმიოლერმაც დააიმედა.

*"დარწმუნებული ვარ, თქვენს დახმარებას შევძლებთ. თავიდან დარწმუნებული ვიყავი, რომ ჯგუფიდან იტალია და საფრანგეთი გავიდოდნენ. არა მგონია, ვცდებოდე. მართალია, შოტლანდია კარგად მიდის, მაგრამ დარწმუნებული ვარ, თქვენს დახმარებას მოვახერხებთ."*

"გოლის" სტატია ასე მთავრდება - კლაუს, შენ დაგვპირდი!

**მერაბ მამულაშვილი**

# ვის მოჰყავს შოტლანდია

## ყისმათიან წითურს, რომელიც კარგი ფსიქოლოგია

მიმდინარე შესარჩევში შოტლანდიის ნაკრები შუა გზაზე მიატოვა **უოლტერ სმიტმა** - შოტლანდიის ფეხბურთის ასოციაციასთან კონტრაქტი გაწყვიტა და მშობლიურ "გლაზგო რეინჯერსში" მივიდა. სმიტი "რეინჯერსის" ყოფილმა თავკაცმა **ალექს მაკლიშმა** შეცვალა, ვინაც რვაჯერ უმწვრთნელა სქოთთა ეროვნულ გუნდს და შვიდჯერ გაამარჯვებინა, ერთხელ კი იტალიასთან წააგო სტუმრად 0:2. მისი გაწვრთნილი შოტლანდია ჯგუფში, ჯერჯერობით, პირველ ადგილზეა.

წითური მაკლიში არც მანამდე იყო პატარა კაცი შოტლანდიურ ფეხბურთში. სამ მუნდიალზე ჰყავდათ წაყვანილი ნაკრებში. ჯერ 1982 წელს ესპანეთში, სადაც ერთადერთხელ ითამაშა და ისიც შეცვლაზე, ბრაზილიასთან 1:4 წაგებულ შეხვედრაში. მომდევნო მუნდიალზე მექსიკაში ის სულ სათადარიგო სკამს ათბობდა, ხოლო 1990 წელს იტალიაში ჯგუფის სამივე მატჩი სრულად ითამაშა.

მაკლიში ცენტრალური მცველი გახლდათ და ფეხბურთელობის საუკეთესო წლები "აბერდინში" გალია. ის იქ 17 წლისა მივიდა 1976 წელს და 80-იან წლებში ნაირგვარი სქოთური ტიტულების გარდა 1983 წელს ევროპის თასების მფლობელთა თასიც ასწია. მაშინ "აბერდინის" თავკაცი **ალექს ფერგიუსონი** გახლდათ.

ეროვნულ გუნდში მაკლიში 1980-93 წლებში გამოდიოდა, 77 კეპი მოიხვეჭა, გოლი კი არ გაუტანია.

მწვრთნელობას მაკლიში 1994 წლიდან შეუდგა და მყის გამოიჩინა თავი - შოტლანდიურ პრემიერლიგაში მეორე ადგილზე გაიყვანა "მოზერველი", მხოლოდ სმიტის გაწვრთნილ "რეინჯერსს" ჩამორჩა. მომდევნო ორ სეზონში კი მისი და "მოზერველის" საქმე ცუდად წავიდა, გუნდი მხოლოდ ლიგაში ადგილის შესანარჩუნებლად იბრძოდა და მაკლიშიც "მოზერველიდან" წავიდა.

მის საწვრთნელო რეპუტაციას, ცოტა არ იყოს, ჩრდილი მიადგა. უმუშევრობას პირველი დივიზიონის გუნდის გაწვრთნა არჩია და ედინბურგის "ჰიბერნიანსი" ჩაიბარა. პირველივე მაკლიშურ სეზონში ედინბურგელებმა პრემიერლიგის საგზური მოიპოვეს. აღზევებული "ჰიბერნიანსი" "რეინჯერსის" და "სელტიკის" ახლომახლო დამკვიდრდა პრემიერლიგის ცხრილში, შოტლანდიის თასის ფინალშიც კი გავიდა და მაკლიშის გარჯაც შეუმჩნეველი არ დარჩენილა.

მისით "რეინჯერსი" და ინგლისური პრემიერლიგის "ვესტ ჰემი" დაინტერესდნენ. მაკლიშმა "რეინჯერსი" არჩია, რამეთუ ამ გუნდით უფრო იოლია ტიტულების მოპოვება და გუნდის ჩემპიონთა ლიგაში გაყვანა. სხვათა შორის, "რეინჯერსიდან" წასულმა **დიკ ადვოკაატმაც** ურჩია "ჩაფრებს", ჩემს შემცვლელად მაკლიში მოიყვანეთო და ასეც მოხდა . 2001-02 წლების შუა სეზონში მაკლიში "რეინჯერსის" მენეჯერი შეიქნა. მას იქ **შოთა არველაძეც** დახვდა. მომდევნო სეზონში კი "რეინჯერსში" **ზურაბ ხიზანიშვილიც** მივიდა.

2003 წელს "რეინჯერსმა" შოტლანდიის ჩემპიონობა, თასი და ლიგის თასი მოიგო, ითამაშა ჩემპიონთა ლიგაში, რომლის ბოლო საკვალიფიკაციო ეტაპზე "ბრონდბიუს" არველაძის გადამწყვეტი გოლით მოუგო (2:1) დანიაში.

მაკლიშმა თანდათან განარიდა სასტარტო შემადგენლობას ხიზანიშვილი, არველაძეს კი ხშირად უცვლიდა პოზიციას, მარცხენა თუ მარჯვენა ნახევარმცველადაც კი ათამაშებდა. იყო შანსი, "რეინჯერსში" კიდევ ერთი ქართველი ჩარიცხულიყო. 2004 წლის თებერვალში არველაძის რეკომენდაციით აიბროქსელებთან გასინჯვაზე ჩავიდა **სანდრო იაშვილი,** ვინც მაშინ "დინამოდან" "თბილისში" იყო განათხოვრებული. მაკლიშს თვალში მოუვიდა იაშვილი, თუმცა ბრიტანეთის დასაქმების დეპარტამენტმა გამონაკლისი არ დაუშვა და სანდრო "რეინჯერსში" ვერ მოხვდა.



ალექს მაკლიში

მაკლიშის ხელში "რეინჯერსი" პირველი შოტლანდიური გუნდი შეიქნა, ჩემპიონთა ლიგის ჯგუფური ეტაპი რომ დაძლია, თუმცა იმავე, 2006 წელს "რეინჯერსმა" შოტლანდიურ ფრონტზე ვერ გაიბრწყინა და მაკლიშიც იქიდან წავიდა.

შოტლანდიის ნაკრების თავკაცად მაკლიშის დებიუტი წლეულს, 24 მარტს ჰქონდა საქართველოსთან.

არველაძე-ხიზანიშვილს არაერთხელ უთქვამთ, რომ მაკლიშს კარგად ეხერხება ფეხბურთელებთან დამეგობრება, მასთან ურთიერთობა და მათი ფსიქოლოგიურად მომართვა.

შოტლანდია-საქართველოს მატჩში გადამწყვეტი გოლი შეცვლაზე შესულმა სელტიკელმა **კრეიგ ბიტიმ** გაიტანა. იმ თამაშისთვის გლაზგოში გახლდით და მეორე დღეს სქოთურ გაზეთებში ამოვიკითხე, თუ რა უთხრა მაკლიშმა ბიტის მოედანზე შესვლის წინ: *"გადი მინდორზე და გახდი გმირი"!*

მაკლიში არ უნდა იყოს ტალანტების აღმომჩენი და გამომზრდელი მწვრთნელი, თუმცა **კენი მილერზე** მართლაც მიუძღვის ამაგი. ამ ფორვარდს მან "ჰიბერნიანსში" გაუკვალა გზა, ახლა კი მილერს "დერბი ქაუნთისა" და შოტლანდიის ნაკრებისთვის გააქვს გოლები.

**დავით თავართქილაძე**


## ფეხბურთელთა უმაღლესი მომზადება არგენტინაში,

### დიეგო მარადონას სამშობლოში

16, 17, 18, 19 წლის ასაკის ფეხბურთელების საყურადღებოდ!!!

მათ, ვისაც სურთ ჯერ აიმაღლონ ფიზიკური, ტექნიკური და ტაქტიკური დონე არგენტინაში, და შემდეგ გარკვეული პერიოდი ითამაშონ იქაური საფეხბურთო კლუბებში, მიმდინარე წლის ოქტომბრის ბოლოს გაემგზავრებიან არგენტინის დედაქალაქ ბუენოს აირესში. ფეხბურთელებს მოამზადებს წარსულში ცნობილი ფეხბურთელი და ამჟამად მწვრთნელი ედუარდო დელგადო.

მომზადების პერიოდი 6 თვიდან ერთ წლამდეა. ამ პერიოდში ფეხბურთელებს ექნებათ ამხანაგური თამაშები, რომლის დროსა მათზე მოხდება დაკვირვება. სრულყოფილი მომზადების შემდეგ, ედუარდო დელგადო ფეხბურთელებს წარადგენს არგენტინის კლუბებში, სადაც გააგრძელებენ ოფიციალურ თამაშებს.

არგენტინის მხარე მომზადების ხარჯებს არ უზრუნველყოფს. ასევე, არგენტინის ვიზების, მგზავრობის, მომზადებისა და ადგილზე ცხოვრების ხარჯები გაღებულ უნდა იქნას მსურველთა მიერ.

დაწვრილებითი ცნობებისთვის მობრძანდით არგენტინის წარმომადგენელთან მიმდინარე წლის 25 ოქტომბრამდე, მისამართზე: ლეონიძის ქ №4 (ყოფილი კიროვის ქუჩა თავისუფლების მოედანთან), ეროვნული ბანკის მოპირდაპირედ.

გასაუბრებისთვის მსურველები წინასწარ უნდა ჩაეწერონ არგენტინის წარმომადგენელთან, შემდეგ ტელეფონზე: 899 23 55 20.



დიეგო მარადონა და ედუარდო დელგადო

www.kazbegi.com

გახსენი...
ყაზბეგი
ქართულ ფეხბურთს წარმოგიდგენთ კომპანია ყაზბეგი

ეროვნული ბიბლიოთეკა

www.pfl.ge


დავით სირაძე

# რეცეპტი სირაძისგან: ტექნიკა და მეტი ტემპი

**საქართველოს ნაკრების თავდამსხმელი დავით სირაძე, მიუხედავად ნაკრების მიერ ჩაგდებული ციკლისა, 17 ოქტომბრის მატჩს იმედიანად ელოდება და თვლის, რომ მოგება შესაძლებელია. ჩვენი მცირე ინტერვიუ იტალიასთან მატჩის კომენტარით დავიწყეთ.**

- იტალია ძლიერი გუნდია და კლასით აშკარად გვაჯობა.

**- კლასით იტალია ჯგუფში, საფრანგეთის გარდა, ყველას აჯობს, მაგრამ ჩვენ ლამის უბრძოლველად მოგვიგო.**

- იოლად რომ არ მოუგიათ, ეს თავად იციან. პირველ ტაიმს სათადარიგოთა სკამიდან ვუყურებდი და ძალიან გამიკვირდა, ამბროზინისა და გატუზოს სახეზე ისეთი ოფლი სდიოდათ. მერე კი გვაჯობეს.

**- სხვა რამაა საინტერესო. ნუთუ იტალიელებთან ოდნავ მეტი აგრესიითა და შემართებით თამაში არ შეიძლებოდა?**

- ალბათ, შეიძლებოდა, მაგრამ ჩვენი მიზანი კარის დაცვა იყო და ძირითად ყურადღებას დაცვას ვუთმობდით.

**- კარგი, შოტლანდია თბილისში გამგელებული ჩამოდის. რისი იმედი უნდა ჰქონდეს ჩვენს გულშემატკივარს?**

- რისი იმედი და უნდა მოვიგოთ. იმედია, ხალხი სტადიონს შეავსებს და მთელი ძალით ვითამაშებთ. შოტლანდიელებს 2500 გულშემატკივარი მოჰყვებათო, წავიკითხე და ეს ჩვენი გულშემატკივრებისთვის ცალკე სტიმული უნდა იყოს. შოტლანდიელებს ჩვენ მოედანზე უნდა მოვუგოთ, ქართველმა გულშემატკივარმა კი - ტრიბუნაზე.

**- ძალიან იოლად თქვი, უნდა მოვიგოთო, მეტოქე ჯგუფის ლიდერია და საფრანგეთს ორივე თამაში მოუგო. ვითომ ჩვენთან გაუჭირდება?**

- იოლი ფარერებთან მოგებაც არაა. რა თქმა უნდა, მათი მოგება იოლი არ იქნება, მაგრამ ჩვენ გვინდა გულშემატკივრების გახარება, იქნებ, რეიტინგი ოდნავ მაინც გავიუმჯობესოთ. ახლა ჯგუფში ყველა ფავორიტი ჩვენს თამაშს ელის და პრესტიჟის საქმეა, ღირსეულად უნდა ვითამაშოთ.

**- შოტლანდიის ნაკრების პლუს-მინუსებზე რას იტყვი?**

- სტანდარტულებს კარგად ასრულებენ, თავით მაგრად თამაშობენ და სწრაფი ფეხბურთი უყვართ. ტიპური ბრიტანული გუნდია.

**- ასეთ სწრაფ გუნდს საქართველო ტემპში აჰყვება?**

- სხვათა შორის, თუ დააკვირდით, არც ერთ გუნდთან ტემპი არ ჩაგვიგდია. თუმცა ბოლოს ყველასთან გვიჭირს.

თამაში შოტლანდიასთანაც შეიძლება. საამისოდ ჩვენების ტექნიკის გამოყენება შეიძლება. მათ ბურთი უნდა დავუჭიროთ და ოდნავ მაღალ ტემპში ვეთამაშოთ. ასეთ შემთხვევაში, წარმატების იმედი უნდა გვქონდეს.

**მერაბ მამულაშვილი**


გოგიტა გოგუა (მარცხნივ)

# ტრავმირებულმა გოგუამ ითამაშა

**გოგიტა გოგუა**, რომელიც ნაკრებში არარსებული ტრავმის გამო არ მიიწვიეს, 14 ოქტომბერს რამენსკოეს "სატურნის" შემადგენლობაში კიევს ესტუმრა და "დინამოსთან" ამხანაგურად ითამაშა.

ქართველმა ნახევარმცველმა პირველი ტაიმი ჩაატარა, მეორე ნახევარში კი, უმთავრესად, რეზერვისტებმა ითამაშეს.

მატჩი კიევის "დინამომ" 1:0 მოიგო. გოგუამ მასპინძლები 26-ე წუთზე შეაწუხა, როდესაც კიეველთა მცველ **მარკოვიჩს** მაღალი ბურთისთვის ბრძოლა მოუგო, მაგრამ ზუსტად ვერ დაარტყა.

**მერაბ მამულაშვილი**

19-წლამდელთა ნაკრები

# ჰაინცმა შემადგენლობა დაასახელა

## პირველი მატჩი ხუთშაბათს, ჰოლანდიასთან

17-24 ოქტომბერს საქართველოში ევროპის 19-წლამდელთა ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპის ელიტრაუნდი ჩატარდება. შეგახსენებთ, ჯგუფში ჩვენი მეტოქეები ჰოლანდია, ნორვეგია და ლატვია არიან.

ჩვენი ნაკრების გერმანელმა მწვრთნელმა **ჰაინც ტოპმოილერმა** ის შემადგენლობა დაასახელა, რომელსაც ამ ტურნირზე დაეყრდნობა.

მეკარეები: 1. როინ კვასხვაძე (ზესტაფონი), 12. გიორგი მაკარიძე (დინამო).

მცველები: 2. ვახტანგ ვაჩიბერაძე (ტორპედო), 3. გიორგი ხუმარაშვილი (ზესტაფონი), 4. ჯემალ გაბუნია (ტორპედო), 5. ამირან სანაია (ლე მანი), 6. მურთაზ დაუშვილი (ზესტაფონი).

ნახევარმცველები: 7. ალექსი ბენაშვილი (ზესტაფონი), 8. თამაზ ჩარგეიშვილი (გაგრა), 10. ლევან ყენია (შალკე, გერმანია), 13. ზაქარია ბეგლარიშვილი (ოლიმპი), 14. თორნიკე თარხნიშვილი (ცხინვალი), 15. დავით თარგამაძე (ფრაიბურგი), 16. ნიკოლოზ მაისურაძე (ოლიმპიკი).

თავდამსხმელები: 9. გიორგი ივანიშვილი (ციურიხი, შვეიცარია), 11. ლევან მჭედლიძე (ემპოლი, იტალია), 17. ლევან ბლაგიძე (ვიტორია, პორტუგალია), 18. ირაკლი შეყილაძე (ბაია).

ტოპმიოლერს 19-წლამდელთა მომზადებაში ახალგაზრდული ნაკრების თავკაცი **პეტარ სეგრტიც** დაეხმარება. საქართველოში გასამართი ელიტრაუნდის განრიგი კი ასეთია:

**ლევან ჯანეზაშვილი**


ჰაინც ტოპმიოლერი

| | |
|---|---|
| **18 ოქტომბერი. რუსთავი. ფოლადი. 12:00** | **20 ოქტომბერი. თბილისი. მ. მესხი. 15:00** |
| **ნორვეგია-ლატვია** | **საქართველო-ნორვეგია** |
| არბიტრი: მ. მიკოლაევსკი (პოლონეთი) | არბიტრი: მ. მიკოლაევსკი (პოლონეთი) |
| **18 ოქტომბერი. მ. მესხი. 15:00** | **23 ოქტომბერი. რუსთავი. ფოლადი. 15:00** |
| **ჰოლანდია-საქართველო** | **ჰოლანდია-ნორვეგია** |
| არბიტრი: ი. ვადი (უნგრეთი) | არბიტრი: დ. ხარიტონაშვილი (საქართველო) |
| **20 ოქტომბერი. ბოლნისი. თ. სტეფანია. 12:00** | **23 ოქტომბერი. თბილისი. მ. მესხი. 15:00** |
| **ჰოლანდია-ლატვია** | **ლატვია-საქართველო** |
| არბიტრი: ი. ვადი (უნგრეთი) | არბიტრი: ა. სტარევი (მაკედონია) |

# მიხეილ ფოცხვერია ფეხბურთში ბრუნდება

შაბათს ლუგანსკის "ზარიის" მიერ საბჭოთა კავშირის ჩემპიონობის 35 წლისთავის ალსანიშნავად, გაიმართა მატჩი ადგილობრივ გუნდსა და დონეცკის "მეტალურგს" შორის. მეორე ტაიმში "ზარიის" რიგებში 19 წლის **ივან მატიაშის** ნაცვლად ჩვენთვის ძალიან საინტერესო ფეხბურთელი შემოვიდა - 32 წლის **მიხეილ ფოცხვერია**. 90-იან წლებში საქართველოს ნაკრების ფორვარდი "ზარიაში" ირიცხებოდა, მან ტრავმის გამო დატოვა ფეხბურთი, თუმცა ახლა დაბრუნება სურს. "ზარია" ახლა კარგ ფორვარდს ეძებს, მიხეილსაც შანსი გაუჩნდა, თუმცა დღეისათვის მას ფეხბურთში დაბრუნების როგორი შანსი აქვს, ძნელი სათქმელია.

ქართული ფეხბურთის გულშემატკივრებს ემახსოვრებათ ძალიან კარგი, ქვეყნის პატრიოტი ბიჭი უკრაინიდან, რომელმაც, მიუხედავად იმისა, რომ საქართველოში არ გაზრდილა, უარი თქვა რუსეთისა და უკრაინის ნაკრებებში თამაშზე და ისტორიული სამშობლოს მაისურა მოირგო. სამწუხაროდ, ფოცხვერიამ კარიერა, რომელსაც დონეცკის "შახტიორშიც" უთამაშია, ტრავმების გამო ძალიან ნაადრევად დაასრულა, ახლა მას ფეხბურთში დაბრუნების შანსი მიეცა.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

# არველაძემ სირბილი დაიწყო

საქართველოს ნაკრების ყოფილის ფორვარდი **შოთა არველაძე** ხუთშაბათიდან ინდივიდუალურ ვარჯიშს შეუდგა. შეგახსენებთ, რომ სექტემბერში ჩვენმა თანამემამულემ მუხლის ოპერაცია გადაიტანა და ახლა ის ვალენსიის "ლევანტეს" რიგებში ერთადერთი ტრავმამოუშუშებელი ფეხბურთელია. თავად 34 წლის ქართველ ფორვარდს დიდი პროგრესი აქვს - მან უკვე დაიწყო ვარჯიში, ჯერ მხოლოდ სირბილი. არველაძემ ბოლო ორ თვეში მუხლზე ორი ოპერაცია გადაიტანა. საბედნიეროდ, მეორე ოპერაციის შემდეგ აღდგენითი პროცესი ნორმალურად მიდის, ესპანურ კლუბში იმედოვნებენ, რომ ქართველი მალე ბურთთან ერთადაც დაიწყებს ვარჯიშს. "სევილიასთან" მატჩის წინ პრიმერას აუტსაიდერი გუნდის ახალ თავკაცს **ჯანი დე ბიაზის**, ტრავმის გამო მხოლოდ შოთა არველაძე დააკლდება.

ამასობაში შოთა არველაძემ და **ზურა ხიზანიშვილმა**, ერთ დროს შოტლანდიაში მოთამაშე ქართველმა ლეგიონერებმა, BBC-ის განუცხადეს, რომ საქართველოს ნაკრების შემდეგ უპირველესად სქოთებს უჭერენ მხარს. ხიზანიშვილმა განაცხადა, რომ თუკი საქართველოს გარდა, რომელიმე საფეხბურთო ერის წარმატება სურს, ეს შოტლანდიაა. *"საფრანგეთს და იტალიას რომ გადავხედოთ, 20-მდე უმაღლესი კლასის ფეხბურთელს აღმოვაჩენთ თითოეულ გუნდში, შოტლანდიელებს კი ასეთი მხოლოდ კაპიტანი ბარი ფერგიუსონი ჰყავთ"*. არველაძე საქართველოსთან მატჩში შოტლანდიას მიიჩნევს ფავორიტად, მაგრამ აღნიშნავს: *"ჩვენ შინ ძნელი დასამარცხებლები ვართ. ძალიან მოულოდნელი იყო ჩემთვის, როცა შოტლანდიამ ორჯერ დაამარცხა საფრანგეთი, თუმცა მათი პროგრესი მაინც არ არის დიდი სენსაცია"*.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**


შოთა არველაძე

გახსენი... ყაზბეგი
ქართულ ფეხბურთს წარმოგიდგენთ კომპანია ყაზბეგი
www.kazbegi.com
www.pfl.ge

პირველი ლიგა. VIII ტური

# მესამედი მიილია

შეცვლილი ფორმატით მიმდინარე სამწრიან პირველ ლიგაში გუშინ პირველი წრე დასრულდა. მართალია, გათამაშება პაუზის გარეშე გაგრძელდება, მაგრამ ვინაიდან მისი მესამედი მიილია, გარკვეული დასკვნების გაკეთება უკვე შეიძლება.

დავიწყოთ აღმოსავლეთის ზონით, სადაც უმაღლესი ლიგის პრეტენდენტები უცვლელები არიან - თუ რაიმე გაუთვალისწინებელი არ მოხდა, უძლიერესთა შორის აღზევებისათვის "გაგრა" და "მეშაქრე" იბრძოლებენ. მიუხედავად იმისა, რომ სტაბილურობით ვერც მუხრანელები დაიკვეხნიან და ვერც აგარელები, მათ აშკარად მეტი შანსები აქვთ. აქვე შეგახსენებთ, რომ მათი ურთიერთშეხვედრა "მეშაქრეს" გამანადგურებელი გამარჯვებით, 7:1 დასრულდა. ვნახოთ, რას შემოგვთავაზებენ შემდგომში "ოლიმპიკი", "ჩიხურა" და "კახეთი", დღემდე კი ამ გუნდებს თავი მაინცდამაინც არ გამოუჩენიათ. "ნორჩი დინამო" ზონის გამოკვეთილი აუტსაიდერია, აღმოსავლეთის გათამასების სხვა მონაწილენი კი ფარმ-კლუბები არიან.

დასავლეთში კი ორი ფავორიტი კიდევ უფრო ნათლადაა გამოხატული. პირველივე ტურებიდან ლიდერობა "მალაროელმა" იგდო ხელთ, შემდეგ ცხრილის სათავეში "მეშახტე" მოექცა, პირველი წრის ბოლო ტურში კი ჭიათურელებმა მთავარი მეტოქე ერთი ამოსუნთქვით გაანადგურეს და ლიდერობაც დაიბრუნეს. ბუნებრივია, მთავარი ბრძოლები აქაც წინაა, თუმცა ცხადია, მარტვილის "მერანისა" და მით უფრო, ქუთაისის "ტორპედოსა" და ფოთის "კოლხეთის" ჩამოწერა ჯერ ნაადრევია.

შეგახსენებთ, უმაღლეს ლიგაში გადასასვლელად მხოლოდ ზონაში გამარჯვება არ კმარა. აღმოსავლეთ და დასავლეთ ზონაში პირველ ადგილზე გასული გუნდები ერთმანეთს ფლეი ოფში შეებრძოლებიან და მათ შორის გამარჯვებული უძლიერესთა რიგებში მოხვდება, შანსი დამარცხებულსაც მიეცემა, რომელიც უმაღლესის ბოლო საგზურისთვის ზედა ლიგაში მე-11 ადგილზე გასულს ეთამაშება.

**ლევან ჯანეზაშვილი**

**აღმოსავლეთი**

| | |
|---|---|
| ოლიმპიკი-ნ. დინამო მერ. 2 | 6:1 |
| ჩიხურა-ამერი 2 | 1:0 |
| კახეთი-გაგრა | 1:1 |
| ვიტ ჯორჯია 2-მეშაქრე | 4:1 |
| დინამო 2-ოლიმპი 2 | გადაიდო |

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. გაგრა | 9 | 5 | 3 | 1 | 18:15 | 18 |
| 2. ვიტ ჯორჯია 2 | 9 | 4 | 4 | 1 | 12:4 | 16 |
| 3. მეშაქრე | 9 | 5 | 1 | 3 | 18:13 | 16 |
| 4. ამერი 2 | 9 | 4 | 2 | 3 | 16:12 | 14 |
| 5. დინამო 2 | 8 | 3 | 3 | 2 | 12:8 | 12 |
| 6. ოლიმპიკი | 9 | 3 | 3 | 3 | 13:13 | 12 |
| 7. ჩიხურა | 9 | 3 | 3 | 3 | 9:13 | 12 |
| 8. ოლიმპი 2 | 8 | 2 | 3 | 3 | 9:7 | 9 |
| 9. კახეთი | 9 | 2 | 3 | 4 | 8:14 | 9 |
| 10. ნ.დინ/მერ. 2 | 9 | 0 | 1 | 8 | 6:22 | 1 |

**დასავლეთი**

| | |
|---|---|
| სამტრედია-კოლხეთი ხ. | 2:2 |
| კოლხეთი ფ.-მერანი მარტვ. | 1:2 |
| უნივერსიტეტი ქუთ.-ფაზისი რაჭა | 2:1 |
| მალაროელი-მეშახტე | 5:2 |
| ზესტაფონი 2-ტორპედო | გადაიდო |

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. მალაროელი | 9 | 7 | 2 | 0 | 20:6 | 23 |
| 2. მეშახტე | 9 | 7 | 0 | 2 | 19:15 | 21 |
| 3. მერანი მ. | 9 | 4 | 3 | 2 | 10:6 | 15 |
| 4. ტორპედო | 8 | 3 | 3 | 2 | 13:9 | 12 |
| 5. კოლხეთი ფ. | 9 | 3 | 3 | 3 | 12:12 | 12 |
| 6. ზესტაფონი 2 | 8 | 3 | 2 | 3 | 12:7 | 11 |
| 7. უნივერსიტ. ქ. | 9 | 3 | 1 | 5 | 7:9 | 10 |
| 8. ფაზისი რაჭა | 9 | 2 | 2 | 5 | 14:16 | 8 |
| 9. კოლხეთი ხ. | 9 | 2 | 2 | 5 | 8:16 | 8 |
| 10. სამტრედია | 9 | 0 | 2 | 7 | 9:25 | 2 |

## ზაია ბარსელონაში

ზუგდიდის პირველი საჯარო სკოლის გუნდი "ზაია" ბარსელონაშია, სადაც "კოსტა ბრავიის" თასზე ასპარეზობს. პირველი ორი მატჩი ზუგდიდელებმა დანიურ გუნდებთან გამართეს - ჯერ 2:1 გაიმარჯვეს, შემდეგ კი 1:3 დამარცხდნენ. დღეს საღამოს "ზაია" შვედებს დაუპირისპირდება და მომდევნო ეტაპზე გასვლის საკითხიც იქ გადაწყდება.



შევჩენკო თვლის, რომ ბლოხინმა ნაკრებში მუშაობა უნდა გააგრძელოს

მეტოქე

# შევჩენკო ბლოხინს ემხრობა

როგორც გახსოვთ, შოტლანდიაში განცდილი მარცხის შემდეგ, უკრაინის ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა **ოლეგ ბლოხინმა** განაცხადა, რომ ახლო წარსულში მიღებულ გადაწყვეტილებას ცვლის და ევროპის ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზე ვერგასვლის მიუხედავად, თანამდებობის დატოვებას არ აპირებს.

მწვრთნელის პოზიციას **ანდრეი შევჩენკოც** იზიარებს. *"ბლოხინის დარჩენა ფეხბურთელთა აბსოლუტური უმრავლესობის სურვილია. ჯგუფში ჩარჩენა მხოლოდ მისი ბრალი არაა და თავისი წილი პასუხისმგებლობა ყველამ უნდა იკისროს. ბლოხინმა უკრაინის ნაკრებისთვის ძალიან ბევრი გააკეთა და მჯერა, ერთობლივი მუშაობით მომავალშიც მივაღწევთ წარმატებებს"*, - ამბობს შევჩენკო.

იქვე "ჩელსის" ფორვარდმა ისიც დასძინა, რომ სანაკრებო კარიერის დასრულებას არ აპირებს. ოთხშაბათს უშანსოდ დარჩენილი უკრაინელები ფარერელებს მასპინძლობენ.

**ლევან ჯანეზაშვილი**

სპარტაკი

# უკეთესი გეგმაც არსებობს

ქვეყნის საფეხბურთო ჩემპიონატის უმაღლეს ლიგაში ურიგოდ არ ჩართულა დებიუტანტი ცხინვალის „სპარტაკი", კობა ჟორჟიკაშვილის მიერ დამოძღვრილი კოლექტივი დღეისათვის სატურნირო ცხრილის შუაშია მოკალათებული და თუმცა ნელა, მაგრამ იმგვარად პროგრესირებს, რომ სავარაუდოდ დასახულ მიზანს, უმაღლეს ლიგაში დარჩენის საკითხს, დიდი გართულების გარეშე მიაღწევს. მოგეხსენებათ, „სპარტაკის" ერთგვარი წინამორბედი ორი წლის წინათ ქვეყნის ელიტურ ლიგაში მოასპარეზე ცხინვალის „ცხინვალი" გახლდათ, რომლის მთელი მაშინდელი ხელმძღვანელობაც ამჟამად რეგიონალლიგაში მოთამაშე „სპარტაკი 2-ს" უდგას სათავეში. აღსანიშნავია, რომ ძირითად გუნდთან შედარებით კიდევ უფრო უკეთესი სტარტის აღება თავის ლიგაში ამ კოლექტივმა მოახერხა. ჩატარებული ექვსი მატჩიდან გუნდმა ექვსივე მოიგო და შესაბამისად სატურნირო ცხრილს სათავეში მოექცა. მართალია ის რანგით დაბალ ლიგაში გამოდის, მაგრამ გასათვალისწინებლია მისი კონტიგენტიც. „სპარტაკი 2" მთლიანად ახალგაზრდებით, შეიძლება ითქვას, ჭაბუკებით გადის ფონს.

შესანიშნავი დასაწყისის შემდეგ „ლელო" გორში „ქართლის" სტადიონზე ბაზირებულ „სპარტაკი 2-ის" ხელმძღვანელობას ეწვია და ესაუბრა გუნდის დირექტორ ზურაბ ნასუაშვილსა და მთავარ მწვრთნელ ზურაბ მაისურაძეს.



ზურაბ მაისურაძე და ზურაბ ნასუაშვილი

### ზურაბ ნასუაშვილი:

- ცხინვალის რეგიონის დროებითი ადმინისტრაციის მეთაურმა დიმიტრი სანაკოევმა „სპარტაკის" შექმნის შემდეგ მისი ფარმკლუბის ჩამოყალიბებაც დაისახა მიზნად, რომლის შექმნა-დაკომპლექტებაც ჩვენ მოგვანდო. მოგეხსენებათ, ჩვენ ბატონ დიმიტრისთან მეგობრული ურთიერთობა ჯერ კიდევ ცხინვალში ცხოვრებისას გვქონდა. ამიტომაც საკუთარი გამოცდილება და შესაძლებლობები არ დაგვიზოგავს „სპარტაკი 2-ის" კეთილდღეობისათვის. დაგვეთანხმებით, შედეგი თავიდანვე დამაკმაყოფილებელია.

**- პირველ ლიგაში გადასვლა მიზნად სეზონის დაწყებამდე დაისახეთ, თუ ასეთი დასაწყისის შემდეგ ფიქრობთ ამაზე?**

- ჩემპიონატის დაწყებამდე ზედა ლიგაში აღზევება ნამდვილად არ დაგვიგეგმავს, თუმცა, სიმართლე გითხრათ, არც ამჟამად ვიბრძვით ამისთვის. ჩვენ ამაზე ბევრად უკეთესი გეგმა, გნებავთ, იმედი გვაქვს - მალე დავბრუნდებით ცხინვალში და იქ განვაგრძობთ ცხოვრებას. უფრო უკეთესი გეგმა ჩვენთვის არ არსებობს. რეგიონალლიგაში კი ჩვენთვის მთავარი ღირსეულად ასპარეზობაა. სხვათა შორის, მთავარ მწვრთნელ ზურაბ მაისურაძეს სეზონის წინ ჰქონდა შემოთავაზებები სხვა გუნდებიდან, მაგრამ აქ დარჩა, ჩვენ მუდამ იქ ვართ, სადაც ცხინვალი იგულისხმება.

**- „სპარტაკი 2-ის" ხელმძღვანელები, მწვრთნელები „ცხინვალში" წლების განმავლობაში მცირე ფინანსური შესაძლებლობებით გადიოდით ფონს, რა ვითარებაა ამ მხრივ ფარმკლუბში?**

- თქვენს გაზეთსაც არაერთხელ აღუნიშნავს, რომ დევნილობაში დაფუძნებულ „ცხინვალს" დიდი სიძნელეები და გაჭირვება აქვს გადატანილი, მაგრამ გავუძელით და გუნდი მაინც არ დაგვიშლია. ვინაიდან „სპარტაკი 2-ში" ნორმალური ფინანსური მდგომარეობაა, ბუნებრივია, ამ მხრივ ყველაფერი რიგიანად მიდის, რაშიც დიდ როლს თამაშობენ კლუბის პრეზიდენტი დიმიტრი სანაკოევი და ვიცე-პრეზიდენტი იგორ ხუბეჟოვი. მათი გვერდში გდომა სასიკეთოდ მოქმედებს, როგორც კლუბის ხელმძღვანელობაზე, ისე ფეხბურთელებზე.

- ბუნებრივია სეზონის დასაწყისს უარყოფითად არ შეაფასებთ, მაგრამ მაინც საინტერესოა, მთავარი მწვრთნელის აზრი „სპარტაკი 2-ის" მიერ ნათამაშები პირველი 6 ტურის შესახებ.

### ზურაბ მაისურაძე:

- შინ დავამარცხეთ „ბორჯომი", დუშეთის „არაგვი" და „ლოკომოტივი", სტუმრად „გაგრას", თამარაშენის „ლიახვსა" და „მერანს" ვძლიეთ. მიუხედავად ყველა მოგებული შეხვედრისა, უნდა აღვნიშნო, რომ მატჩები საკმაოდ დაძაბული გამოდგა. განსაკუთრებით „გაგრასა" (3:1) და „ლოკომოტივთან" (4:2) გაგვიჭირდა მოგება, თუმცა ბიჭებმა სათანადოდ იბრძოლეს და არა მხოლოდ ამ მატჩებში, ყველა შეხვედრაში ღირსეული გამარჯვებები მოიპოვეს. გუნდი გორში, „ქართლის" სტადიონზეა ბაზირებული და საშინაო თამაშებსაც აქ მართავს. შემადგენლობა მთლიანად ადგილობრივი და ცხინვალელი ფეხბურთელებითაა დაკომპლექტებული. საინტერესოა, რომ მათი დიდი ნაწილი სხვა გუნდებში დაწუნებული ფეხბურთელები არიან, მაგრამ, როგორც ხედავთ, ეს ფაქტორი სულაც არ მოქმედებს უარყოფითად „სპარტაკი 2-ის" შედეგებზე.

**ვასილ ბალახაძე**
გორიდან

CDN კავკასიის ციფრული ქსელი
CAUCASUS DIGITAL NETWORK
გთავაზობთ სატელეკომუნიკაციო მომსახურების სრულ პაკეტს:
CDN DSL ყველაზე სტაბილური ინტერნეტი;
CDN 55 ტელეფონის დადგმა;
CDN 8-66 კავშირი ყველგან და ყოველთვის;
GIGACARD ისაუბრე მეტი, გადაიხადე ნაკლები;
CDN ქსელების მონტაჟი და მომსახურება;
24 საათის განმავლობაში
უწყვეტი მომსახურება
ტექნიკური მხარდაჭერა
გარანტირებული ხარისხი
გადახდა სახლიდან გაუსვლელად
სატელეფონო საუბრების წამობრივი აღრიცხვა!
მხოლოდ ოპტიკურ-ბოჭკოვანი ტექნოლოგიები!
დარეკე, შეუკვეთე, ჩაერთე!
ირ. აბაშიძის 14
ტელ.: 550 055, 259 555
cdn@cdn.ge, www.cdn.ge

ეროვნული ბიბლიოთეკა



ჟოზე და მისი საყვარელი ელზა სოუზა

სკანდალი

# საიდუმლოებით მოცული ორი წელი ჟოზეს ცხოვრებიდან

## სანმა ჩელსის ყოფილი ბოსის ეშმაკობას ფარდა ახადა, მოურინიოს მეუღლესთან უმძიმესი საუბარი ჰქონდა...



ამ სურათზე მოურინიოს სანიმუშო მეოჯახის იერი აქვს: ჟოზე და მისი მეუღლე მატილდე

**გასულ უქმეებზე "სანმა" სენსაციური სტატია დაბეჭდა. მისი მთავარი გმირი "ჩელსის" ყოფილი ბოსი ჟოზე მოურინიოა. ინგლისურ ტაბლოიდს ხელში ჩაუვარდა უტყუარი მტკიცებულება ჟოზეს საიდუმლო სასიყვარულო კავშირების შესახებ. პორტუგალიელი მწვრთნელი ორი წელიწადის განმავლობაში ღალატობდა მეუღლეს და მის ზურგს უკან 34 წლის ლამაზმანს, ელზა სოუზას ხვდებოდა. "სანმა" რომანის პიკანტური დეტალები მოიძია.**

**ჟოზესა** და **ელზას** ვნებიანი ურთიერთობა ჰქონიათ. ისინი მთელ დღეებს სახლში, ან სასტუმროს ნომერში ატარებდნენ. მოურინიო **სტინგის** ფანია. ამიტომ სექსის დროსაც მის მუსიკას რთავდა. ამბობენ, "პორტუს" ფეხბურთელებს ელზა სოუზა მოურინიოს მეუღლე ეგონათ და დიდი ხნის შემდეგ შეიტყვეს, რომ ის საყვარელი იყოო.

"ჩელსის" ყოფილი ბოსი ელზას "პრინცესას" უწოდებდა და საჩუქრებით ანებივრებდა. ახალ სამსახურში გადასვლის წინ რჩევაც კი ჰკითხა. ისინი 2001 წელს, ლეირიაში შეხვდნენ ერთმანეთს. მათი ურთიერთობა პორტუშიც გაგრძელდა. ელზა ჟოზესთან ერთად იმ ბინაში ცხოვრობდა, რომელსაც კლუბი ქირაობდა. მოურინიო არაფერს მალავდა. გასაკვირი არ არის, რომ ელზა სოუზას მის მეუღლედ თვლიდნენ. ამ დროს ჟოზეს კანონიერი მეუღლე **მატილდე** მათ მშობლიურ ქალაქ სეტუბალში ცხოვრობდა. მოურინიოებს უკვე ორი შვილი ჰყავდათ - გოგონა **მატილდე** და ვაჟი **ჟოზე-უმცროსი** (დღეს ისინი 11 და 7 წლისანი არიან). ბავშვობის მეგობრები ჟოზე და მატილდე 1989 წელს დაქორწინდნენ.

მოურინიომ ელზა სოუზა მისსავე ტანსაცმლის მაღაზიაში გაიცნო. ურთიერთობა ადვილად აეწყო. ჟოზემ ქალბატონი სადილად დაპატიჟა. პირველი კომპლიმენტიც მაშინ უძღვნა: თქვენ ყველაზე მშვენიერი მანდილოსანი ბრძანდებით, რომელსაც ოდესმე შევხვედრივარო. მერე ჟოზემ თავი მოისაწყლა, ამ ქალაქში ახლახან გადმოვედი და თქვენს მეტს არავის ვიცნობო. ორიოდე კვირის შემდეგ ელზამ მეგობრებს უამბო, რომ ოცნების მამაკაცს შეხვდა. ჟოზე მას სასიყვარულო ბარათებს უგზავნიდა, ყველას თვალწინ კოცნიდა, ყოველთვის მასთან ერთად ვახშმობდა და ხანმოკლე შვებულებებს მონაკოში, მის გვერდით ატარებდა.

მათი საერთო მეგობარი **ლუზია პალმასი** "ბენფიკის" ყოფილი ადვოკატი და მოურინიოს ძველი ნაცნობია. ის ამბობს, რომ ჟოზე ელზას უსამართლოდ მოექცა - მასთან ერთად ცხოვრობდა და ჰპირდებოდა, რომ ყოველთვის ერთად იქნებოდნენ, მაგრამ სინამდვილეში სერიოზული გეგმები არ ჰქონიაო. ჟოზესა და ელზას კიდევ ერთი ლეირიელი მეგობარი იხსენებს: *"2001 წლის ოქტომბერში ბარში ვიჯექი და ელზას ველოდებოდი, ის კი "უნიაო ლეირიის" მთავარ მწვრთნელ ჟოზე მოურინიოსთან ერთად მოვიდა. მომეჩვენა, რომ ეს უკანასკნელი ყურებამდე იყო შეყვარებული. მთელი საღამოს განმავლობაში ელზას ხელი ხელში ეჭირა და კოცნიდა. მეორე დღეს ელზა კიდევ ვნახე. მან მითხრა, რომ ჟოზე ერთი ნახვით შეუყვარდა და რომ ისინი ერთმანეთს საიდუმლოდ ხვდებოდნენ, მაგრამ მალე ასე აღარ იქნებოდა. ელზა მოურინიოს ჯეიმს ბონდსა და შეუდარებელ საყვარელს უწოდებდა."*

ელზამ "ლეირიის" მატჩებზე სიარული დაიწყო. მას ყველგან ისე ხვდებოდნენ, როგორც მოურინიოს მეუღლეს. მოკრძალებულმა კლუბმა ისტორიაში უმაღლესი საფეხური, მეხუთე ადგილი დაიკავა. მწვრთნელმა "პორტუსა" და "ბენფიკის" ყურადღება მიიპყრო. 2002 წლის იანვარში მან "პორტუს" მიაშურა. ელზა ჟოზესთან ერთად გაემგზავრა. მოურინიომ ფეხბურთელებსა და აგენტებს თავის მეგობრად გააცნო. "პორტუს" საშინაო თამაშებისას ელზა სოუზას **კაროლინა სალგადოს** გვერდით მიაკუთვნეს ადგილი. ეს უკანასკნელი "პორტუს" პრეზიდენტ **პინტუ და კოშტას** დიდი ხნის მეგობარი და პარტნიორი იყო.

თავდაპირველად, ელზა და ჟოზე ხუთვარსკვლავიან სასტუმრო "ტივოლიში" ცხოვრობდნენ. მალე მათ კომფორტული სახლი დაუქირავეს. სასიყვარულო ურთიერთობა გაგრძელდა. "პორტუს" ერთ-ერთი ფანი იხსენებს: *"2002 წლის აპრილში მეგობარს "მანუელის რესტორანში" ვხვდებოდი. ჩვენს მეზობლად მოურინიო და ერთი ქალბატონი ისხდნენ. ვიფიქრე, რომ ის ჟოზეს ცოლი იყო. მოურინიო მას ტუჩებში კოცნიდა და ბავშვივით ეფერებოდა. შენ ჩემი პატარა ჟოზინიო ხარო, ეუბნებოდა ქალი. მოურინიო მას პატარა პრინცესას უწოდებდა."*

ელზა და ჟოზე რვა თვე ერთად ცხოვრობდნენ. ერთ მშვენიერ დღეს მოურინიოს ცოლმა დაურეკა და უთხრა, რომ ისიც პორტუში გადასვლას აპირებდა. ბავშვებს მამა ენატრებათ და უკეთესი იქნება, თუკი ერთად ვიქნებითო. მწვრთნელს ელზასთან გამომშვიდობება მოუხდა, მაგრამ მატილდეს ჩასვლამდე მონაკოში გაემგზავრნენ და საუცხოო არდადეგები მოიწყვეს. ჟოზემ საყვარელი ძვირფასი საჩუქრებით აავსო და სთხოვა, ურთიერთობა არ შეეწყვიტათ. სახლის შეძენაც კი შესთავაზა, მაგრამ ელზამ განუცხადა, მუდმივად საყვარლის როლში ყოფნას არ ვაპირებ, მე მთელი კაცი მჭირდება და არა ნახევარიო. ისინი უკანასკნელად 2003 წლის მიწურულს შეხვდნენ ერთმანეთს. ელზა ლეირიაში დაბრუნდა. მას ბიზნესში ცუდად წაუვიდა საქმე. მაღაზიაც კი გაყიდა და დღეს სხვის მაღაზიაში გამყიდველად მუშაობს. ელზა მოურინიოსთან ურთიერთობაზე წიგნის დაწერას აპირებს. ეს წიგნი მას დიდ შემოსავალს მოუტანს.

**კაროლინა სალგადო,** რომელიც ელზა სოუზასთან დიდი ხანი მეგობრობდა, მათი საუბრების დეტალებს იხსენებს. როცა მოურინიოს "ბენფიკისა" და "პორტუს" გაწვრთნა შესთავაზეს, მწვრთნელს არჩევანის გაკეთება გაუჭირდა და რჩევისთვის ელზას მიმართა. ელზამ მას "პორტუში" წასვლა ურჩია. ჟოზე დაეთანხმა და ამ კლუბს არნახული წარმატებები მოუტანა. ქალბატონი სალგადო ადასტურებს, ჟოზე და ელზა საყვარლები იყვნენო.

მატილდე მოურინიომ ქმრის სასიყვარულო ისტორიები ბრიტანული ტაბლოიდებიდან შეიტყო. ის შოკში ჩავარდა. კვირას ცოლ-ქმარს ურთიერთობა უნდა გაერკვია. "სანის" მიმომხილველმა ოჯახის ახლობლისგან შეიტყო, რომ ჟოზეს მძიმე საუბარი ელოდა. ახლახანს გამჟღავნებული ისტორია ყველასთვის მოულოდნელი აღმოჩნდა. ჟოზეს სამაგალითო მეოჯახედ მიიჩნევდნენ. ის კი თურმე ორი წელიწადის განმავლობაში თვალთმაქცობდა. სხვა ქალთან ხანგრძლივი ურთიერთობა უპატიებელი დანაშაულია.

ლივერპული. ახალი ამბები

# ბენიტესი არ ჩქარობს

## მასკერანოს მსურველები გამოუჩნდნენ, ჰაინცე ისევ რაფას სიაშია, ბაბელს კი ნაკრებში ყოფნისას უსიამოვნება შეემთხვა...

"თაიმსის" ცნობით, "ლივერპული" **ხავიერ მასკერანოსთან** ახალი კონტრაქტის გაფორმებას არ ჩქარობს. 23 წლის ფეხბურთელის გამოსასყიდად 25 მილიონი ევროა საჭირო. მასკერანოს სატრანსფერო უფლებებს ირანული წარმომავლობის ბრიტანელი ბიზნესმენი **კია ჯურაბჩიანი** ფლობს. ნახევარმცველს მერსისაიდელებთან საიჯარო კონტრაქტი აკავშირებს. ის მომავალი წლის ივნისში იწურება. რამდენიმე დღის წინათ გავრცელდა ინფორმაცია იმის თაობაზე, რომ "ლივერპული" მზად იყო, ჯურაბჩიანთან მასკერანოს ტრანსფერის დეტალები განეხილა. მაგრამ ამ ცნობას ოფიციალური გამოხმაურება არ მოჰყოლია. ლივერპულელებმა ცნობა არც დაადასტურეს და არც უარყვეს. მასკერანოთი კი, ამასობაში, რამდენიმე ევროპული გრანდი დაინტერესდა. მათ შორის არიან მადრიდის "რეალი" და "ბარსელონა". გაზეთი "მარკა" გვაუწყებს, რომ კატალონიელები არგენტინელ ვარსკვლავს სარფიან კონტრაქტს შესთავაზებენ, ამას გარდა, ჯურაბჩიანსაც მეტ თანხას მიუთვლიანო. "მირორის" ცნობით, "ლივერპული" სატრანსფერო კანონმდებლობაში მორიგ ცვლილებებს ელოდება. ამ ცვლილებებმა გარიგებებში მესამე მხარის მონაწილეობა კიდევ უფრო მკაცრად უნდა შეზღუდოს. მერსისაიდელები შეიძლება ფიქრობენ, რომ მასკერანოს უფრო ხელსაყრელ ფასად იყიდიან. ჯერჯერობით კი, ინგლისელები ფეხს ითრევენ. მათ 25 მილიონი ევროს გადახდა არ სურთ. ეს თანხა 15 მილიონი გირვანქის ტოლია.

"ლივერპულს" საიანვროდ ამბიციური გეგმები აქვს. კლუბის ხელმძღვანელობა რამდენიმე ათეული მილიონი გირვანქის დახარჯვას გეგმავს. **რაფა ბენიტესს** დაცვის გაძლიერება სურს. გუშინდელ "მირორში" ვკითხულობთ, რომ ესპანელი სპეციალისტი კიდევ ერთხელ შეეცდება არგენტინელი **გაბრიელ ჰაინცეს** ხელში ჩაგდებას. ჰაინცე მადრიდის "რეალის" საკუთრებაა. ის სამეფო კლუბში გასულ ზაფხულს "მანჩესტერ იუნაიტედიდან" გადავიდა. ჰაინცეს "ლივერპულიც" ეპატიჟებოდა. მერსისაიდელები ფეხბურთელთან შეთანხმებულნი იყვნენ, მაგრამ "იუნაიტედმა" ქვა ააგდო და თავი შეუშვირა. "მანჩესტერმა" ყველაფერი იღონა, რათა ძლიერი ფეხბურთელი მათი კონკურენტისა და დაუძინებელი მტრის ბანაკში არ გადასულიყო. საბოლოოდ ჰაინცემ ესპანეთს მიაშურა. სიმართლე ითქვას, ცოტა გაუგებარია, როგორ აპირებს ბენიტესი მის გადაბირებას. "რეალს" ჰაინცეთი უკმაყოფილება არ გამოუთქვამს და არც მისი გაყიდვის ან თუნდაც იჯარით გაშვების სურვილი გაუმჟღავნებია.

კიდევ ერთი მცველი, რომელმაც ბენიტესის ყურადღება მიიპყრო, ბილბაოს "ატლეტიკის" 23 წლის ფეხბურთელი **ფერნანდო ამორებიეტაა**. "ლივერპულის" სკაუტებმა ესპანეთში სტუმრობას მოუხშირეს. ისინი ბილბაოელთა ბოლო ორ კალენდარულ მატჩს დაესწრნენ - "ალმერიასა" და "ლევანტესთან". 22 წლის ამორებიეტეს ბასკური კონტრაქტი 2001 წელს იწურება, მაგრამ ის სიამოვნებით მიაშურებდა უფრო სახელოვან კლუბს. მოსალოდნელი ტრანსფერის ფინანსური დეტალები უცნობია.

ამასობაში, "ლივერპულის" თავდამსხმელს **რაიან ბაბელს** უსიამოვნება შეემთხვა. ის ჰოლანდიის ნაკრებში იყო გამოძახებული და გუნდს ბუქარესტშიც გაჰყვა, მაგრამ მოულოდნელად სათადარიგოთა სკამზე აღმოჩნდა. ეს ძალიან პროზაული მიზეზის გამო მოხდა. ბაბელს თამაშის წინა დღეს ჩაეძინა და სადილზე დააგვიანა. **მარკო ვან ბასტენმა** აღნიშნა, რომ ბაბელს დისციპლინასთან პრობლემები აქვს. მწვრთნელი კი მსგავს დანაშაულს არავის პატიობს. აი, მისი კომენტარი: *"რაიანი ალბათ იმედგაცრუებულია. არც მე მჩვევია მსგავსი პრობლემების ასეთი მეთოდით გადაწყვეტა, მაგრამ იმედია, მომხდარი კარგი გაკვეთილი იქნება. როცა პირველად შეკრებაზე დააგვიანა, ამის გამო ბევრი იხუმრა, როცა მეორედ დააგვიანა - მაშინაც. მესამედ დაგვიანება მეტისმეტი იყო. ის ვალდებულია, სხვა ფეხბურთელების მსგავსად წესებს დაემორჩილოს."* 20 წლის თავდამსხმელმა რუმინელთა წინააღმდეგ 78-ე წუთიდან ითამაშა. მან **არიენ რობენი** შეცვალა, მაგრამ ღირებული არაფერი შეუქმნია. ჰოლანდიამ შეხვედრა მინიმალური ანგარიშით დათმო.



რაფა ბენიტესი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნარუმატებელი ტრანსფერი

# შეიძლება, ტიაგომ იუვე დატოვოს




ტიაგო მენდეში

როგორც "იუვენტუსისა" და დორტმუნდის "ბორუსიის" ყოფილი ვარსკვლავი **პაულო სოუზა** ბრძანებს, **ტიაგო მენდეშმა** შეიძლება "ბებერი ქალბატონი" დატოვოს. 26 წლის ნახევარმცველი "ლიონიდან" დიდი ზარ-ზეიმით მოიყვანეს, მაგრამ აშკარაა, რომ გუნდთან საერთო ენა ვერ გამონახა. **კლაუდიო რანიერი**, მიუხედავად დაპირებისა, რომ ფეხბურთელს შანსს მისცემდა, ძირითად შემადგენლობასთან ახლოსაც არ აკარებს.

პაულო სოუზა კარგად იცნობს როგორც თანამემამულის შესაძლებლობებს, ასევე მის პრობლემებსაც. ამ პრობლემის არსი კი, ეტყობა, რანიერისეულ ტაქტიკურ სქემაში იმალება. *"ვფიქრობ, მას იტალიურ ფეხბურთთან შეგუება გაუჭირდა. ტიაგო თავის ნიჭს ვერ ავლენს და ეს მასზე მეტად ცუდად მოქმედებს, მომავალში კი, თუ კლუბი არ გამოიცვალა, შეიძლება, კარიერაც დაენგრეს".*

სოუზას აზრით, ტიაგოს ძალა შეტევით ოპერაციებშია. ამ დროს კი რანიერი მას დაცვითი ფუნქციების შესრულებას ავალებს, რაშიც ეს ფეხბურთელი ძლიერი ნამდვილად არ არის. ისევ პაულო სოუზას მოვუსმინოთ:

*"შეიძლება, ადრე თუ გვიან ყველაფერი გამოსწორდეს, მაგრამ ეს ძნელად სავარაუდოა. რანიერის, ჯერჯერობით, აქვს შედეგი და ის არ ფიქრობს, რომ შემადგენლობაში რაიმე ცვლილების შეტანა სჭირდება. ტიაგოს კი თავისი პრობლემა აქვს. მან უნდა დაინახოს, რომ მწვრთნელი მის ზრდას ხელს უწყობს. ამას კი ახლა ნამდვილად ვერ ვიტყვით".*

მწვრთნელი

# ჰიტცფელდი: ბაიერნის მერე შვეიცარიის ნაკრები?

## გენერალი ამბობს, რომ ბაიერნი მისი უკანასკნელი კლუბი იქნება...

"ბაიერნის" მთავარ მწვრთნელ **ოტმარ ჰიტცფელდს** მიუნხენურ კლუბთან კონტრაქტი მიმდინარე სეზონის დასრულებისთანავე უმთავრდება. ჯერჯერობით უცნობია, გააფორმებს თუ არა "გენერალი" ახალ ხელშეკრულებას. ფაქტი ის გახლავთ, რომ რეკორდმაისტერის ხელმძღვანელებს მისი შენარჩუნება სურთ, მაგრამ თვითონ 58 წლის სპეციალისტი რეგულარულად იმეორებს, რომ დიდი შანსია, მიუნხენში დარჩენა არ მოისურვოს. ჰიტცფელდმა ისიც თქვა, ახალი კონტრაქტის თაობაზე მოლაპარაკებებს მხოლოდ იანვრიდან დავიწყებო.



გენერალმა ოტმარმა სამომავლო გეგმები გაამხილა

ცნობილია, რომ მისით შვეიცარიის საფეხბურთო კავშირია დაინტერესებული. შვეიცარიელებს უნდათ, რომ ევროპის ჩემპიონატის შემდეგ, ჰიტცფელდმა მათი ეროვნული ნაკრები ჩაიბაროს და **კობი კუნის** შემცვლელი გახდეს. შესაბამისად, განცხადებამ, რომელიც ოტმარმა ორიოდ დღის წინათ გააკეთა, შვეიცარიული საფეხბურთო სამყარო ძალიან გაახარა, "ბაიერნი" კი, პირიქით, დაამწუხრა.

*"ერთი რამ ცხადია: "ბაიერნიდან" წასვლის შემდეგ სხვა კლუბს არ გავწვრთნი. ეს გამორიცხულია. თუ მიუნხენურ გუნდთან კონტრაქტს არ გავაგრძელებ, მაშინ ორი ვარიანტია: ან რომელიმე ნაკრებს გავწვრთნი, ანაც სამწვრთნელო კარიერას დავასრულებ,"* - განუცხადა ჰიტცფელდმა "ბილდ ამ ზონთაგს".

მიდის თუ არა გენერალი შვეიცარიაში? მისი თანაშემწე **მიხაელ ჰენკე** არ გამორიცხავს, რომ ოტმარმა მართლაც მიაშუროს შვეიცარიას. მისი თქმით, ჰიტცფელდი თანახმაა, შვეიცარიის საფეხბურთო კავშირთან მოლაპარაკებები გამართოს, ოღონდ მხოლოდ მას მერე, რაც "ბაიერნის" ბოსებთან ყველაფერს გაარკვევს, რადგან ჯერ რეკორდმაისტერის დატოვებაც არ გადაუწყვეტია. *"ჩემთვის უდიდესი პატივია ის, რომ ისეთი დიდი მწვრთნელი, როგორიც ოტმარ ჰიტცფელდია, შვეიცარიის მიმართ ინტერესს ავლენს,"* - აცხადებს შვეიცარიის საფეხბურთო კავშირის პრეზიდენტი **რალფ ცლოკზოვერი** გამოცემა "ბლიკისთვის" მიცემულ ინტერვიუში.

ნაპოლი

# ჩხუბი ვარჯიშის დროს

## ლავესიმაც აურია. ტემპერამენტიან ნეაპოლელ ბიჭებს ნერვების მოთოკვა სჭირდებათ




მაურიციო დომიცი

ასეთი რამ ყველგან ხდება, მაგრამ ეს არ ნიშნავს იმას, რომ მსგავს საქციელს გამართლება აქვს. "ნაპოლის" ფეხბურთელებმა, **მაურიციო დომიციმ** და **რობერტო სოსამ**, ვარჯიშის დროს იჩხუბეს. ორმხრივი თამაშის დროს, დომიცი არგენტინელს უკნიდან დაეტაკა და გაზონზე დასცა. რატომღაც, სოსამ ჩათვალა, რომ თანაგუნდელმა ეს შეგნებულად გაუკეთა და მისკენ საცემრად გაიწია. კიდევ კარგი, მეგობრებმა მალევე გააშველეს, თორემ უფრო დიდი გაწევ-გამოწევა ატყდებოდა. მოჩხუბრებმა მოასწრეს და ერთმანეთი "ტკბილი" სიტყვებით შეამკეს.

ბედად, ინციდენტს "ნაპოლის" სპორტული დირექტორი **პიერპაოლო მარინო** შეესწრო. ჩინოსნის კომენტარმა არ დააყოვნა: *"ეს ორი თავაშვებული ბავშვის საქციელს ჰგავდა. სამარცხვინო ფაქტია. აუცილებლად შევიკრიბებით და ინციდენტს მკაცრ შეფასებას მივცემთ".*

ვარჯიშის დასრულების შემდეგ, "ნაპოლის" მწვრთნელმა **ედოარდო რეიამ** ბიჭები გასახდელში შეკრიბა და ჩხუბის მონაწილენი თანაგუნდელთა თვალწინ დატუქსა. მან სპორტული დირექტორისგან რეკომენდაციაც მიიღო, რათა დომიცისა და სოსას გარკვეული სანქციები გამოუწეროს. რა თქმა უნდა, ეს შეიძლება მხოლოდ ფულადი სასჯელები იყოს, რადგან მწვრთნელს არ




რობერტო სოსა

აქვს იმის ფუფუნება, რომ ეს ბიჭები რეზერვში დასვას.

ამასწინათ, ინციდენტი "ნაპოლის" კიდევ ერთი არგენტინელ ფეხბურთელს **ესეკილ ლავესისაც** შეემთხვა. ერთ-ერთ ქუჩაზე მისი ავტომობილი მცირედით დააზიანეს. ის საჭიდან გადმოხტა და მეორე მანქანის მძღოლთან ანგარიშსწორება სცადა. მოწმეებმა ფაქტი დააფიქსირეს და ლავეცის პოლიციაში მოუხდა ახსნა-განმარტების გაკეთება.

გაურკვევლობა

# დავარწმუნებ, რომ ღირსი ვარ...

## ბიანკი იტალიაში დაბრუნებაზე ალაპარაკდა

იტალიელი ფორვარდი **როლანდო ბიანკი**, შესაძლოა, სამშობლოში დაბრუნდეს. ამაზე მინიშნებას ის თავად აკეთებს. 24 წლის ფორვარდმა სახელი "რეჯინაში" გატარებული შარშანდელი სეზონით გაითქვა. მანამდე ფართო საზოგადოებისთვის უცნობმა თავდამსხმელმა სერია A-ში სადებიუტო სეზონი 18 გოლით აღნიშნა. **სვენ გორან ერიქსონს**, რომელიც კარგად იცნობს იტალიურ ბაზარს, ეს შეუმჩნეველი არ დარჩენია და "მანჩესტერ სიტიში" დანიშვნისთანავე, ერთ-ერთ პრიორიტეტად ბიანკისთან კონტრაქტის გაფორმება დაისახა...

მაგრამ იტალიელი დღეს ძირითად დროს სკამზე ატარებს. ყველა ტურნირში ჩატარებულ ხუთ მატჩში ბიანკიმ 2 გოლი გაიტანა, რაც ნამდვილად არ არის კატასტროფული შედეგი. ბიანკი მწვრთნელისგან უყურადღებობას უჩივის. ის კომენტარს "კორიერე დელო სპორტის" ფურცლებზე აკეთებს:

*"ვეცდები, დავარწმუნო მწვრთნელი, რომ თამაშის ღირსი ვარ, და ვეცდები, ჩემზე აზრი შევაცვლევინო. მე ბერგამოდან ვარ და როგორც იქაურებს სჩვევიათ, ვარ ჯიუტი და ამავდროულად მიზანდასახულიც. ბევრი შრომა ჩემთვის ჩვეულებრივი ამბავია. მაგრამ ვხედავ, რომ ეს შრომა არ მიფასდება".*




როლანდო ბიანკი

ერიქსონმა აუხსნა ბიანკის, რომ მას უფრო სწრაფი ფორვარდი სჭირდება. ფეხბურთელი მწვრთნელის პოზიციას არ ეთანხმება. მას სწამს, რომ საკმარისი პრაქტიკისა და ნდობის შემთხვევაში, ერიქსონის მოთხოვნებს აუცილებლად დააკმაყოფილებს. როგორმე, ბიანკი დეკემბრამდე მოითმენს, მერე კი: *"დიახ, ბოლო ვადა დეკემბერი იქნება. 5-10 წუთით თამაში არ მაწყობს. თუ სიტუაცია არ შეიცვალა, სხვა შეთავაზებების განხილვას დავიწყებ. შესაძლოა, იტალიაში დავბრუნდე".*

სეზონის დაწყებამდე ბიანკის გადაბირებას "ნაპოლი" ცდილობდა, თითქოს შეთანხმებაც მიღწეული იყო, მაგრამ, როგორც მაშინ ითქვა, გარიგება ბოლო მომენტში თავად ფეხბურთელმა ჩაშალა. როგორც ჩანს, ამას ის ძალიან ნანობს: *"დღესაც ვეკითხები ჩემს თავს, თუ რა მოხდა ამ ზაფხულს ნეაპოლში. მსურს, გავიმეორო ის, რაც არაერთხელ მითქვამს - "ნაპოლისა" და მისი ფანების მიმართ ყოველთვის სიმპათიით ვიყავი განწყობილი და დღესაც ასე ვარ. ტრანსფერი ჩემი ინიციატივით არ ჩაშლილა. ინტერნეტში "ნაპოლის" ქომაგებისგან არაერთი მწარე ეპითეტიც ამოვიკითხე, მაგრამ არა მგონია, ამ სიტყვებს ვიმსახურებდე".*

### არაგონესი რაულის წინააღმდეგ

დანიის ეროვნულ გუნდთან შეხვედრამდე ერთი დღით ადრე **ლუის არაგონესმა** ესპანეთის მეექვსე არხის ყოველკვირეულ სპორტულ გადაცემაში მიიღო მონაწილეობა. "სელექსიონის" თავკაცის თავხედობამ მთელი ქვეყანა გააოგნა. ჟურნალისტმა ასაკოვან სპეციალისტს ისევ და ისევ რაულის შესახებ ჰკითხა. პასუხმა ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა: *"აღარც კი ვიცი, თავს როდის დამანებებთ. ალბათ, მაშინ, როცა "სელექსიონის" დამრიგებელი აღარ ვიქნები. განა მწვრთნელს უფლება არ აქვს, შემადგენლობა იმ ფეხბურთელებით დააკომპლექტოს, რომელსაც ყველაზე კარგად მომზადებულებად მიიჩნევს?! მიმაჩნია, რომ რაული ამ ეტაპზე სხვებს კონკურენციას ვერ უწევს. ბოლოს და ბოლოს, რომ შემჭამეთ, იქნებ მითხრათ, რამდენი მუნდიალი მოუგია "რეალის" კაპიტანს? ჩამომითვალეთ, რა ტიტულები მოუტანა მან "სელექსიონს"? ასე რომ, ძალიან გთხოვთ, მშვიდად მუშაობის საშუალება მომცეთ. ჩვენ ყველაფერს ვაკეთებთ იმისთვის, რომ ევროპის ჩემპიონატის დასკვნითი ეტაპის საგზური მოვიპოვოთ".* "დიარიო მარკას" ჟურნალისტმა **მანუელ მარტინესმა** ემოციები ვერ მოთოკა და არაგონესის განცხადების შეფასებისას დაწერა, რომ ამ კაცმა თავზე ხელი აიღო და ნამუსიც საბოლოოდ დაკარგა.

### ეტოო ლაპორტას აკრიტიკებს

სრულიად მოულოდნელად, **სამუელ ეტოომ** თავს უფლება მისცა "ბარსელონის" პრეზიდენტის წინააღმდეგ გაელაშქრა. კამერუნელი ფორვარდისთვის **ჟოან ლაპორტას** ნაკრებებისადმი დამოკიდებულება სრულიად მიუღებელია: *"ბარსას" უმაღლეს ხელისუფალს, ცხადია, დიდ პატივს ვცემ, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ მას ყველაფერში ვეთანხმები. სენიორ ლაპორტა აცხადებს, ნაკრებში გამოძახებული ფეხბურთელი ტრავმას თუ მიიღებს, საფეხბურთო ასოციაციამ ან ფედერაციამ კომპენსაცია უნდა გადაგვიხადოსო. ერთი შეხედვით, პრაგმატული მოსაზრებაა, მაგრამ უნდა გავითვალისწინოთ, რომ ღარიბი ქვეყნების საფეხბურთო ორგანოებს საამისო შესაძლებლობა არ გააჩნიათ. დავუშვათ, ნაკრებში ტრავმა მივიღე, გარწმუნებთ, კამერუნის საფეხბურთო ასოციაციას, ან თუნდაც მთავრობას ძალიან გაუჭირდება "ბარსელონის" ანგარიშზე ფულის გადარიცხვა. შესაძლოა, ბევრმა არ იცის, მაგრამ ახლა გეტყვით, კამერუნის ნაკრებში ლეგიონერები ჩვენი სახსრებით ჩავდივართ. არა მარტო თვითმფრინავის ბილეთს ვყიდულობთ, არამედ სასტუმროებში ცხოვრების ხარჯებსაც თავად ვფარავთ. მიზეზი მარტივია, ასოციაციას საამისო თანხები არ გააჩნია. ამიტომ, სენორ ჟოან ლაპორტას მოვუწოდებ, საკუთარ შეხედულებას გადახედოს და ღარიბი ფედერაციებისა, თუ ასოციაციების მდგომარეობა გაითვალისწინოს."*

### გადავა შტრაიტი შალკეში?

ფრანკფურტის "აინტრახტის" ლიდერი **ალბერტ შტრაიტი** გაურკვევლობაშია. ერთის მხრივ, 27 წლის ნახევარმცველს გელზენკირხენის "შალკე" ეპატიჟება, მან უკვე მიიღო წინადადება **ლევან კობიაშვილის** გუნდისგან. მეორემხრივ კი, ფრანკფურტულ კლუბში თავს შესანიშნავად გრძნობს. *"ცხადია, "შალკეში" გადასვლა ჩემთვის წინ გადადგმული ნაბიჯი იქნება და იმაშიც დავრწმუნდი, რომ გელზენკირხენელებს ჩემი შეძენა ძალიან უნდათ, მაგრამ "აინტრახტში" თავს კარგად ვგრძნობ. აქ სასტარტო შემადგენლობის წევრი ვარ და თამაში განაღდებული მაქვს, "შალკეში" გადასვლის შემთხვევაში კი, ძირითადში მოსახვედრად ბრძოლა მომიწევს,"* - ამბობს შტრაიტი "ფრანკფურტერ რუნდშაუსთვის" მიცემულ ინტერვიუში. "აინტრახტის" ხელმძღვანელებმა მას უკვე შესთავაზეს, ახალი, ორწლიანი ხელშეკრულება, რასაც ფეხბურთელი ძალიან კარგ წინადადებას უწოდებს, მაგრამ მაინც არ გამორიცხავს, რომ ზაფხულში გელზენკირხენს მიაშუროს...

ეროვნული ბიბლიოთეკა

ინტერვიუ ფრანც ბეკენბაუერთან

# ყველანი გაეთრიეთ აქედან!

## როგორ დაკარგა ბეკენბაუერმა წონასწორობა. კაიზერფრანცი ბლატერზე, პლატინიზე, მსოფლიო ფეხბურთსა და ბაიერნზე...



ფრანც ბეკენბაუერი

**ფრანც ბეკენბაუერი ყოველთვის საინტერესო პერსონაა. შესაბამისად, მისი ნებისმიერი ინტერვიუც მუდამ ცხოველ ინტერესს იწვევს. ამჯერად, "კაიზერფრანცს" პოპულარული ჟურნალის "უორლდ სოკერის" კორესპონდენტი გაესაუბრა...**

**- თქვენ ფიფას აღმასკომის წევრი ბრძანდებით. შეიძლება ვივარაუდოთ, რომ მომავალში ამ ორგანიზაციის პრეზიდენტი გახდებით?**

- ამაზე ჯერ არ მიფიქრია. მყავს ოჯახი და ორი პატარა შვილიშვილი, რომელთაც ყურადღება სჭირდებათ. ეს კი ბევრ დროს მართმევს. აღმასკომში კიდევ ოთხი წელი უნდა ვიმუშაო, ხოლო მერე რა იქნება, არ ვიცი. ზეპ ბლატერი ხელახლა იმიტომ აირჩიეს, რომ ღირსეული კონკურენტი არ ჰყავდა. მაგრამ ბლატერი ისედაც კარგად ართმევს თავს მოვალეობებს. ჩვენ მხოლოდ უნდა გვიხაროდეს, რომ ის კიდევ ერთი ვადით ილვაწებს ამ პოსტზე.

**- კმაყოფილი ხართ, რომ უეფას პრეზიდენტად მიშელ პლატინი აირჩიეს?**

- აბსოლუტურად. ამავე დროს, ჩვენ უნდა დავინახოთ, რომ ლენარტ იუჰანსონმა მას აყვავებული ორგანიზაცია დაუტოვა. უეფას ასეთი მყარი ფინანსური მდგომარეობა მანამდე არასოდეს ჰქონია. და ისიც ნორმალურია, რომ 80 წლის ლენარტი ახალგაზრდა და ენერგიულმა კაცმა შეცვალა. ფიფამ და უეფამ ფეხბურთისთვის ერთად უნდა ილვაწონ. იმედი მაქვს, მიშელთან აქტიური თანამშრომლობით ბევრ პრობლემას გადავწყვეტთ. მან კარგად დაიწყო და დარწმუნებული ვარ, წარმატებული პრეზიდენტი იქნება.

**- თუმცა მას მუშაობის განსხვავებული მეთოდები აქვს. თუკი იუჰანსონი ბევრს მოგზაურობდა და საზოგადოებრივი საქმეებით იყო დაკავებული, პლატინი ძირითად დროს ნიონის ოფისში ატარებს. ქაღალდებიც მნიშვნელოვანია?**

- ასეა ბლატერიც და ცუდი არ იქნება, თუ პლატინი ზეპის მუშაობის სტილს საკუთარ თავსაც მოარგებს. ისინი დიდი ხანია თანამოაზრეები არიან.

**- ძნელია, წარმოიდგინო ბეკენბაუერი ოფისის ჩინოვნიკად...**

- დიახ, ეს უბრალოდ შეუძლებელია.

**- ისევ პლატინიზე გკითხავთ. როგორ უყურებთ იმ ფაქტს, რომ ყოფილმა ფეხბურთელმა და მწვრთნელმა უეფას მთავარი პოსტი დაიკავა?**

- მიშელმა ფეხბურთში ყველაფერი იცის და ეს უდიდესი პლუსია მისი დღევანდელი საქმიანობისთვის. ის ახლა სტრუქტურულ ცვლილებებს ახორციელებს. ეს ცვლილებები კი აუცილებელია, რადგან ძალაუფლება უნდა გადავიდეს უეფას აღმასკომის ხელში, როგორც ეს ფიფაშია. რევოლუცია საჭირო არ არის. უეფა სტაბილური ორგანიზაციაა და დიდი რყევები მას მხოლოდ ზიანს მოუტანს, შესაბამისად, ფეხბურთიც იზარალებს. რაც შეეხება ჩემპიონთა ლიგას, როცა მიმდინარე ტელეკონტრაქტების ვადა ამოიწურება, დღევანდელ სისტემას აუცილებლად უნდა გადავხედოთ.

**- პირადად თქვენ წინაშე რა ამოცანები დგას?**

- ჯერ ბლატერს უნდა დაველაპარაკო და გავარკვიო, რას ფიქრობს ჩემს როლზე, უნდა განვიხილოთ ფეხბურთის განვითარების სხვადასხვა მიმართულება. ძალიან მაღელვებს აფრიკა. დედამიწაზე ღარიბი ქვეყნების მეტი რა არის, მაგრამ მთელი კონტინენტი? ზეპთან ამაზე უკვე ვისაუბრე, მაგრამ ჩვენ მხოლოდ ზედაპირულად შევეხეთ ამ საკითხს. ამ კუთხით, წინ დიდი სამუშაო გველის. ბლატერი ფიქრობს, რომ ფეხბურთი სამყაროს ვერ შეცვლის, მაგრამ მას შეუძლია, ცოტათი მაინც გააუმჯობესოს სიტუაცია. ეს არის სწორედ ჩვენი მიზანი.

**- გერმანიამ ბრწყინვალედ უმასპინძლა მუნდიალს. როგორ ფიქრობთ, შეძლებს სამხრეთი აფრიკა ამ დონის შენარჩუნებას?**

- იქ რამდენიმე გამოცდილი და კვალიფიციური ადამიანი მუშაობს. მაგალითად, დენი ჯორდანი, ირვინ ჰოსა, მოლეფი ოლიფანტი... მათაც ფიფაში მოღვაწეობის გამოცდილებაც აქვთ. შემიძლია გითხრათ, რომ ჩვენგან მათ მხარდაჭერა გარანტირებული აქვთ. თუმცა მგონია, რომ ზოგადად მომავალი მუნდიალი წინას ვერ დაემსგავსება...

**- ალბათ, აფრიკელებს გამოცდილებას გაუზიარებთ...**

- დიახ, ამას ჰორსტ შმიდტი გააკეთებს. ის გერმანული მუნდიალის საორგანიზაციო კომიტეტის ვიცე-პრეზიდენტი იყო და მოვალეობას თავი ბრწყინვალედ გაართვა. ის ამ სფეროში უკვე 30 წელია მუშაობს და ყველაფერში ზედმიწევნით კარგად ერკვევა. ნოემბრიდან, შმიდტი სამხრეთ აფრიკაში თვეში ორ კვირას დაყოფს.

**- როგორ იმოქმედა მსოფლიო ჩემპიონატმა გერმანული ფეხბურთის იმიჯზე?**

- ეფექტურად იმოქმედა და არა მხოლოდ ფეხბურთზე, არამედ მთლიანად ქვეყანაზეც. მოქალაქეებს სიამაყის გრძნობა დაუბრუნდათ და ეს არ არის პატარა საქმე. დავამატოთ ამას ისიც, რომ მუნდიალის ფაქტორმა უშუალოდ ეკონომიკასაც დაატყო ხელი. ჩვენი ბიზნესმენები ახლა უფრო მეტად ენდობიან სახელმწიფოს და აქტიურად აბანდებენ ფულს სხვადასხვა სფეროში, შემცირდა უმუშევრობაც. საერთოდ, გერმანიის მიმართ მთელი მსოფლიოს დამოკიდებულებაც შეიცვალა.

**- შეიძლება ითქვას, რომ გერმანიის ნაკრებმა მსოფლიო ჩემპიონატზე წარმატებით იასპარეზა. მაგრამ რატომღაც, ბუნდესლიგის კლუბები ევროტურნირებზე ვერ ბრწყინავენ. რით ახსნით ამას?**

- დიახ, გერმანიის ნაკრებმა მართლაც კარგად ითამაშა, თუმცა უნდა ვაღიარო, რომ ამაში გადამწყვეტი როლი საკუთარი მოედნის ფაქტორმა შეასრულა. საქმე ისაა, რომ ბუნდესგუნდში ლეგიონერები ძალიან ცოტანი არიან. 1990 წელს, როცა იტალიაში მსოფლიო ჩემპიონატი მოვიგეთ, ისტორიაში ერთ-ერთი ყველაზე ძლიერი გუნდი გვყავდა. მაშინდელ გუნდში ექვსი თუ შვიდი ლეგიონერი გვყავდა. მიხვდით, რისი თქმაც მსურს?

**- ინგლისურ კლუბებს უცხოელი მილიარდერები ყიდულობენ. შეიძლება, ბუნდესლიგაშიც ანალოგიური რამ მოხდეს?**

- თუ ვინმე, რომან აბრამოვიჩის ან ჯორჯ ჯილეტის მსგავსი ფიგურა, მოვა "ბაიერნის" ოფისში და გვეტყვის, რომ კლუბში დიდძალი ფულის ჩადება სურს, რატომაც არა? მეტიც, ჩვენ ველოდებით ამგვარ წინადადებებს და მოლაპარაკებებისთვისაც მზად ვართ.

**- ასეთ შემთხვევაში, შეინარჩუნებს ბეკენბაუერი საკონტროლო პაკეტს?**

- დიახ. გერმანული კანონების თანახმად, კლუბს მხოლოდ 49 პროცენტის გაყიდვა შეუძლია. ჩვენთან 10 პროცენტს დიდი ხანია "ადიდასი" ფლობს.

**- როგორ ფიქრობთ, აზრი აქვს ამ ლიმიტის შენარჩუნებას?**

- სიმართლე გითხრათ, არ ვიცი. ჯერ არც ერთ კომპანიას არ მოუმართავს მსგავსი წინადადებით და არც მიფიქრია, რა და როგორ შეიძლება მოხდეს. კლუბის გაყიდვა დელიკატური საკითხია. წარმოიდგინეთ, ერთ დღესაც აბრამოვიჩს "ჩელსი" რომ მობეზრდეს, კლუბი უმალ სამოთხიდან ჯოჯოხეთში ამოჩნდება.

**- ამასწინათ, პლატინიმ განაცხადა, რომ ჩემპიონთა ლიგის რეფორმის შედეგად, ინგლისის, ესპანეთისა და იტალიის წარმომადგენლობა სამ-სამ გუნდამდე შემცირდება. მისი აზრით, ამგვარი რეფორმა შედარებით სუსტ ჩემპიონატებს წაახალისებს...**

- მე კი მგონია, რომ გაცილებით ბევრი რამ შეიცვლება. ამ მომენტისთვის ოთხ-ოთხი კლუბი მხოლოდ სამ ქვეყანას ჰყავს. პრობლემა სხვა რამეშია. ეს მაინც არ არის ჩემპიონი კლუბების ტურნირი, როგორც მას უწოდებენ, ეს გახლავთ ევროპის უძლიერესი კლუბების შეჯიბრება.

**- შესაძლოა, რომ დიდმა კლუბებმა თავიანთი ლიგა ჩამოაყალიბონ?**

- არა მგონია, ეს მოხდეს. ჯერჯერობით, ჩემპიონთა ლიგაში საქმეები იდეალურად მიდის.

**- ფეხბურთის წესებში ცვლილებების შეტანის აუცილებლობას ხომ არ ხედავთ? ისე, რას იტყოდით მსაჯების დასახმარებლად ტექნოლოგიების დანერგვაზე?**

- არ დაგავიწყდეთ, რომ არბიტრებიც ადამიანები არიან და ისინიც ცდებიან. რაც შეეხება ტექნოლოგიებს, წარმოიდგინეთ, ყველა სათამაშო ეპიზოდი რომ გავარჩიოთ, ფეხბურთისთვის დრო აღარ დარჩება. შევთანხმდეთ, რომ შეცდომები ჩვენი ცხოვრების ნაწილია.

**- მთავარი მსაჯის ოთხ ასისტენტზე რას იტყოდით?**

- ეს კი შეიძლება ვცადოთ. მაგრამ ესეც ფაქიზ მიდგომას მოითხოვს. თითოეული წინადადება და გადაწყვეტილება კარგად უნდა ავწონ-დავწონოთ. ფეხბურთი, ესაა თამაში, რომელსაც მარტივი წესები აქვს და მისი გართულება საჭირო არ არის.

**- რას ფიქრობთ ბლატერის წინადადებაზე, რომელიც ევროკავშირის ქვეყნების ლეგიონერებზე ლიმიტის შემოღებას ითვალისწინებს?**

- მიკვირს, რომ ამ პრობლემაზე აქამდე არავის უფიქრია. "ბაიერნსა" და სხვა გრანდებში ლეგიონერთა რიცხვი მეტისმეტად დიდია. მაგრამ როცა გუნდი იმარჯვებს, მერწმუნეთ, გულშემატკივრებისთვის სულერთია, ეს ათმა ბრაზილიელმა გააკეთა თუ ამდენივე გერმანელმა. მიმაჩნია, რომ ხუთი უცხოელი ოპტიმალური რაოდენობაა. ამით ახალგაზრდა ფეხბურთელები და ეროვნული გუნდები მოიგებენ.

**- გასულ სეზონში ყველაზე მეტად რომელმა ფეხბურთელმა მოგხიბლათ?**

- "ბაიერნთან" და "მანჩესტერ იუნაიტედთან" კაკა უბრალოდ შეუდარებელი იყო. მომეწონა ზეედორფიც, დავასახელებდი გატუზოსაც... მოედანზე ასეთი ფეხბურთელის ყოფნა გუნდისთვის მეტად მნიშვნელოვანია. აღარაფერს ვიტყვი რონალდინიოზე... მაგრამ კაკა მაინც პირველია, ჩემი აზრით...

**- პირველად, ბოლო ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში, "ბაიერნი" ჩემპიონთა ლიგაში არ თამაშობს. როგორ აისახება ეს ფაქტი მიუნხენურ კლუბზე?**

- ეს ნამდვილი კატასტროფაა. ჩვენ გაცილებით ბევრი დავკარგეთ, ვიდრე გარედან ჩანს. გასული სეზონის ბოლოს გამოჩნდა, რომ იმ გუნდს მომავალი არ ჰქონდა და ყველაფერი რადიკალურად უნდა შეგვეცვალა. როცა აპრილში "შტუტგარტთან" წავაგეთ, წონასწორობა დავკარგე. ამით ჩემპიონთა ლიგაში მოხვედრის უკანასკნელი შანსი გავუშვით ხელიდან. გასახდელში ვიყვირე - ყველანი გაეთრიეთ აქედან-მეთქი! საჭირო მოთამაშეები აუცილებლად უნდა შეგვენარჩუნებინა, დანარჩენები კი გაგვეყარა. ეს სწორი ნაბიჯი იყო და ახლა მტკიცდება კიდეც.

მოსაზრება

## ბეკენბაუერი გერმანიის დღევანდელ გუნდზე

გერმანიის ნაკრები პირველი გუნდი გახდა, ვინაც შესარჩევი ტურნირი წარმატებით დაძლია და ვადაზე ადრე გაინაღდა ავსტრია/შვეიცარიის სტადიონებზე გამოსვლის უფლება. ბეკენბაუერმა თანამემამულეთა წარმატება ასე შეაფასა:

**- თამამად შემიძლია ვთქვა, რომ დღესდღეობით გერმანიის ნაკრები ევროპაში ყველაზე ძლიერია. მათ შეინარჩუნეს და განავითარეს ის დონე, რაც მსოფლიო ჩემპიონატზე აჩვენეს. და ეს მაშინ, როცა სხვა გრანდებს - იტალიას, საფრანგეთსა და ინგლისს, ევროპის პირველობის ფინალურ ეტაპზე მოხვედრაც კი სათუოდ აქვთ. გერმანიამ დიდი ნაბიჯი გადადგა წინ და დარწმუნებული ვარ, ევროპის ჩემპიონატის მოგებაც შეუძლია. ლიოვი? კარგი იქნება, თუ გრძელვადიან კონტრაქტს გააფორმებს, რადგან დღევანდელ სიტუაციაში მასზე უკეთესი არავინ მეგულება, იმ სისტემითა და კვალიფიციურ ასისტენტთა ჯგუფით, რაც მან ჩამოაყალიბა.**

### ჟილბერტო ვალენსიაში 7 მილიონად?

"ვალენსიას" განზრახული აქვს, იანვრის ტრანსფერებისას **ჟილბერტო სილვა** შეიძინოს. ბრაზილიელი ნახევარმცველი "არსენალის" კაპიტანია, მაგრამ ბოლო დროს ძირითად შემადგენლობაში ველარ ხვდება. **არსენ ვენგერი** მას ახალგაზრდა საყრდენ ნახევარმცველებს ამჯობინებს. ჟილბერტო ამ მალავს, თუ მდგომარეობა არ შეიცვლება, სხვა სამსახურს მიავაშურებო. ესპანური სააგენტოების ცნობით, "ღამურები" 7 მილიონ გირვანქას ამზადებენ. მოსალოდნელ ტრანსფერთან დაკავშირებით კომენტარები არ გაკეთებულა.

### უსმანოვი მკვდარი აქციონერების იმედად

რუსი მილიარდერი **ალიშერ უსმანოვი** "არსენალის" დაუფლების იმედს არ კარგავს. "სანის" ცნობით, მიზნის მისაღწევად ის არცთუ ტრივიალურ მეთოდს ირჩევს. უსმანოვმა "არსენალის" გარდაცვლილი აქციონერების ქალალდებს დაადგა თვალი. მისი ჩანაფიქრი ასეთია: გარდაცვლილთა ოჯახის წევრები არ იქნებიან კლუბის ისეთივე ერთგული ფანები და სარფიანი წინადადების შემთხვევაში, გარიგებაზეც იოლად წამოვლენ. ამგვარად უსმანოვს საშუალება ეძლევა, კლუბის კიდევ 1 პროცენტს დაეუფლოს და საკუთარი წილი 24 პროცენტამდე გაზარდოს. 25 პროცენტამდე ერთ ნაბიჯიღა დარჩება. 25 პროცენტიანი წილი კი იმას ნიშნავს, რომ მისი მფლობელი კლუბის დირექტორატში საკუთარ წარმომადგენელს შეიყვანს, თანაც ვეტოს უფლებით. ამის შემდეგ "არსენალის" სხვა აქციონერს მოუწევთ, თითოეული გადაწყვეტილება რუს ოლიგარქთან შეათანხმონ. "მეთოფეთა" ერთი აქცია 15 ათასი გირვანქა ღირს.

### მარიო გომესი იუვეში?

"იუვენტუსმა" კიდევ ერთხელ დაადასტურა, რომ შტუტგარტელი თავდამსხმელის, **მარიო გომესის** შეძენა სურს. კვლავ ღიადაა **დავიდ ტრეზეგესთან** ახალი კონტრაქტის გაფორმების საკითხი. იტალიელი მიმომხილველები არ გამორიცხავენ, ფრანგმა გოლეადორმა ტურინი დატოვოს. ასეთ შემთხვევაში, "ბებერ ქალბატონს" მისი კვალიფიციური შემცვლელი დასჭირდება. ახალგაზრდა გერმანელი "იუვეს" მოთხოვნებს სრულად აკმაყოფილებს. "კორიერე დელო სპორტის" ცნობით, ტურინელები "შტუტგარტთან" შეთანხმებას იანვრის ტრანსფერებისას შეეცდებიან. "იუვეს" გარდა, გომესის შეძენა "ფიორენტინასაც" სურს.

### ლივერპულური დერბი ტორესის გარეშე?

**ფერნანდო ტორესს** ლივერპულური დერბის გამოტოვება ემუქრება. მან ესპანელთა სანაკრებო შეკრებისას ერთ-ერთ ვარჯიშზე ბარძაყის კუნთი დაიჭიმა. "ელ ნინიომ" დანიელთა წინააღმდეგ ვერ ითამაშა, თუმცა "სელექსიონმა" მის გარეშეც იოლად გაიმარჯვა (3:1). ტრავმის მიუხედავად, ტორესი ნაკრებში დარჩა. მათ მეგობრებს ტრიბუნიდან უქომაგა. შემდეგ გუნდთან ერთად ფინეთში გაემგზავრა, იქიდან კი ლონდონში ჩაფრინდა. მომავალ შაბათს "ლივერპული" "ევერტონის" სტუმარია. ექიმები რამდენიმე დღეში გადაწყვეტენ, შეძლებს თუ არა ის მინდორზე გასვლას.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბარსელონა. ახალი ამბები

# ფაბრეგასის აგენტმა ბარსას კარი გაუღო

## ლაპორტა სეპარატისტულ გამოხდომებს არ წყვეტს. ამასობაში, კი ეტოო და ედმილსონი ვარჯიშის განახლებისთვის ემზადებიან


კატალონიურ გრანდს ფრანსესკ ფაბრეგასის ხელში ჩაგდება უნდა

ორი დღის წინათ "ბარსელონის" გენერალურმა დირექტორმა, **ჩიკი ბეგირისტაინმა სესკ ფაბრიგასის** გადაბირების სურვილი გამოხატა. ამ ინფორმაციამ დიდი გამოხმაურება ჰპოვა, რადგან ცნობილი იყო, რომ "არსენალის" ნახევარმცველს ძალიან დიდი ხნის განმავლობაში მადრიდის "რეალი" ეპატიჟებოდა. თითქოს, თავად სესკსაც სამეფო კლუბში სურდა კარიერის გაგრძელება, მაგრამ ბოლო დროს განვითარებული მოვლენებით ცხადი ხდება, რომ სიტუაცია მნიშვნელოვნად შეიცვალა. ვითარებაში გარკვევის მიზნით, "დიარიო სპორტის" კორესპონდენტი ფაბრეგასის მენეჯერს, **ხოსება დიასს** დაუკავშირდა და შემდეგი რამ შეიტყო: *"ბარსელონის" დაინტერესების შესახებ გაზეთებში წავიკითხე. პროფესიიდან გამომდინარე, რა თქმა უნდა, უმალ ჩემ კლიენტს დავუკავშირდი, მაგრამ მან ამ საკითხზე საუბარი არ ისურვა. მიზეზი სანაკრებო შეკრებაა. არც მიკვირს. სესკი პროფესიონალია და ასეთი პრინციპული დაპირისპირების წინ სხვა საკითხებით თავის გამოტენვა არ სურს. მაგრამ, მე, როგორც მისი მენეჯერი, სიტუაციას საკმაოდ კარგად ვფლობ. ვიცი, ჩემი კლიენტის მისწრაფებების შესახებ. ფაბრეგასს პლანეტის ყველაზე ძლიერ კლუბში თამაში სურს. ასეთად კი, მე პირადად, სწორედ "ბარსელონას" მივიჩნევ. სასიამოვნოა, რომ კატალონიელებს თანამშრომლობის სურვილი გაუჩნდათ. მართალია, კლიენტთან საფუძვლიანად არ მისაუბრია, მაგრამ თავს უფლებას მივცემ, განვაცხადო, რომ "ბარსელონას" კარს ვუღებ, თუ საჭიროდ მიიჩნევენ, "კამპ ნოუს" ოფისშიც მივალ და მოლაპარაკებებს დავიწყებ".*

ფაბრეგასის გადაბირების შემთხვევაში, "ბარსელონას" შუა ხაზში საჭიროზე მეტი ფეხბურთელი ეყოლება. სპეციალისტები დაინტერესდნენ, "არსენალის" ვარსკვლავი კატალონიურ გრანდში ვის ხარჯზე უნდა ჩაირიცხოს. მოარული ხმების თანახმად, ამ ტრანსფერის განხორციელება **ჩავის** სხვა გუნდში გადასვლას აიძულებს. **ანდრეს ინიესტას** კვალიფიკაცია და ნიჭი მინიმალურ ეჭვსაც არ იწვევს. აი, ჩავიზე კი ფიქრობენ, რომ ის კრიტიკულ ასაკს მიუახლოვდა და უპრიანი იქნება, დროულად გაყიდონ. წინააღმდეგ შემთხვევაში, მის სანაცვლოდ სოლიდურ თანხას ვერ მიიღებენ.

ჩიკი ბეგირისტაინის პრესკონფერენციამ და ხოსება დიასის განცხადებამ, ფაბრეგასის ოჯახი ძალიან გაახარა. ის ხომ კატალონიის დედაქალაქში დაიბადა და ფეხბურთის თამაში "ბარსას" საყმაწვილო სკოლაში დაიწყო. მამამისი მშობლიური გუნდის თავგადაკლული ფანია და ბედნიერი იქნება, თუ მისი ვაჟი "კამპ ნოუზე" ითამაშებს.

ამასობაში, **ჟოან ლაპორტამ** მორიგი სეპარატისტული გამოხდომით დაგვამახსოვრა თავი. "ბარსას" პრეზიდენტი ფრანკფურტის წიგნის ბაზრობაზე ჩავიდა და ესპანელებისთვის კიდევ ერთი შოკისმომგვრელი რამ თქვა: *"მინდა, რომ "ბარსელონა" მსოფლიოს მოქალაქეების თვალში კატალონიის სიძლიერესთან და თვითმყოფადობასთან ასოცირდებოდეს. ჩვენი გუნდი ვალდებულია, კატალონიურ კულტურას პროპაგანდა გაუწიოს. მართლაც, უდიდესი პასუხისმგებლობა გვაკისრია. სამწუხაროდ, კატალონიის რესპუბლიკა ბუნებაში არ არსებობს. გარკვეულწილად ეს ფუნქცია სწორედ "ბარსამ" უნდა შეასრულოს. ფრანკფურტის წიგნის ბაზრობაზე ამიტომაც ჩამოვედი. როგორც პრეზიდენტმა, თავი მოვალედ ჩავთვალე, აქ გამოფენილ კატალონურ წიგნებს რეკლამა გავუწიო. ჩვენ ვცდილობთ, მსოფლიოს დავანახოთ, რომ არა ესპანეთის ერთი რიგითი რეგიონი, არამედ თვითმყოფადი ერი ვართ. დიადი მიზნებისკენ ნაბიჯ-ნაბიჯ უნდა წავიწიოთ წინ. ყველაფერს ერთბაშად ვერ მოვიპოვებთ. ამიტომ, მზად უნდა ვიყოთ, რომ სერიოზული ბრძოლა და შრომა მოგვიწევს. შესაძლოა, პროცესმა მრავალ ათწლეულს გასტანოს და მასში მონაწილეობა რამდენიმე თაობას მოუხდეს".*

მართალია, ბატონ ლაპორტას სიტყვა, დამოუკიდებლობა, არ უხსენებია, მაგრამ დაგვეთანხმებით, მისი ბრძოლის ამოცანა სწორედ კატალონიის თავისუფლებაა. სეპარატისტები პრეზიდენტის სითამამით აღფრთოვანებულები დარჩნენ, თუმცა გასათვალისწინებელია, რომ კატალონიური საზოგადოება ძალიან ჭრელი და მრავალფეროვანია. ლაპორტასთვის პასუხის გაცემა "ესპანიოლის" პრეზიდენტმა **დანიელ სანჩეს ლიბრემ** ითავა: *"არ მესმის, ჩემი კოლეგა მთელი კატალონიის სახელით რატომ საუბრობს, განა ჩვენც მისი ნაწილი არა ვართ?! რეგიონის მოსახლეობის უდიდესი ნაწილი მომავალს ესპანეთის ერთიანობაში ხედავს. კულტურული განსხვავება კი ერთიანი სახელმწიფოს სიძლიერის გარანტია. ამიტომ სენიორ ლაპორტას ვურჩევ, კერძო "კორპორატიული" მოსაზრებები საერთო ნაციონალურ მისწრაფებად არ გაასაღოს".*

ცნობილია, რომ "ესპანიოლი" წლების წინათ **ფრანკოს** მიერ კატალონიაში მიზნობრივად ჩასახლებული ესპანელების საყვარელი გუნდია. ამის გათვალისწინებით, ძნელი მისახვედრი არ არის, თუ რატომ გააქტიურდა დანიელ სანჩეს ლიბრე. თუმცა ბევრისთვის მოულოდნელად, მას კიდევ ერთი კატალონიური გუნდის, "ჟუვენტუდის" პრეზიდენტმა **ჟორდი ვილიაკამპამაც** აუბა მხარი. სეპარატისტულ გამოხდომებს ისიც გმობს და გულშემატკივრების სახელით აცხადებს, რომ კატალონია ესპანეთის განუყოფელი ნაწილია.

"ბარსელონის" თემას **სამუელ ეტოოს** ტრავმით გავაგრძელებთ. სამედიცინო შტაბმა საზოგადოებას სასიხარულო ინფორმაცია ამცნო. კამერუნელი ფორვარდის სარეაბილიტაციო პროცესი ნავარაუდევზე სწრაფი ტემპით მიმდინარეობს. კლუბის ექიმი **სანტი ჟოვანოლი** დარწმუნებულია, რომ სამუელი ვარჯიშს ორი კვირის შემდეგ განაახლებს. არადა, წესით, მას ნოემბრის ბოლომდე უნდა ემკურნალა. **ფრანკ რიიკაარდი** სიხარულს არ მალავს და აცხადებს, რომ ეტოოს დაბრუნებით გუნდის შემტევი პოტენციალი ერთი-ორად გაიზრდება.

"ბარსას" მალე **ედმილსონიც** დაუბრუნდება. გემახსოვრებათ, ბრაზილიელმა ნახევარმცველმა ივნისში მარჯვენა მუხლის ოპერაცია გაიკეთა და ლაზარეთში დიდი ხნით ამოყო თავი. სამედიცინო შემოწმებამ ცხადჰყო, რომ ფეხბურთელს გაწყვეტილი ჯვარედინი მყესები შეუხორცდა. სავარაუდოდ, ვარჯიშს ისიც ორ კვირაში შეუდგება.

დუნგა უკმაყოფილოა

# ბრაზილიას შეტევაში მრავალფეროვნება აკლდა

**კოლუმბია-ბრაზილია 0:0**

**კოლუმბია:** ხულიო, არკო, მოსკერა, ველესი, ფერეირა (55. ალდო რამირესი), რადამელ გარსია (81. პერეა), ამაია, კარლოს სანჩესი, სუნიგა, კასტრილიონი (55. გრისალესი), რენტერია

**ბრაზილია:** ჟულიო სესარი, მაიკონი, ლუსიო, ჟუანი, მინეირო, ჟილბერტო, კაკა (84. ალვეში), ჟილბერტო სილვა, ვაგნერ ლავი (70. ჟოსუე), რონალდინიო, რობინიო (62. ბაპტიშტა)

მიმომხილველების პროგნოზი არ გამართლდა. მართალია, კოლუმბიამ ბრაზილიას ზღვის დონიდან 2600 მეტრის სიმაღლეზე უმასპინძლა, მაგრამ ისინი ფავორიტად მაინც "სელესაოს" მიიჩნევდნენ. ჟურნალისტები ბრაზილიის ნაკრების შემადგენლობით აპელირებდნენ. საქმე ის არის, რომ **კარლოს დუნგამ** ფაქტობრივად, საუკეთესო ფეხბურთელებს მოუყარა თავი. ყოველ შემთხვევაში, სპეციალისტები **კაკასა** და **რონალდინიოსგან** ბევრს ელოდნენ.

პლანეტის ერთ-ერთი უძლიერესი საფეხბურთო კოლექტივის სტუმრობამ დიდი ინტერესი გამოიწვია. ტრიბუნები პირთამდე შეივსო. სტუმრები ტერიტორიულ უპირატესობას დებიუტშივე დაეუფლნენ, მაგრამ საგოლე მომენტების ორგანიზებას ვერ ახერხებდნენ. კოლუმბია კი მწვავე კონტრიერიშებით ცდილობდა ფონს გასვლას. მე-15 წუთზე მასპინძლებმა ანგარიშის გახსნის ფანტასტიკური შანსი გაუშვეს ხელიდან. **ვასონ რენტერიას** სახიფათო თავური დარტყმა **ჟულიო სესარმა** თავგანწირული ნახტომით მოიგერია. ზუსტად ერთი წუთის შემდეგ რენტერია ბრაზილიელთა საჯარიმოში წაიქცა, მაგრამ მსაჯმა პენალტი არ დანიშნა. ამით განრისხებულმა კოლუმბიელთა მწვრთნელმა **ხორხე ლუის პინტომ** ემოციები იმდენად დაუფარავად გამოხატა, რომ არბიტრს წითელი ბარათი გამოსტყუა. ბრაზილიელებმა მასპინძლებს პირველი სერიოზული პრობლემა 25-ე წუთზე შეუქმნეს. **რობინიომ** რონალდინიო ხელსაყრელ პოზიციაზე გაიყვანა, მაგრამ **აგუსტინ ხულიოს** მისი დარტყმის მოგერიება არ გასჭირვებია. სხვათა შორის, თავად რობინიოსაც შეეძლო გატანა, მაგრამ მასაც ხულიომ აჯობა.

შესვენების შემდეგ სიტუაცია, ფაქტობრივად, არ შეცვლილა. "სელესაო" ტერიტორიულ უპირატესობას ფლობდა, მაგრამ, შიგა და შიგ, მეტოქე მწვავე კონტრშეტევებით პრობლემებს უქმნიდა. კარლოს დუნგა ორი ქულის დაკარგვით უკმაყოფილო დარჩა: *"შეგვეძლო მოგვეგო, მაგრამ მომენტები ვერ გამოვიყენეთ. შეტევაში მრავალფეროვნება გვაკლდა. არადა, ტემპი ოდნავ მაინც რომ გაგვეზარდა, გოლს აუცილებლად გავიტანდით. როგორც ჩანს, ბიჭებს 2600 მეტრ სიმაღლეზე თამაში გაუჭირდათ. უნდა გავითვალისწინოთ, რომ ეს შესარჩევი ციკლის პირველი ორთაბრძოლა იყო. დასაწყისი ყოველთვის სირთულეებთანაა დაკავშირებული. მით უმეტეს, თუ სტუმრად თამაშობ, ისიც ამხელა სიმაღლეზე. მოკლედ, სხვადასხვა ფაქტორი ერთმანეთს დაემთხვა და ფრეს დავჯერდით. შედეგით, რა თქმა უნდა, ძალიან უკმაყოფილო ვარ, მაგრამ მჯერა, რომ მომდევნო თამაშებს გაცილებით უკეთ ჩავატარებთ. საამისო პოტენციალი აშკარად გაგვაჩნია".*


რონალდინიომ და კომპანიამ ორი ქულა ქარს გაატანეს

## ოუენი: გაისად 6 მილიონად

"მანჩესტერ სიტი" **მაიკლ ოუენის** შეძენას გაისად ზაფხულში შეეცდება. იმ დროისათვის თავდამსხმელი სულ რაღაც 6 მილიონი გირვანქა ეღირება. "სანდი მირორის" ცნობით, თუ **სვენ გორან ერიქსონი** თავდამსხმელს იანვრის ფანჯრისას იყიდის, 4 მილიონით მეტის გადახდა დასჭირდება. 2005 წლის ზაფხულში "ნიუკასლმა" "რეალს" სულ მთლად 16 მილიონი გირვანქას მიუთვალა. გასულ ზაფხულს ოუენის შეძენა 9 მილიონად შეიძლებოდა. მისი გადაყვანა ვერავინ გარისკა. მაიკლს ტრავმების გამო კვლავ ბევრი უცდება, მაგრამ როცა მინდორზეა, უსათუოდ გააქვს გოლი. მისი ნიუკასლური კონტრაქტი 2009 წლის ივნისში იწურება. "სიტის" **ნიკოლა ანელკაც** სურს. ფრანგ ფორვარდს "ბოლტონთან" კიდევ სამწელიწადნახევარი აკავშირებს. ის 10 მილიონ გირვანქადაა შეფასებული. ანელკაზე "მილანს", "ნიუკასლსა" და "პორტსმუთსაც" უჭირავთ თვალი.

## არსენალმა ბენ არფა მოიკითხა

"არსენალი" ტრადიციას არ ღალატობს. **არსენ ვენგერმა** მორიგ ახალგაზრდას დაადგა თვალი. ის "ლიონისა" და საფრანგეთის ნაკრების თავდამსხმელით, **ჰატემ ბენ არფათი** დაინტერესდა. გასულ ზაფხულს 20 წლის ფორვარდს ტუნისის ნაკრებში თამაში და მუნდიალზე გამგზავრება შესთავაზეს. მან აფრიკელებს უარი შეუთვალა. სამაგიეროდ, გასულ უქმეებზე "ლურჯების" შემადგენლობაში სადებიუტო მატჩი ჩაატარა (ფარერის კუნძულებთან) და გოლი შეაგდო (6:0). ბენ არფა 2003 წლიდან "ლიონშია". ის ძირითად შემადგენლობას ამ სეზონში გაუშინაურდა. საერთო ჯამში, "ოლიმპიკის" მაისურით ჩატარებულ 39 მატჩში მან 2 გოლი გაიტანა. ჰატემი 10 მილიონი გირვანქა ღირს.

## კლოზე და სანიოლი ბრუნდებიან

**მიროსლავ კლოზე** გამოჯანმრთელდა. შაბათს "ბაიერნი" "ბოხუმს" შეხვდება. გერმანიის ნაკრების თავდამსხმელი ძირითადში სათამაშოდ ემზადება. მუხლის ტრავმის გამო კლოზეს სამი კვირა გაუცდა. მან ირლანდიასთან შესარჩევი მატჩიც გამოტოვა. მიუნხენელებს კიდევ ერთი ვარსკვლავი უბრუნდებათ. **ვილი სანიოლმა** ვარჯიში განაახლა. ფრანგ მცველს მძიმე ტრავმის გამო ექვსი თვე გაუცდა. მინდორზე დაბრუნებამდე მას კიდევ სამი ან ოთხი კვირა დასჭირდება.

## გრანტი ლიცენზიის მოლოდინში

"ჩელსის" თავკაცი **ავრაამ გრანტი** უმაღლესი კატეგორიის სამწვრთნელო ლიცენზიას მომავალი წლის დასაწყისში მიიღებს. ინგლისელი მიმომხილველების გაკვირვებას საზღვარი არ ჰქონდა, როცა ლონდონელებს ულიცენზიო დამრიგებელი დაუნიშნეს. მაგრამ ეს დიდხანს არ გაგრძელდება. 2008 წლის თებერვალში ისრაელის ფეხბურთის ფედერაცია სამწვრთნელო სემინარებს ჩაატარებს. თუ გრანტი ლექციებს დაესწრება და გამოცდასაც წარმატებით ჩააბარებს, ნანატრი ლიცენზია მისი იქნება. მომავალ სეზონში პრო-ლიცენზია სავალდებულო იქნება იმ მწვრთნელებისათვის, რომელთა კლუბები ევროტურნირებში იასპარეზებენ.

## რიო ფერდინანდის ახალი კონტრაქტი

"მანჩესტერ იუნაიტედი" **რიო ფერდინანდს** ახალ კონტრაქტს შესთავაზებს. ამ ინფორმაციას "ნიუს ოფ ზე უორლდი" გვაწვდის. "ეშმაკებს" სურთ, ინგლისის ნაკრების ცენტრალურმა მცველმა კარიერა "ოლდ ტრეფორდზე" დაასრულოს. ინფორმაციაში არაფერია ნათქვამი ხელშეკრულების ხანგრძლივობისა და ფინანსური პირობების შესახებ. მიმომხილველთა ვარაუდით, ფერდინანდი ისეთსავე ხელფასს მოითხოვს, რამდენიც "მენიუს" ყველაზე ძვირ ვარსკვლავებს - **კრისტიანო რონალდოსა** და **უეინ რუნის** აქვთ. დღეს რიო კვირაში 90 ათას გირვანქას უხდიან. კონტრაქტის გაგრძელების შემთხვევაში, მას მინიმუმ 20 ათასით მეტს მიუთვლიან.

## მუტუს სარფიანი ვარიანტები

მოსკოვის "დინამო" **ადრიან მუტუთი** დაინტერესდა. რუმინელ თავდამსხმელს სარფიანი შეთავაზებები არ აკლია. მისი შეძენა "რეალს", "მილანს", "მანჩესტერ სიტისა" და "ლიონს" სურთ. მუტუ "ფიორენტინის" საკუთრებაა. ფლორენციელებს ფეხბურთელის ფასი არ დაუსახელებიათ. ესპანური სააგენტოების მტკიცებით, "რეალი" 20 მილიონ ევროს ამზადებს. ფეხბურთელს კი წლიურად 5 მილიონ ევროს ჰპირდება. ინგლისელი მიმომხილველები იუწყებიან, რომ "მანჩესტერ სიტი" 22 მილიონ ევროსაც სიამოვნებით გადაიხდის. მოსალოდნელი ტრანსფერის თაობაზე ოფიციალური კომენტარები არ გაკეთებულა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ინტერვიუ რაულ ტამუდოსთან

# ვერ წარმოვიდგენდი, რომ ნაკრებში მოვხვდებოდი

## ესპანიოლის ფორვარდს სელექსიონის კარი დავიდ ვილიას ტრავმამ გაუღო. მან შანსი ხელიდან არ გაუშვა და დანიას გოლი გაუტანა

**"ესპანიოლის" ფორვარდი "სელექსიონში" დავიდ ვილიას ტრავმის წყალობით აღმოჩნდა. "ვალენსიის" ფორვარდს ექიმებმა მკაცრი ვერდიქტი გამოუტანეს. მოედანზე გასვლას ის, სულ მცირე, ორი თვის განმავლობაში ვერ მოახერხებს. ამ ამბის შემდეგ, ლუის არაგონესი მთელი ერის წინააღმდეგ წავიდა და ნაკრებში ტამუდოს უხმო. არადა, საზოგადოება რაულის გამოძახებას ითხოვდა. ესპანელთა დამრიგებელს ძალიან გაუმართლა, რადგან ტამუდომ დანიის ნაკრებთან უმნიშვნელოვანეს საკვალიფიკაციო მატჩში ანგარიში გახსნა. "დიარიო ასის" ინტერვიუ სწორედ ამ თემით იწყება.**

**- ტამუდო, როგორ გეძინათ?**

- მკვდარივით. საფინალო სასტვენის შემდეგ, აეროპორტისკენ ავიღეთ გეზი და ფინეთში გამოვფრინდით. გეოგრაფიული მდებარეობის გათვალისწინებით, მგზავრობა საკმაოდ ხანმოკლე აღმოჩნდა. შემდეგ უმალ სასტუმროში დავბინავდით და სულ რაღაც 10 წუთში გათიშულს დამეძინა. მეორე დილით მშობლებსა და საცოლეს დავურეკე. რა თქმა უნდა, სიხარულით გაგიჟებულები იყვნენ. კვირას არაგონესმა გაგვათავისუფლა და გვითხრა, დრო ისე გაგვეტარებინა, როგორც მოგვესურვებოდა. სამწუხაროდ, ფინეთში ძალიან ცივა, გადაულებლად წვიმს და ხეტიალის საშუალება არ გვქონდა. ორშაბათს დილით კი ვარჯიში განვაახლეთ.

**- ნაკრებში საერთოდ არ იყავით გამოძახებული, მაგრამ "სელექსიონის" კარი ვილიას ტრავმამ გაგიღოთ. თქვენი იღბლიანობა ამითაც არ ამოიწურება, არაგონესმა ძირითად შემადგენლობაში დაგაყენათ. მოვლენათა ამგვარი განვითარება რამდენად მოსალოდნელი იყო?**

- სიმართლე გითხრათ, ვერ წარმოვიდგენდი, რომ ნაკრებში მოვხვდებოდი. მადლობა ღმერთს, ყველაფერი ასე კარგად წარიმართა. თამაში არ გამჭირვებია, რადგან "სელექსიონის" ღირსებას უდიდესი პროფესიონალები იცავდნენ. მათთან ერთად საქმე ერთი-ორად გამიადვილდა.

**- თქვენზე რომ იყოს დამოკიდებული, ივან დე ლა პენიას ნაკრებში თამაშის საშუალებას თუ მისცემდით?**

- რა თქმა უნდა. თუმცა, ამისთვის პირველ რიგში, საჭიროა, რომ ივანმა ტრავმა მოიშუშოს. შემდეგ მან ბევრი უნდა ივარჯიშოს, რათა კონკურენციას გაუძლოს. დარწმუნებული ვარ, თუ დე ლა პენია დაიმსახურებს, არაგონესი აუცილებლად გამოიძახებს.

**- ნაკრებში ორწლიანი პაუზის შემდეგ მოხვდით. ხომ არ გვეტყვით, გარედან "სელექსიონი" როგორ ჩანდა?**

- გუნდის მიზანი თავიდანვე ნათელი იყო. მას ევროპის ჩემპიონატის საგზური უნდა მოეპოვებინა. მოგეხსენებათ, შესარჩევი ციკლი წარუმატებლად დავიწყეთ, მაგრამ თანდათანობით ყველაფერი თავის ადგილზე დადგა. დღეს ესპანეთის ნაკრები ერთ-ერთი უძლიერესია მთელ ევროპაში. ბედნიერი ვარ, რომ არაგონესმა დამაბრუნა. ეროვნული გუნდისკენ მზერა არასოდეს მომიდუნებია. "ესპანიოლში" თავდაუზოგავად ვვარჯიშობდი და იმედს ვიტოვებდი, რომ შრომა დამიფასდებოდა. ასეც მოხდა.

**- თქვენი სიხარულის ძალიან კარგად მესმის, მაგრამ მომიწევს განწყობა გაგიფუჭოთ. ნაკრებთან ერთად ევროპის ან მსოფლიო ჩემპიონატზე არასოდეს გიასპარეზიათ...**

- მართალი ბრძანდებით, ერთადერთი დიდი ტურნირი, რომელშიც ვმონაწილეობდი, სიდნეის 2000 ოლიმპიური თამაშები გახლდათ. ვიცე-ჩემპიონები გავხდით. ფინალში კამერუნს 2:0-ს ვუგებდით, მაგრამ უპირატესობა ვერ შევინარჩუნეთ და აფრიკელებს ოქროს მედლების მოპოვების შესაძლებლობა მივეცით.

**- გულწრფელად მიპასუხეთ, ტორესი, ვილია და მორიენტესი თქვენზე ძლიერი ფორვარდები არიან?**

- მოდით, ასე ვთქვათ, ყველაფერს მწვრთნელი წყვეტს. მე თავდაუზოგავად ვშრომობ. დანარჩენი კი ლუის არაგონესის საქმეა. ლუისი დანიასთან მატჩის შემდეგ ჩემი თამაშით უზომოდ კმაყოფილი იყო და მითხრა, თუ ასე გააგრძელებ, მომავალშიც დაგიძახებო.

**- ევროპის 2004 წლის ჩემპიონატის შესარჩევ ციკლში თქვენ და მიგელ ანხელ მისტა "სელექსიონის" საუკეთესო ბომბარდირები იყავით, მაგრამ ინიაკი საესმა პორტუგალიაში მაინც არ წაგიყვანათ...**

- ნაკრებში უდიდესი კონკურენციაა, მეგობარო (იცინის).

**- "ესპანიოლის" მაისურით 115 გოლი გაქვთ გატანილი. "ბარსას", ან "რეალის" ფეხბურთელი რომ ყოფილიყავით, 200-ს გადააჭარბებდით?**

- ვინ იცის?!

**- ხომ არ ფიქრობთ, რომ რეკლამა გაკლიათ?**

- ძნელი სათქმელია, ისე კი მოგახსენებთ, რომ ჩემი კარიერით ძალიან კმაყოფილი ვარ. როგორც ფეხბურთელი, "ესპანიოლში" დავიბადე. გადაწყვეტილი მაქვს, რომ კარიერას აქვე დავასრულებ. საწუწუნო არაფერი მაქვს.

**- კლუბისადმი თქვენი ერთგულება მისასალმებელია, მაგრამ ხომ არ დაგავიწყდათ, რომ ამ ზაფხულს კინაღამ "ვილიარეალში" გაგყიდეს. სხვათა შორის, სიდნეის ოლიმპიადის შემდეგ, "რეინჯერსში" გიშვებდნენ.**

- ვინ გითხრათ, რომ მყიდიდნენ? უბრალოდ, "ვილიარეალმა" ჩემი გადაბირების სურვილი გამოთქვა, მაგრამ "ესპანიოლის" ხელმძღვანელობამ კოლეგებს შეუთვალა, რომ რაულ ტამუდო არ იყიდება. არადა, "ყვითლები" საკმაოდ დიდ ფულს იხდიდნენ. პრეზიდენტი დანიელ სანჩეს ლიბრე ამითაც არ მოიხიბლა და მოლაპარაკებები შეწყვიტა.

**- "რეინჯერსის" შემთხვევაში რა მოხდა?**

- მაშინ ყველამ იცოდა, რომ შოტლანდიაში არაფრის დიდებით არ წავიდოდი. ასე რომ, ტრანსფერი დღის წესრიგში არც დამდგარა.

**- თქვენზე ამბობენ, რომ ძალიან ემოციური ადამიანი ხართ და ხშირად ტირით.**

- საინტერესოა, ვინ დამაბეზღა. ემოციებთან გამკლავება მართლაც ძალიან მიჭირს. თუ არ ვცდები, ბოლოს მაისში ვიტირე, როცა "სევილიასთან" უეფას თასის ფინალში დავმარცხდით.

**- "ესპანიოლი" ახალ სეზონში შესანიშნავად გამოიყურება. არადა, პირველ ტურებში ძალიან გაგიჭირდათ. პროგრესს რის ხარჯზე მიაღწიეთ?**

- ტიტანური შრომის ფასად თამაშის ხარისხის გაუმჯობესება შევძელით. ახლა "ესპანიოლს" ყველა პატივისცემით ეპყრობა. ჩვენ დიდ გამარჯვებებს გვიწინასწარმეტყველებენ. მჯერა, ასეც იქნება. სულ მცირე, უეფას თასის საგზურს დავეუფლებით.



ხოაკინ როდრიგესი რაულ ტამუდოს დანიელთა კარში გატანილ გოლს ულოცავს

**- თქვენ ქუჩიდან მოსულ უკანასკნელ მოჰიკანს გიწოდებენ. ფეხბურთის თამაში მართლაც ეზოებში ისწავლეთ?**

- ეზოში ძირითადად თანატოლებთან ვთამაშობდი ხოლმე, მაგრამ მათ მშობლები ბევრ თავისუფალ დროს არ აძლევდნენ, ამიტომ ხშირად მარტოს მიხდებოდა ბურთის გორება. კარგად მახსოვს, ქუჩაში დრიბლინგებს მანქანებსა და მოხუცებს ვუკეთებდი. რამდენ ქალბატონს დავუწყევლივარ, რადგან მათ ძალიან ვაშინებდი. ჩემი აზრით, ბავშვი ამ გამოცდილებას თუ არ შეიძენს, ტექნიკას ვერ განივითარებს, ამიტომ მწვრთნელებს მოვუწოდებ, პატარა შეგირდებს ქუჩებსა და ეზოებში თამაშს ნუ აუკრძალავენ.

**- არ მახსენდება შემთხვევა, თქვენგან ვინმეს ინტერვიუ აელოს და მშობლები არ გეხსენებინოთ.**

- ისინი ჩემთვის ყველაზე ძვირფასები არიან. ყოველთვის ვცდილობ, რაიმეთი ვასიამოვნო. მაგალითად, ორი თვის წინათ ფეშენებელური ორსართულიანი სახლი ვუყიდე. მოხუცებმა კომფორტული ცხოვრება დაიმსახურეს. მათი თანადგომისა და ამაგის გარეშე ფეხბურთელი ვერ გავხდებოდი.



ლიონის მთავარი მწვრთნელი ალენ პერენი

საფრანგეთის ჩემპიონები

# ლიონი წარსულისა და მომავლის ზღვარზე

**ლიონის "ოლიმპიკს" მიმდინარე სეზონში ძალიან ცუდი სტარტი ჰქონდა და მის ყოფას არც ახლა ეთქმის დალხინებული. რა არის ამის მიზეზი? იქნებ ის, რომ შემადგენლობა დასუსტდა, წავიდნენ რა გუნდის ულაპარაკო ლიდერები. იქნებ ის, რომ გუნდს მიჯრით მოგებული საჩემპიონო ტიტულების შემდეგ მოტივაცია აღარ დარჩა. ყოველივე ამაზე, ასევე კლუბის პერსპექტივებზე, ESPN-ის მიმომხილველი სებასტიან შტიკელი მსჯელობს.**

"ლიონის" ოფისში შესანიშნავი შეხამება იგრძნობა კლუბის ბრწყინვალე წარსულისა და მის არანაკლებ დიდებული მომავლის. ყოველ შემთხვევაში, აქ ამის მყარად სჯერათ. სჯერათ და სახეზე კმაყოფილება აწერიათ. ჯერ ცოტა წარსულზე ვთქვათ... შეგახსენებთ, რომ კლუბმა ზედიზედ 6 საჩემპიონო ტიტული მოიგო, ეს მას მერე, რაც თითქმის ათწლეული ფრანგულ პრემიერ დივიზიონში ვერცერთი კლუბი ჩემპიონობის შენარჩუნებას ვერ ახერხებდა. 1993 წელი "მარსელი", 1994 - პსჟ, 1995 "ნანტი", 1996 - "ოსერი", 1997 - "მონაკო", 1998 - "ლანსი", 1999 - "ბორდო", 2000 - "მონაკო", 2001 - "ნანტი", 2001\02 სეზონიდან უკვე ლიონელთა ეპოქა დაიწყო რომელიც დღემდე გრძელდება. ზედიზედ 6 ჩემპიონობა არამარტო საფრანგეთის, არამედ წამყვანი ჩემპიონატების რეკორდადაც ითვლება.

მიუხედავად მოძალებული პრობლემებისა, ამ დღეებში ლიონში ყველა მხოლოდ პერსპექტივაზე ლაპარაკობს. განა, რა მოხდა ასეთი? ოფისში კლუბის ახალი სტადიონის მაკეტის პრეზენტაცია შედგა. ის 60 000 მაყურებელს დაიტევს და მშენებლობა 2010 წელს დასრულდება.

წელან პრობლემები ვახსენეთ. ბოლო 2-3 სეზონისგან განსხვავებით, კლუბი ისე მყარად ვერ დგას ფეხზე, როგორც ამას "სტად დე ჟურნალის" პუბლიკა შეეჩვია. დომინირების ეპოქა დიდი ხანია ზურგს უკანაა. სანაკრებო თამაშებით გამოწვეულ პაუზას "ლიონი" პირველ ადგილზე შეეგება, მაგრამ ეს მხოლოდ ეპიზოდია, "ნანსის" ერთი თამაშით ნაკლები აქვს და, ამის მიუხედავად, კონკურენტებს ქულები და ბურთების სხვაობა თანაბარი აქვთ. ცხრილში მათი უპირატესობა მხოლოდ მეტი გატანილი გოლის წყალობაა.

პრემიერდივიზიონურ პრობლემებს გუნდი, ალბათ, აუვა, მაგრამ ჩემპიონთა ლიგაში მათი თამაში ვერავითარ კრიტიკას ვერ უძლებს: 2 თამაში, 2 წაგება, 0 გატანილი, 6 გაშვებული. გუნდმა სტაბილურად საშინლად ითამაშა და ჯერ "ბარსელონასთან" "კამპ ნოუზე" და მერე შინ, "რეინჯერსთან" სამბურთიანი სხვაობებით დათმო. პირველს კიდევ მოეძევება ახსნა, მაგრამ შოტლანდიელებთან? ოდესღაც ჩემპიონთა ლიგის "ჩრდილოვანმა ფავორიტმა" წააგო გუნდთან, ვისთან თამაშიც ყველას უხაროდა იმიტომ, რომ მინიმუმ ქულა მაინც ჰქონდა გარანტირებული, სწორედ რომ უსახურობის გამო. *"ჩვენ არ უნდა ჩამოვუშვათ ცხვირები. წინ 4 თამაში გვაქვს და ყველაფერი შეიძლება მოხდეს"*, - აცხადებს გუნდის თავდამსხმელი **ჰატემ ბენ არფა**, მაგრამ ეს ნათქვამი სიმშვიდისკენ მოწოდებას უფრო ჰგავს და ვიდრე რეალობისთვის თვალის გასწორებას.

არადა, სულ ახლო წარსულში "სტად დე ჟერნალზე" "ვერდერი" 7:2 განადგურდა და მადრიდის "რეალი" 3:0. გულშემატკივრებს შორის ჩემპიონთა ლიგის მეოთხედფინალში ზედიზედ 3 წაგება აღიქმებოდა როგორც წარუმატებლობა, გამომდინარე მათი ამბიციებიდან. შეგახსენებთ, რომ საფრანგეთის ჩემპიონები ამ ეტაპზე ერთხელ "ეინდჰოვენთან" პენალტების სერიაში დამარცხდნენ, შემდეგ "მილანთან" ბოლო წუთზე გაშვებული გოლის გამო, დაბოლოს, "რომასთან" 10-წუთიანი დაბნეულობის გამო.

და მაინც რა, გახდა ასეთი ჩავარდნის მიზეზი? გუნდი წამყვანმა მოთამაშეებმა დატოვეს: **მალუდა** "ჩელსიში" წავიდა, **აბიდალი** - "ბარსელონაში", **ტიაგო** - "იუვენტუსში", **ვილტორი** - "რენში", ხოლო კლუბის გამოცდილი კაპიტანი **კლაუდიო კასაპა** - "ნიუკასლში". ლიდერები კლუბს ადრეც ტოვებდნენ (**მიკაელ ესიენი** "ჩელსიში", **მამადუ დიარა** "რეალში"), მაგრამ როგორღაც ხერხდებოდა სათამაშო დონის შენარჩუნება. როგორ? სელექციონერები პოულობდნენ ახალგაზრდებს, რომლებიც წასულებს სათანადოდ ცვლიდნენ. როგორც ჩანს, ახლა ამ ინსტინქტმა აღარ იმუშავა. კლუბმა იყიდა ახალი ფეხბურთელები და არცთუ მცირე თანხაც დახარჯა, მაგრამ შედეგი არ ჩანს. "ლილიდან" 18 მილიონად ნაყიდი **კეიტა** ხშირად სკამზე ზის. ისე, რატომ იყიდეს მარჯვენა ნახევარმცველი მემარცხენე მალუდას მაგივრად, დღემდე გამოცანად რჩება. იტალიელი **ფაბიო გროსო** ეგრეც ვერ იქცა აბიდალის შემცვლელად, ის საკუთარი თავის აჩრდილს უფრო ჰგავს, ვიდრე უკანასკნელი მუნდიალის გმირს. ამათ გარდა **მატიო ბროდმერი** და **კლებერ ანდერსონი** თვალნათლივ მიგვითითებენ, რომ ამ შემადგენლობას მაღალი კლასი აშკარად აკლია. შეიძლება დავასკვნათ, რომ "ლიონმა" სატრანსფერო ბაზარზე აშკარა შეცდომები დაუშვა. გასაკვირია იმდენად, რამდენადაც იქამდე ლიონელთა პოლიტიკა თითით საჩვენებელი იყო ყველასთვის. გავიხსენოთ, რომ მალუდა კლუბმა 2003 წელს 4 მილიონად შეიძინა, მსოფლიო კლასის ფეხბურთელად აქცია და მერე 21 მილიონად გაყიდა. იგივე ისტორია იყო ესიენის, დიარასა და აბიდალის შემთხვევებშიც. მათი გაყიდვით კლუბი კოლოსალურ მოგებაზე გადიოდა. ასე გაიზარდა "ლიონის" ბიუჯეტი 200 მილიონ ევრომდე. ამ მაჩვენებლით სხვა ფრანგული კლუბები დურბინდის თვალსაწიერზეც კი არ ჩანან. ამ მიღწევების მთავარი შემოქმედი, კლუბის პრეზიდენტი, ბრწყინვალე მენეჯერი **ჟან-მიშელ ოლაა**. მისი უკანასკნელი გადაწყვეტილებები საფრანგეთში არაერთგვაროვნად მიიღეს, თუნდაც მწვრთნელის კანდიდატურა. **ალენ პერენი**, ვინც "სოშოსთან" ერთად საფრანგეთის თასი მოიგო, ვერაა **ჟერარ ულიეს** კალიბრის სპეციალისტი. დადის ხმები, რომ მწვრთნელმა ვერ შეძლო კლუბის ლიდერებთან ნორმალურად საერთო ენის გამონახვა. ყველაფერს დაემატა **გრეგორი კუპესა** და **კრისის** მძიმე ტრავმებიც. ჩემპიონატში კლუბს ნამდვილად შესწევს ძალა, რომ ყველაფერი გამოასწოროს. მით უფრო, რომ მთავარმა კონკურენტებმა პსჟ-მ, "მარსელმა" და "ლანსმა" კიდევ უფრო მძიმე სტარტი აიღეს, ვიდრე ჩემპიონმა. აი, ჩემპიონთა ლიგაში კი... *"შემდეგ ეტაპზე გასვლა არაადამიანურად ძნელი იქნება, მაგრამ არა შეუძლებელი. ნებისმიერ შემთხვევაში, გუნდი გამოცდილებას შეიძენს და ამას მომავალი სეზონისთვის გამოიყენებს. მადლობა ღმერთს, ჩვენი ფინანსური მდგომარეობა უკვე იმდენად მყარია, რომ ის ისე ძლიერ აღარაა დამოკიდებული ლიგაში ნაჩვენებ შედეგებზე"*, - აცხადებს ჟან-მიშელ ოლა.

ეროვნული ბიბლიოთეკა





ფაჩულია ჯოელ პრჟიბილას წინააღმდეგ

# ზაზას შემცვლელის დუბლი

**ზაზა ფაჩულიას** "ატლანტა ჰოქსი" NBA-ს მეოთხე წინასასეზონო მატჩში დამარცხდა. "ქორებმა" "პორტლენდ ტრეილ ბლეიზერსს" ვერაფერი დაუპირისპირეს - 89:102.

ზაზამ ეს შეხვედრაც სასტარტო ხუთეულში დაიწყო და 22 წუთში 9 ქულა და 7 მოხსნა მიითვალა. ზაზას უმეტესად პორტლენდელი **ჯოელ პრჟიბილას** მეურვეობა უწევდა. ჯოელს შეტევაში ბევრი არაფერი გაუკეთებია - 6 ქულა ჩააგდო, 12-დან 10 მოხსნა კი დაცვაში გააკეთა.

წინახაზელთაგან ყველაზე ეფექტური მონაგარით ზაზას შემცვლელი ელ ჰარფორდი გამოირჩა. მან 28 წუთში 14 ქულა და 11 მოხსნა დააგროვა.

**ატლანტა-პორტლენდი 89:102**

25:25, 28:26, 17:22, 19:29

ატლანტა: ჯ. ჯონსონი (15 ქ), ე. ჯონსონი (6 ქ. 7 პ), სმიტი (12 ქ. 5 დ), მ. უილიამსი (18 ქ), ზაზა ფაჩულია (9 ქულა 7 მოხსნა, 3 ფოლი, 1 შეცდომა), ჰარფორდი (14 ქ. 11 მ), შ. უილიამსი (5 ქ), უესტი (3 ქ), ტატუმი (4 ქ), რობინსონი (3 ქ).

პორტლენდი: ბლეიკი (9 ქ. 5 პ), ჯეკი (13 ქ. 6 პ), ოლდრიჯი (29 ქ. 9 მ), აუთლო (8ქ), პრჟიბილა (6 ქ. 12 მ), ვებსტერი (12 ქ), ფრეიე (14 ქ), გრინი (7 ქ), ლაფრენცი (2 ქ), როდრიგესი (2 ქ)

| | |
|---|---|
| **I მეოთხედი** | |
| 11:13 | ფოლი: 1 |
| 09:33 | ფოლი: 2 |
| 09:11 | ფაჩულია ჰარფორდმა შეცვალა |
| **II მეოთხედი** | |
| 09:09 | ფაჩულიამ უესტი შეცვალა |
| 04:47 | მოხსნა: 1 (შეტ: 0, დაც: 1) |
| 03:46 | მოხსნა: 2 (შეტ: 1, დაც: 1) |
| 02:08 | მოხსნა: 3 (შეტ: 2, დაც: 1) |
| 01:22 | ორქულიანი ტყორცნა: 2 ქ (47:47) |
| 00:48 | მოხსნა: 4 (შეტ: 2, დაც: 2) |
| 00:18 | ორქულიანი ტყორცნა: 4 ქ (53:49) |
| **III მეოთხედი** | |
| 11:48 | ფოლი: 3 |
| 11:48 | შეცდომა: 1 |
| 11:13 | ორქულიანი ტყორცნა: არაზუსტი |
| 09:35 | ფაჩულია ჰარფორდმა შეცვალა |
| **IV მეოთხედი** | |
| 10:15 | ფაჩულიამ რობინსონი შეცვალა |
| 10:01 | ორქულიანი ტყორცნა: არაზუსტი |
| 07:38 | მოხსნა: 5 (შეტ: 2, დაც: 3) |
| 06:50 | საჯარიმოები: 2/1, 5 ქ (75:87) |
| 05:52 | საჯარიმოები: 2/2, 7 ქ (77:89) |
| 05:25 | ფაჩულია ჰარფორდმა შეცვალა |
| 02:55 | ფაჩულიამ სმიტი შეცვალა |
| 01:44 | ორქულიანი ტყორცნა: არაზუსტი |
| 01:43 | ორქულიანი ტყორცნა: 9 ქ (87:100) |
| 01:43 | მოხსნა: 6 (შეტ: 3, დაც: 3) |
| 01:00 | მოხსნა: 7 (შეტ: 3, დაც: 4) |

# ბუმ, ბუმ, ცქიტიშვილი!

გასულ უქმეებზე ქართველი ლეგიონერების თამაშის შემყურეთ, ბუნებრივად გვიჩნდება შეკითხვა: უცხოეთში თუ ყოჩაღობენ, ნაკრებში რა ემართებათ? ამ კითხვას უახლოეს დღეებში ერთ პუბლიკაციას მივუძღვნით, დღეს კი გეტყვით, რომ ნიკა ცქიტიშვილმა 19 ქულა და 8 მოხსნა მიითვალა, ტაირონ ელისმა - 28 ქულა, ხოლო გიორგი ცინცაძემ 15 ქულა, 5 პასი, 8 მოხსნა...



ნიკა ცქიტიშვილი

## ბრავო, მაესტრო!

მივყვეთ მოვლენებს თანმიმდევრობით. იტალიის ჩემპიონატის მეოთხე ტურში სკიტას "ტერამომ" "ნაპოლის" უმასპინძლა და 77:68 დაამარცხა. ამ მატჩის მიმოხილვას გაზეთ "ტუტოსპორტში" საინტერესო სათაური ჰქონდა. "ბუმ, ბუმ, ტერამო!" ნიკას თანაგუნდელებმა პირველ ტურში "ბოლონიასთან" სტუმრად წააგეს და მას მერე ერთმანეთზე ძლიერ კლუბებს სჯობნიან: "რომას", "მილანსა" და "ნაპოლის" სძლიეს. ამიტომ ბევრისთვის მოულოდნელად ტერამოელები სატურნირო ცხრილში მეორე პოზიციაზე არიან - მხოლოდ წაუგებელ "მონტეპასკის" ჩამორჩებიან.

ზოგიერთი, ალბათ, არც ნიკა ცქიტიშვილის გახსნას ელოდა. ნიკა იტალიაში გადასვლისას კი ამბობდა, მწვრთნელი კარტბლანშს მპირდებაო. მაგრამ პირველივე თვეში "ტერამოს" ლიდერად თუ იქცეოდა, ძნელი წარმოსადგენი იყო. მილანში ჩაგდებული 17 ქულის შემდეგ ცქიტომ კიდევ უფრო მოინდომა და 34 წუთში "ნაპოლის" კალათში 19 ქულა მოათავსა (9-დან 7 ორქულიანი და 6-დან 5 საჯარიმო). გარდა ამისა, ქართველმა 2 პასი და 8 მოხსნა ჩაიწერა.

ნიკამ ნეაპოლელებს პირველივე მეოთხედში გადაუწურა ყოველგვარი იმედი - მეცხრე წუთზე მერვე ქულა მიითვალა და ტაბლოზე 22:8 დააფიქსირა. მას მერე სტუმრებმა ტერამოელებს ბევრი სდიეს, მაგრამ დაწევა ვერ მოახერხეს.

ისევე, როგორც "მილანთან" წინა შეხვედრაში, "ტერამოს" რიგებში საუკეთესოდ ნიკა ცქიტიშვილი სცნეს, თუმცა მისებრ 8 ბალი ბრენდონ ბრაუნმა მიიღო - ორსაათიან შეფასებებში ვკითხულობთ: *"ბრაუნი მოედანზე ერთ-ერთი გამორჩეული იყო. იგი კარგად ეხმარებოდა ნიკოლოზ ცქიტიშვილს. ხოლო სკიტა "ტერამოს" მაესტრო გახლდათ. მისი შეჩერება ვერც "ნეაპოლელებმა შეძლეს."* აქვე დავძენთ, რომ სკიტას დანარჩენ თანაგუნდელებს 6-6.5 ბალი ერგოთ.

## მარტოკაცი

ვიდრე ცქიტიშვილი და "ტერამო" "ნეაპოლს" ამარცხებდნენ, **ტაირონ ელისი** და "კახასოლი" შინ "ფუენლაბრადას" "ეჭიდავებოდნენ" და ყველასთვის მოულოდნელად "იპონით" წააგეს - 81:91. სევილიელებს პირველივე მეოთხედში გაუჭირდათ, მეტოქეს 9 ქულით (16:25) დაწინაურების უფლება მისცეს და საფინალო სირენამდე სიტუაციის გამოსწორება ვერ მოახერხეს.

მატჩის ოქმს თუ ჩავუკვირდებით, უფრო გამართლებული იქნებოდა იმის თქმა, რომ "ფუენლაბრადას" არა "კახასოლი", არამედ მარტოდმარტო ტაირონ ელისი ეპაექრა. საქართველოს ნაკრების გამთამაშებელმა მხოლოდ 1 წუთით დაისვენა, 39 წუთში 3-დან 2 ორქულიანი, 12-დან 7 სამიანი, 4-დან 3 საჯარიმო ჩააგდო და 28 ქულას, 6 შედეგიანი გადაცემა მიამატა. ტაირონის მარგი ქმედების კოეფიციენტმა 28-ს უწია. ამ მაჩვენებლით მეორე სევილიელი აარონ მაილსი იყო (12). მან 11 ქულა მიითვალა.

ორი ტურის შემდეგ ესპანეთის ჩემპიონატს "ბარსელონა, "ხუვენტუდი", "ხირონა" და "გრანადა" ლიდერობენ - 2:2 მოგება აქვთ. ხოლო ორი წაგებით სატურნირო ცხრილის ფსკერზე "კახასოლი", "რეალი", "მენორკა", "ბილბაო" და "ვალიადოლიდი" იმყოფებიან.

## მიზანი მოეშალათ

წარუმატებლად დაიწყო რუსეთის ჩემპიონატი **ვლადიმერ ბოისას** "სპარტაკ-პრიმორიემ". ვლადივოსტოკელებმა სამიდან ორი მატჩი წააგეს. გასულ უქმეებზე პრიმორიელები პერმში "ურალ გრეიტთან" შერცხვა - 53:69.

სწორედ დაწერეს შორეული აღმოსავლეთის გაზეთ "კომსომოლის" ჟურნალისტებმა - სპარტაკელებს მიზანი მოეშალათო. მათი სნაიპერი 12 ქულით ამერიკელი ერნსტ ბრემერი გახდა. მას ორით ჩამორჩა ვლადიმერ ბოისა, რომელიც თანაგუნდელებს 10 ქულით, 3 მოხსნითა და 1 შედეგიანი გადაცემით დაეხმარა.

## ბუ ლიტვაში

მარგი ქმედების კოეფიციენტის მიხედვით იმის თქმაც შეიძლება, რომ კვირის მატჩში "ტარტუ როკის" საუკეთესო კალათბურთელი **გიორგი ცინცაძე** იყო. მისმა მქკ-მ 23 შეადგინა. ბუმ ბალტიის თასზე "ნეპტუნასის" წინააღმდეგ 36 წუთი ითამაშა, 15 ქულა, 8 მოხსნა (რვავე დაცვითი), 5 შედეგიანი გადაცემა, 2 ჩაჭრა და 1 დაფარება მიითვალა. ქულებში ქართველს მხოლოდ ამერიკელმა ბრაიან კუსვორსმა აჯობა - 20 ქულა ჩააგდო, თუმცა მისი მქკ 17-ს ვერ გასცდა.

არანაკლებ საინტერესოა, რომ ბალტიის ლიგაზე ორი საშინაო მატჩის წაგების შემდეგ, "როკმა" პირველი გამარჯვება გასვლაზე ჩაიწერა - ლიტვის "ნეპტუნასი" 82:61 დაამარცხა. როკერებმა შეხვედრის ბედი მესამე პერიოდში გაარკვიეს - 27-ე წუთზე გიორგი ცინცაძის ორქულიანის შემდეგ ტაბლოზე სტუმართა სასარგებლოდ 60:45 დაფიქსირდა.

## ხუთიანი

უკრაინის ჩემპიონატში მეორე გამარჯვების მოსაპოვებლად **მანუჩარ მარკოიშვილის** "კიევმა" ბევრი ოფლი დაღვარა. დედაქალაქელებმა სტუმრად "ოდესა" 73:72 დაამარცხეს. საფინალო სირენამდე ოდესელები 62:51 დაწინაურდნენ და დამშვიდდნენ. 11-ქულიანმა ჩამორჩენამ კიეველები გამოაფხიზლა და რაიან სტაკის წინამძღოლობით ჯერ ანგარიში გაათანაბრეს, შემდეგ - 73:72...

მანუჩარ მარკოიშვილმა მისთვის უჩვეულოდ 15 წუთი ითამაშა, რაშიც გარკვეული წვლილი ნაადრევად მიღებულმა ოთხმა ჯარიმამ შეიტანა. მანუმ 2 ორქულიანს 1 საჯარიმო მიამატა და ოქმში 5 ქულა გაიფორმა. გარდა ამისა, მის ანგარიშზე 2 პასი და 1 მოხსნაა.

უკრაინის ჩემპიონატში ორი ტურის შემდეგ სატურნირო ცხრილს ერთბაშად 5 გუნდი ლიდერობს: "კიევს", "ხიმიკს", "აზოვმაშს", "ჩერკასკსა" და "დნეპრს" 27 მოგება აქვთ.

**ვაჟა სიმონიშვილი**

## თარიღი

**ანზორ მარტყოფლიშვილი.** დაიბადა 14.10.1940, ზემო მაჩხაანი. დედოფლისწყარო. ძიუდო (63 და 66 კგ). ევროპის ჩემპიონი (1968) და მესამე პრიზიორი (1971), სსრკ ჩემპიონი სამბოში (1970). სსრკ ძიუდოისტთა ნაკრების მწვრთნელი და გუნდის უფროსი (1977-86), საქართველოს ძიუდოს ეროვნული ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტი (1991-დან) და გენერალური მდივანი (1001-დან). ძიუდოს და სუმოს შესახებ სამი ნაშრომის ავტორი. საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატი. საერთაშორისო კატეგორიის მსაჯი სამბოსა და ძიუდოში, სსრკ და საქართველოს დამსახურებული მწვრთნელი ძიუდოში. ღირსების ორდენის კავალერი.

**იოსებ ბერიშვილი.** დაიბადა 14.10.1953, გლოლა, ონი. ბერძნულ-რომაული ჭიდაობა (74 და 82 კგ). მსოფლიოს ჩემპიონატის მესამე პრიზიორი (1974), ევროპის ჩემპიონატის მეორე (1976) და მესამე (1974) პრიზიორი, ევროპის თასის მფლობელი (1976). სსრკ ორგზის ჩემპიონი (1976, 77), მეორე (1974) და მესამე (1978) პრიზიორი, ივან პოდდუბნის სახელობის საერთაშორისო ტურნირში ორვზის გამარჯვებული (1974, 77). საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატი.

**მალხაზ ბერუაშვილი.** დაიბადა 14.10.1961, ფცა, ქარელი. სამბო (+100 კგ). მსოფლიოსა (1990) და ევროპის (1991) ჩემპიონი, სსრკ ჩემპიონი (1990), სსრკ ორგზის აბსოლუტური ჩემპიონი (1987, 89). ძიუდოში სსრკ ჩემპიონატსა (1984) და ხალხთა VIII სპარტაკიადაში (1983) გამარჯვებული. საქართველოს ხუთგზის აბსოლუტური ფალავანი ქართულ ჭიდაობაში (1979, 82, 84, 87, 89). საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატი.

**ალექსანდრე ჯორჯაძე.** 15.10.1913, თბილისი - 26.10.1989, იქვე. ტანვარჯიში. მსოფლიოს არაოფიციალური ჩემპიონატის ორგზის გამარჯვებული (1937 - გუნდური პირველობა, ძელზე ვარჯიში), სსრკ სამგზის ჩემპიონი ძელზე ვარჯიშში (1939, 43, 49). იყო საქართველოს ფიზიკური კულტურის ინსტიტუტის დირექტორი (1942-43), ამავე ინსტიტუტის კათედრის გამგე (1966-73), ავლანეთის ნაკრების კონსულტანტი და მთავარი მწვრთნელი (1953-77), იქვე დააარსა ფიზკულტურის ინსტიტუტი (1974). 30 სამეცნიერო-მეთოდური შრომის ავტორი. სსრკ სპორტის დამსახურებული ოსტატი.

**გიორგი ავალიშვილი.** 16.10.1913, თბილისი - 12.07.1986, იქვე. კალათბურთი (183 სმ). თამაშობდა თბილისის "ნაუკაში" (1929-31), "მედსანტრუდში" (1932-34), "სპარტაკში" (1935-36), "სტროიტელსა" (1937) და "დინამოში" (1938-50). სსრკ ჩემპიონატის მეორე პრიზიორი (1947). იყო თბილისის "დინამოს" და საქართველოს კალათბურთელთა ნაკრების მწვრთნელი და მთავარი მწვრთნელი (1945-68). მისი თავკაცობით "დინამო" გახდა სსრკ სამგზის ჩემპიონი (1950, 53, 54), მეორე (1960) და მესამე (1952) პრიზიორი, ორჯერ მოიპოვა სსრკ თასი (1950, 51), საქართველოს ნაკრები კი სსრკ ხალხთა II სპარტაკიადაში (1959) მეორე ადგილზე გავიდა. სსრკ სპორტის დამსახურებული ოსტატი და დამსახურებული მწვრთნელი.

**რამაზ ნოზაძე.** დაიბადა 16.10.1983, თბილისი. ბერძნულ-რომაული ჭიდაობა (96 კგ). მსოფლიო ჩემპიონი (2007), მესამე პრიზიორი (2003), 2004 წლის ათენის ოლიმპიური თამაშების მეორე პრიზიორი, ევროპის ჩემპიონი (2003, 2007), მსოფლიოს თასის ორგზის (2003, 04) და ევროპის თასის (2004) მფლობელი. მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონი ახალგაზრდებს შორის (2003).

ეროვნული ბიბლიოთეკა

# საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტი წარმოგიდგენთ

## ჩოგბურთი



ლადო ჩიხლაძე მსოფლიოს 350-ე ჩოგბურთელია

# ჩიხლაძის ახალი სიმაღლე

ATP-ის ახალ რეიტინგ-ლისტში **ლადო ჩიხლაძეს** კვლავ 94 ქულა აქვს, თუმცა მან მაინც წაიწია წინ და მსოფლიოს 350-ე ჩოგანი გახდა. ეს ლადოსთვის კარიერის მორიგი მიღწევაა. კიდევ ხუთი ქულა დააკლდა ტრავმირებულ **ირაკლი ლაბაძეს** და მას მხოლოდ 9 ქულა დარჩა, შესაბამისად ერთ დროს მსოფლიოს 42-ე ჩოგანმა კიდევ 115 ადგილი დათმო და ახლა 946-ე საფეხურზეა. თვის ბოლოს ირაკლის 6 ქულაც მოაკლდება და ათასეულს დაემშვიდობება. სხვა ქართველები: 1245 (-2) **ნოდარ ითონიშვილი** - 3, 1474 (-) **გიორგი ხრიკაძე** და **გიორგი ჭანტურია** -1-1 ქულა.

WTA-ს რეიტინგში ათი ქართველი ჩოგბურთელია, პირველი ჩოგანი **მაკა ჩახნაშვილი** 4 ადგილით დაწინაურდა და მსოფლიოს 162-ე ჩოგანი გახდა. მაკას 192,5 ქულა აქვს. მაკა წლის რბოლაში 172-ე, ხოლო წყვილთა რეიტინგში 182-ე ადგილებზეა. სხვები: **280 (-1) ანა ტატიშვილი** - 86,7 ქულა; **427 (+1) სოფიო შაფათავა** - 43; **546 (+2) სალომე დევიძე** - 27; **606 (+5) თინათინ ყავლაშვილი** - 21; **626 (+4) ოქსანა კალაშნიკოვა** - 19; **638 (+3) მანანა შაფაქიძე** - 19; **734 (-) სოფიო მელიქიშვილი** - 13; **749 (+4) სოფიო ქვაცაბაია** - 13; **823 (+6) ეკა გორგოძე** - 10. ოქსანა კალაშნიკოვამ და სოფიო ქვაცაბაიამ კვლავ გაიუმჯობესეს კარიერის მიღწევა.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

## ჭადრაკი

მსოფლიო ჩემპიონატი. U 20

# წინ რუსები არიან

**20-წლამდელთა მსოფლიო ჩემპიონატზე როგორც ჭაბუკებში ისე გოგონებში ლიდერებად, რუსი მოჭადრაკეები მოგვევლინენ: ივან პოპოვმა 8.5 ქულა დააგროვა და სამკაციან მდევართა ჯგუფს ნახევარი ქულით უსწრებს; ამდენივე აქვს ვერა ნებოლშინას, თუმცა ეულად ვერ ლიდერობს, - ინდოელ ჰარიკა დრონავალს და პოლონელ იოლანდა ზავადსკასაც 8.5 ქულა მოუგროვდათ.**

გასულ უქმეებზე ჩვენებურთა თამაში წარმატებული იყო და ლიდერთა ხუთეულში ორი ქართველი შევიდა - **დავით ჯოჯუამ** მეთერთმეტე ტურში მეორე ნომერი, ჰოლანდიელი სტელვახენი დაამარცხა შავებით და 7.5 ქულა აქვს, რაც ზუსტად მეხუთე ადგილისთვის არის საკმარისი. 7.5 ქულა აქვს და მეხუთეზეა **სალომე მელიაც**. მელიამ მეთერთმეტე ტურში თეთრებით ესპანელი საბრინა ვეგა-გუტიერესი დაამარცხა და დასრულებამდე ორი ტურით ადრე საჩემპიონო შანსიც გაიჩინა, თუმცა ამისთვის ორივე შეხვედრის მოგებაა საჭირო, წინ მყოფებმა კი უნდა წაიფორხილონ. თუმცა ორი მოგებით მელია პრიზიორობას ნამდვილად შესწვდება.

ცხადია, იმავეს თქმა შეგვიძლია ჯოჯუაზეც, მაგრამ ვგონებ მისი შანსი ოდნავ ნაკლებია, რადგანაც მამაკაცთა საჭადრაკო ძლიერება ამ ტურნირზე თვალსაჩინოა და ორივე პარტიის მოგება არარეალური ჩანს, სხვაგვარად კი ჩემპიონობაზე ფიქრიც არ შეიძლება. პრიზიორობისთვისაც გაუჭირდება ბრძოლა, მაგრამ თუკი შავებით ფავორიტის დამარცხება შეძლო, სხვებთანაც აქვს შანსი. მთავარია, თავად იწამოს და ფსიქოლოგიურად არ შეიზღუდოს.

მელიას გვერდით შეიძლებოდა **სოფიკო გურამიშვილიც** გვეხილა, მაგრამ მეთორმეტე ტურში შავებით მონღოლ ბახტიაგ მონგონტულისთან წააგო. გურამიშვილს 6.5 ქულა აქვს და მეცამეტე ადგილზეა. 6.5 ქულა აქვს **მადონა ბოკუჩავასაც** და მეთექვსმეტეზეა. ზედიზედ რამდენიმე მარცხის შემდეგ გაიმარჯვა **ბელა ხოტენაშვილმა** და 6 ქულით მეოცე ადგილამდე აღზევდა. სამწუხაროდ, ბელას ქულათა მაგარი ბევრისთვის შანსს აღარ ტოვებს...

საპრიზო ადგილებზე ბრძოლისთვის ვერც სხვა ქართველი ჭაბუკები იბრძოლებენ, მაგრამ მაღალი ადგილების დაკავება კი შეუძლიათ და თუ ეს მოახერხეს, რეიტინგითაც გვარიანად წაიწევენ წინ; ზოგიერთმა კი შესაძლოა, დიდოსტატის ან საერთაშორისო ოსტატის ნორმაც შეასრულოს...

სატურნირო მდგომარეობა: 1. ივან პოპოვი (რუს)-8.5; 2. გეორგ მაიერი (გერ)-8; 3. ვანკ ჰაო (ჩინ)-8; 4. აჰმად ადლი (ეგვ)-8; 5. **დავით ჯოჯუა**-7.5; 29. **გიორგი მარგველაშვილი**-6; 36. **თორნიკე სანიკიძე**-5.5; 42. **ლევან ბრეგაძე**-5.5; 56. **გაიოზ ნიგალიძე**-5; 68. **ზურაბ ჯავახაძე**-4; 73. **ალექსი ტერ-კარაპეტიანი**-4.

გოგონები: 1. ვერა ნებოლშინა (რუს)-8.5; 2. ჰარიკა დრონავალი (ინდ)-8.5; 3. იოლანდა ზავადსკა (პოლ)-8.5; 4. ბახტიაგ მონგონტუული (მონღ)-7.5; 5. **სალომე მელია**-7.5; 13. **სოფიკო გურამიშვილი**-6.5; 16. **მადონა ბოკუჩავა**-6.5; 20. **ბელა ხოტენაშვილი**-6; 46. **ელისაბედ ზარქუა**-4.5.

**ზვიად შათირიშვილი**

## ხელბურთი

25-27 ოქტომბერი, ჩელენჯ ტროფი

# თექვსმეტი აქაური და ერთი ლეგიონერი

**საქართველოს ხელბურთელთა ეროვნული ნაკრები "ჩელენჯ ტროფისათვის" მზადებას შეუდგა. პირველ ეტაპზე, ნაკრების მწვრთნელ მამუკა მჟავანაძის განკარგულებაშია საქართველოს ჩემპიონატში მოთამაშე 16 ხელბურთელი და ერთი ლეგიონერი, 20-დან 24 ოქტომბრამდე კი დანარჩენი ლეგიონერებიც ჩამოვლენ.**

გუნდი დაბანაკდა "დინამოს" საკალათბურთო ბაზაზე და დღეში ორჯერ ვარჯიშობს. იმის გამო, რომ "დინამოს" მხოლოდ ერთი საკალათბურთო დარბაზი აქვს, სალამოს ვარჯიში იმართება სპორტკომპლექს "ქარიშხალაში".

აღსანიშნავია, რომ აქამდე, საქართველოს ნაკრების შეკრებისა და ვარჯიშის მუდმივი ადგილი იყო საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ბაზა, მაგრამ ხელბურთის ფედერაციამ და ნაკრების მწვრთნელებმა, ამჯერად "დინამო" და "ქარიშხალა" ამჯობინეს.

ხელბურთის ფედერაციის გენერალური მდივანი **ზურაბ კაკაბაძე** გუშინ კმაყოფილი იყო, რომ მრავალწლიანი პაუზის შემდეგ "ქარიშხალა" კვლავ ხელბურთის სამსახურში ჩადგა: *"საბჭოთა კავშირის დროს, თანამედროვე სტანდარტების "ქარიშხალას" კომპლექსი ხელბურთისთვის აშენდა. თუმცა თითქმის ათი წელია, რაც იგი ხელბურთს აღარ ემსახურებოდა. სიმბოლურია, რომ აქ ეროვნული ნაკრებით დავბრუნდით. იმედია, "ქარიშხალა", ამიერიდან, კიდევ არაერთხელ ამოგვიდგება გვერდში."* - გვითხრა კაკაბაძემ.

გუშინდელ სალამოს ვარჯიშზე, ნაკრების მწვრთნელების - **მამუკა მჟავანაძის, ლევან გელაშვილისა** და მათი კონსულტანტის - **იმედო ფხაკაძის** განკარგულებაში იყო 17 ხელბურთელი. აქედან, მხოლოდ ერთია ლეგიონერი - თურქეთში მოთამაშე **შოთა გრიშიკაშვილი**. რაკილა თურქეთის ჩემპიონატი ნოემბერში იწყება, იგი ყველაზე ადრე ჩამოვიდა.

მთლიანობაში, აღნიშნული ჩვიდმეტეული ასე გამოიყურება:

მეკარეები: **შოთა თევზაძე, გაგა სამყურაშვილი** (ორივე სტუ-თელავი), **კორნელი ანდრიაძე** (თბილისი)

მოედნის მოთამაშეები: **მამია კობახიძე, ამირან ყიფიანი, ომარ ყიფიანი, დავით ნიკოლაიშვილი, გიორგი ქობელაშვილი, ირაკლი ჩიქოვანი, ილია გოგალაძე** (ყველა სტუ-თელავი), **ირაკლი ქირია, ირაკლი ლალანიძე, გიორგი წივწივაძე, დავით ფორაქიშვილი, ვანო ქარდავა, ტიტე კალანდაძე** (ყველა თბილისი), **შოთა გრიშიკაშვილი** ("ორმან სპორტკლუბი", თურქეთი).

აღსანიშნავია, რომ ნაკრებში გამოძახებული იყო კიდევ ორი სტუ-თელაველი - **აკაკი ტალახაძე** და **ლევან ბერძენიშვილი**, თუმცა ისინი შაბათს უკრაინაში გაფრინდნენ, სადაც ადგილობრივ "შახტარში" სინჯებს გაივლიან. რაკილა მათი თბილისში დაბრუნების დრო გაურკვეველია, მჟავანაძემ სტუ-დანვე მოიწვია გოგალაძე და ჩიქოვანი.



ლევან გელაშვილი ახალ, მწვრთნელის თანაშემწის ამპლუაში

რაც შეეხება დანარჩენ ლეგიონერებს, ისინი თბილისში ჩამოვლენ 24 ოქტომბრამდე. ყველაზე ადრე, 20 ოქტომბერს ელიან **ანდრო ანდრიაშვილს**, ხოლო ყველაზე გვიან, 24 ოქტომბერს **სერგო დათუკიშვილი** ჩამოფრინდება.

ჯერჯერობით, ნაკრების ხელმძღვანელობა თავს იკავებს ლეგიონერთა საბოლოო სიის გაცხადებისაგან. ამასწინათ, "ლელოსთან" ინტერვიუში, მამუკა მჟავანაძემ დაასახელა ლეგიონერთა გაფართოებული შემადგენლობა: **სერგო დათუკიშვილი** ("ტუს ენ ლიუბეკი", გერმანია), **ვლადიმერ რუსია** ("დინამო", რუმინეთი), **რატი მსხვილიძე** ("სტიარნანი", ისლანდია), **რეზო ჭანტურია** ("მეტალურგი", მაკედონია), **გარი თურქია** ("პოსეიდონი", საბერძნეთი), **ანდრო ანდრიაშვილი** ("არანგა სორია", ესპანეთი), **გიორგი გვაზავა** ("ბორდილსი", ესპანეთი).

როგორც ლევან გელაშვილმა გვითხრა, თბილისში ჩამოსული ყველა ლეგიონერი განიხილება ნაკრების პოტენციურ წევრად, დანარჩენი კი შეკრებისას გადაწყდება.

წინასწარი მოლაპარაკებების შედეგად, ყველა ლეგიონერი მზადაა, რომ "ჩელენჯ ტროფიზე" ითამაშოს. ჯერჯერობით, გაურკვეველია მხოლოდ **გარი თურქიას** საკითხი, რომელსაც საბერძნეთის ნაკრების შემადგენლობაში, ამხანაგური მატჩი აქვს ნათამაშები. მართალია, ეს მას ხელს ვერ შეუშლის, რომ საქართველოს ნაკრებს დაეხმაროს, მაგრამ ყოველი შემთხვევისთვის, ევროპის ხელბურთის ფედერაცია მაინც საქმის კურსშია ჩასაყენებელი...

რაც შეეხება მეტოქეებს, აზერბაიჯანი და სომხეთი გვესტუმრებიან 24 ოქტომბერს და სპორტის სასახლეში ივარჯიშებენ. იმავე დღეს, განახლებული სპორტის სასახლის არენას დააჭაშნიკებს საქართველოს ნაკრებიც. რაც შეეხება მოლდოვას, იგი 25 ოქტომბერს, პირდაპირ პირველ ტურზე ჩამოვა. ამ დღეს მოლდოველები ეთამაშებიან ქვეჯგუფის გამოკვეთილ აუტსაიდერ სომხეთს, რომელსაც ალბათ ცალი ხელით მოუგებენ და "ჩელენჯ ტროფიმდე" ერთი დღით ადრე ჩამოსვლით თავს არ იწუხებენ...

როგორც გუშინ ხელბურთის ფედერაციიდან გვაცნობეს, ტურნირის პირდაპირი რეპორტაჟის გადაცემის თაობაზე, "იმედის" გარდა, მოლაპარაკება მიმდინარეობს საზოგადოებრივ მაუწყებელთანაც და წესით, ყველაფერი დღეს უნდა გადაწყდეს. მოლაპარაკებების დასრულების შემდეგ, საბოლოოდ დამტკიცდება მატჩების დაწყების დროც. ყველაფერი პირდაპირი ტრანსლაციების განმახორციელებელი ტელეკომპანიის საეთერო ბადეზეა დამოკიდებული...

რაც შეეხება უშუალოდ გუშინდელ ვარჯიშს, პირველ დღეს მწვრთნელებს დიდად არ დაუტვირთავთ შეგირდები. ტრადიციული მოთელვების შემდეგ, გაჩაღდა პასებზე, კომბინაციების დამუშავებასა და კარში დარტყმებზე ვარჯიში. გულზე ხელი რომ დავიდოთ, ხელბურთელთა უმეტესობის კარში დარტყმის ხარისხი ცოტა უკეთესის სურვილს ტოვებდა, მაგრამ ეგ არაფერი. მთავარია, ვინც განაცხადში მოხვდება, 25-27 ოქტომბერს გაისწოროს სამიზნე!

**კობა ხატისაშვილი**

## ველოსპორტი

# ტრეკზე რბოლა აღორძინდება



აზერბაიჯანელ და ქართველ ველომრბოლებს ტრადიციული მეგობრობა აკავშირებთ. ამ დღეებში ბაქოში მიწვეულნი იყვნენ თბილისის სპორტკლუბ "იბერიის" (პრეზიდენტი **ვლადიმერ ასკურავა**) ველომრბოლები, რომლებმაც, მასპინძლებთან ერთად ომნიუმის სპრინტერულ რბოლებში იასპარეზეს ხუთ დისტანციაზე. ქართველები წარმატებით გამოვიდნენ და საერთო გამარჯვებაც მათ დარჩათ. ხუთიდან ოთხი რბოლა მოიგო ჩვენი გუნდის ლიდერმა **დავით ასკურავამ**. ჯგუფურ რბოლაში პირველობა არავის დაუთმო **ამირან სვანიძემ**. სამ დისტანციაზე მეორე იყო თბილისური კლუბის ქუთაისელი წევრი **ნოდარ ყვავაძე**.

ჩვენი გუნდი მოამზადეს საქართველოს დამსახურებულმა მწვრთნელმა **ალბერტ თავაძემ** და სპორტის ოსტატმა **როდიკო მეიშვილმა**.

ნოემბერში ქართველები სომხეთში არიან მიწვეულნი. ასეთ ღონისძიებებში მონაწილეობა ხელს უწყობს ჩვენში სატრეკო ველორბოლის ტრადიციების აღორძინებას.

**ბესო ნადირაძე**
*საქართველოს ველოსპორტის ფედერაციის პრეზიდენტი*

BTA Silk Road Bank
კვარციტი QUARTZITE
LOYAL CAPITAL group


ჯოშ ლუსი ფინალში ვერ ითამაშებს

# აფრიკა ფინალის მასპინძელია

ინგლისს ფინალისთვის უკვე აქვს პირველი დანაკლისი. გარემარბი **ჯოშ ლუსი**, რომელმაც საფრანგეთთან თამაშში კუნთი გაიწყვიტა, შაბათს ვერ ითამაშებს. 30 წლის ლუსი წინა მსოფლიო თასზეც ძირითადი თხუთმეტეულის წევრი იყო და ამდენად, მსოფლიო ჩემპიონია. მისი აზრით, სამხრეთი აფრიკა ფინალში ფავორიტი იქნება: *- სხვა თუ არაფერი, აქ 36:0 დაგვანგრიეს და ამ ზაფხულს კიდევ ორჯერ მოგვიგეს, მაგრამ, ჩვენს გუნდში ყველანაირი ტიტულის მომგები ხალხი თამაშობს - ევროთასების, დიდი სლემების, თვით მსოფლიო თასისაც და არავის ესწავლება, როგორ უნდა ითამაშოს გადამწყვეტ მატჩში. ავსტრალიასა და საფრანგეთთან ჩვენ ყველა შანსი გამოვიყენეთ, რაც კი მეტოქემ მოგვცა. რატომ არ უნდა გავაგრძელოთ ასე ფინალშიც?*

ასე ამხნევებს ლუსი თანაგუნდელებს, მაგრამ თავად როგორ ხასიათზე იქნება, ფოტოპორტრეტიდანაც კარგად ჩანს. მას მარცხენა ფლანგზე უთუოდ შეცვლის **დან ჰიპკისი**, რომელიც ფრანგებთან ძალიან კარგად ჩაერთო თამაშში და შემოსვლისთანავე ძალიან სახიფათო სიტუაციიდან იხსნა თავისი გუნდი, არც შეტევაში შეშლია არაფერი. საერთოდ, **ბრაიან ეშტონს** უკანა ხაზში ძალიან ცოტა ჯანსაღი მოთამაშე შერჩა და ამიტომ სპეციალურად ფინალისთვის გამოიძახა "ბასის" 21 წლის ფულბეკი **ნიკ აბენდენონი**, რომელსაც ალბათ სკამზე დასვამს. ხომ წარმოგიდგენიათ, იღბლის რამხელა წყალობაა?

სამხრეთ აფრიკას ყველა მწყობრში ჰყავს, თუ არ ჩავთვლით თავდაპირველ ძირითად 12 ნომერს **ჟან დევილიეს**, რომელიც სწორედ ინგლისთან პირველ მატჩში დაშავდა, მომდევნო მატჩებში კი შეცვალა ახალგაზრდა **ფრანსუა შტაინმა**. სხვათა შორის, სამხრეთი აფრიკა ფინალში მასპინძლად ჩაითვლება. "ქურციკებმა", ისევე როგორც ფრანგებმა გუშინ მოიგეს წილისყრა, რაც იმას ნიშნავს, რომ "სტად დე ფრანსზე" მასპინძელი გუნდის გასახდელში გამოიცვლიან. ნახევარფინალში ეს კარგი ნიშანი იყო - დიახ, ინგლისი სწორედ "მასპინძელი" გახლდათ საფრანგეთთან, ხოლო აფრიკა - არგენტინასთან.

არგენტინასაც გაუხდა ერთი კაცი შესაცვლელი ნახევარფინალის შემდეგ. დაშავდა **მარიო ლედესმა**, რის შემდეგაც ბრინჯაოს მატჩში კვაჭად **ალბერტო ვერნეტ-ბასუალდო** დადგება, ხოლო მარქაფად შინიდან გამოიძახეს **ეუსებიო გინიასუ**.

ფრანგებს ალბათ არავინ დააკლდება. მოელოდნენ, რომ ტრიბუნალზე დაიბარებდნენ **სებასტიან შაბალს**, რომელმაც მეორე ტაიმის დასაწყისში ვირულად შებოჭა **საიმონ შოუ**, მაგრამ მატჩის კომისარმა "კატორლელის" საქციელში ბოროტი განზრახვა ვერ აღმოაჩინა.

ფინალის არბიტრია ირლანდიელი **ალენ როლანი**. თანამსაჯები - ფრანგი **ჟოელ ჟუტჟი** და ზელანიდელი **პოლ ჰონისი**. ჰონისი წინადღით ბრინჯაოს ფინალის არბიტრიც იქნება.

**ნიკოლოზ აბაშიძე**

# მსოფლიო თასის სტატისტიკა

IRB RUGBY WORLD CUP 2007 FRANCE

| ბომბარდირები | თ | ქ | ლ | გ | ს | ა |
|---|---|---|---|---|---|---|
| პერსი მონტგომერი (ს.აფრ) | 6 | 93 | 2 | 22 | 13 | - |
| ფელიპე კონტეპომი (არგ) | 6 | 72 | 1 | 8 | 17 | - |
| ჯონი ვილკინსონი (ინგ) | 4 | 61 | - | 5 | 12 | 5 |
| ნიკ ევანსი (ზელ) | 4 | 50 | 2 | 20 | - | - |
| ქრის პატერსონი (შოტლ) | 5 | 46 | 1 | 10 | 7 | - |
| პიერ ჰოლა (ტონგა) | 4 | 44 | - | 7 | 10 | - |
| ჟან-ბატისტ ელისალდი (საფ) | 6 | 44 | 1 | 12 | 5 | - |
| ნიკი ლითლი (ფიჯი) | 3 | 42 | - | 9 | 8 | - |
| ლიონელ ბოსი (საფ) | 5 | 41 | 1 | 6 | 8 | 0 |
| დან კარტერი (ზელ) | 3 | 40 | 1 | 10 | 5 | - |
| მეტ გიტო (ავს) | 4 | 40 | 3 | 8 | 3 | - |
| ბრაიან ჰაბანა (ს.აფრ) | 5 | 40 | 8 | - | - | - |
| სტირლინგ მორტლოკი (ავს) | 3 | 37 | 1 | 10 | 4 | - |
| დრიუ მიჩელი (ავს) | 5 | 35 | 7 | - | - | - |
| დავიდ ბორტოლუსი (იტა) | 4 | 32 | - | 4 | 8 | - |
| სტივენ ჯოუნზი (უელსი) | 4 | 31 | - | 11 | 3 | - |
| დაგ ჰაულიტი (ზელ) | 3 | 30 | 6 | - | - | - |
| შეინ ვილიამსი (უელსი) | 4 | 30 | 6 | - | - | - |
| ლოკი კრიჩტონი (სამ) | 4 | 27 | - | 3 | 7 | - |
| მაიკ ჰერკასი (აშშ) | 4 | 26 | - | 4 | 6 | - |
| ჯო როკოთოკო (ზელ) | 3 | 25 | 5 | - | - | - |
| ვენსან კლერი (საფ) | 5 | 25 | 5 | - | - | - |
| ქრის ლეითემი (ავს) | 5 | 25 | 5 | - | - | - |
| შოტარო ონიში (იაპონია) | 3 | 24 | - | 3 | 6 | - |
| ჯეიმზ ჰუკი (უელსი) | 4 | 23 | 1 | 3 | 4 | - |
| მერაბ კვირიკაშვილი (საქ) | 4 | 23 | - | 4 | 5 | - |
| გევინ ვილიამსი (სამოა) | 2 | 22 | 1 | 1 | 5 | - |
| ჯეიმზ პრიჩარდი (კან) | 4 | 21 | - | 3 | 5 | - |

## მელელოვეები

**8** - ბრაიან ჰაბანა (ს.აფრ)

**7** - დრიუ მიჩელი (ავს)

**6** - დაგ ჰაულიტი (ზელ), შეინ ვილიამსი (უელ)

**5** - ვენსან კლერი (საფ), ჯო როკოთოკო (ზელ), ქრის ლეითემი (ავს)

**4** - ჟუან სმითი, ჟაკ ფური, ჯეიპი პიტერსენი (ს.აფრ), პოლ საკი (ინგ), რორი ლემონი (შოტ), სიტივენი სივივატუ (ზელ)

**3** - ლუკას ბორხესი (არგ), მარტინ ვილიამსი (უელ), ისაია ტოეავა, რიჩი მაკქოუ, ჯერი კოლინზი, აარონ მეიჯერი, კონრად სმითი (ზელ), ალისტერ ჰოგი (შოტ), მეტ გიტო, როკი ელსომი (ავს), ვილიმონი დელასაუ, კელე ლეავერე, აკაპუსი ქერა (ფიჯი), მარიუს ტინკუ (რუმ), ლიონელ ნალე (საფ)

**2** - ბრაიან ოდრისკოლი (ირლ), მარტინ ქორი (ინგ), ალუნ-ვინ ჯოუნზი (უელ), კამელი რატუვოუ (ფიჯ), ენდრიუ ჰორი, ქრის მასოი, ნიკ ევანსი, ალი ვილიამსი (ზელ), ჯორჯ სმითი, ადამ ეშლი-კუპერი, ბერიკ ბარნსი, ადამ ფრაიერი (ავს), ტიერი დუზოტუარი, ჟულიენ ბონერი, ქრისტოფ დომინისი, სებასტიან შაბალი (საფ), მანუელ კონტეპომი, ხუან ლეგისამონი, იგნასიო კორლეტო (არგ), კოსუკე ენდო, ლუკ თომპსონი (იაპ), ფური დუპრე, რუან პინარი, პერსი მონტგომერი (ს.აფრ), ანდრეა მაზი (იტა), სუკანაივალუ ჰუფანგა, ვილიამი ვაკი (ტონ), ტაკუძვა ნგვენია, ლუის სტენფილი (აშშ)

## მეარეკნეები

**5** - ჯონი ვილკინსონი (ინგ)

**4** - ხუან მარტინ ერნანდესი (არგ)

**2** - ბერიკ ბარნსი (ავს)

**1** - რონან ოგარა (ირლ), ემილ ვესელსი (ნამ), გონსალო მალეირუ (პორ)

ყველა დროის: **ჯონი ვილკინსონი** (ინგ) - 13 (14 თამაშში), **იანი დებეერი** (ს.აფრ) - 6 (5), **რობ ენდრიუ** (ინგ) - 5 (13), **გარეს რიისი** (კან) 5 (13), **ხუან მარტინ ენრანდესი** (არგ) - 4 (8), **გრეგორ თაუნსენდი** (შოტ) - 3 (10), **ჟოელ სტრანსკი** (ს.აფრ) - 3 (5), **ჯონათან დევისი** (უელ) - 3 (6), **ენდი მერთენსი** (ზელ) - 3 (10)

ინტერვიუ კოკა ლაზიშვილთან

# ინებეთ ტესტი ტონგასთან და კანადასთან

**პარიზში წუხელ დასრულდა IRB-ის გენერალური ასამბლეა, სადაც მსოფლიო რაგბის მრავალ საჭირბოროტო საკითხზე ისაუბრეს. თუმცა ჩვენთვის ყველაზე საინტერესო მსოფლიო თასზე გუნდების შემცირების თემაა, რომლის განხილვაც, ასამბლეის გადაწყვეტილებით, სამომავლოდ გადაიდო. პარიზში იმყოფებოდა საქართველოს რაგბის კავშირის ვიცე-პრეზიდენტი კოკა ლაზიშვილი, რომელსაც გუშინვე ტელეფონით დავუკავშირდით.**

- ასამბლეის სხდომა IRB-ის შეფმა სიდ მილარმა გახსნა. თავის მოხსენებაში მან ხაზგასმით გამოყო მსოფლიო თასზე მონაწილეთა შორის ორი გუნდი: საქართველოსა და ფიჯის ნაკრებები. მისი თქმით, სწორედ ეს გუნდები არიან პროგრესის ყველაზე თვალსაჩინო ნიმუში.

**- IRB-ის დიდმოხელეთა ეს მოსაზრება აქამდეც ცნობილი იყო სხვადასხვა მედიასაშუალების მეოხებით. რამდენად იმოქმედებს ის მომავალ მსოფლიო თასზე გუნდების შემცირებასთან დაკავშირებული საკითხის განხილვაში?**

- თავიდანვე უნდა ითქვას, რომ ჩვენთვის ამ უმნიშვნელოვანესი საკითხის განხილვა სამომავლოდ გადაიდო. IRB-ის წევრები სავარაუდოდ ან ნოემბერში შეიკრიბებიან, ან რაც ყველაზე უფრო რეალურია - აპრილში. თუმცა თვით ფაქტი, რომ გადაწყვეტილების მიღება გადაიდო, მნიშვნელოვანია, რადგან გუნდების შემცირება თითქმის გადაწყვეტილი იყო. ახლა, ჩვენი და კიდევ რამდენიმე გუნდის თამაშმა ყველა სერიოზულად დააფიქრა.

**- რა განწყობაა ამ თემასთან დაკავშირებით კულუარებში?**

- სიდ მილარისა და ჟან კლოდ ბაკეს გარდა, ამ საკითხზე თითქმის ყველას ველაპარაკე და გარწმუნებთ, გუნდების შემცირების მომხრე არავინაა. მხოლოდ ზელანდიელები ჭოჭმანობენ. ვნახოთ, რას გადაწყვეტენ საბოლოოდ.

**- რამე ხომ არ თქმულა ჩვენი გუნდის მეორე დონეზე გადაყვანასთან დაკავშირებით?**

- ამასთან დაკავშირებით არანაირი ოფიციალური განცხადება არ გაკეთებულა. კულუარებში ვესაუბრე IRB-ის განვითარების კომიტეტის შეფს მარკ იგანს. მან აღნიშნა, რომ მეორე დონეზე გადასასვლელად მარტო ნაკრების მიერ ნაჩვენები შედეგები არაა საკმარისი. ამისათვის მთლიანად ქვეყანა უნდა იყოს მზად. საჭიროა გამართული ინფრასტრუქტურა, სარაგბო აკადემია, საერთაშორისო კატეგორიის მსაჯების კონტინგენტი, ასამაღლებელია ეროვნული ჩემპიონატის დონე. ამიტომ, რაც უფრო მალე ამოქმედდება ის პროგრამა. რაზეც ახლა ვმუშაობთ სახელმწიფოსთან ერთად, მით მალე გადავალთ მეორე დონის ქვეყნების რიგში. სხვათა შორის, სახელმწიფოს დახმარების გაზრდის თაობაზე IRB-ში ინფორმირებულნი არიან და ამბობენ, რომ დახმარება მათი მხრიდანაც გაიზრდება.

მარკ იგანთან საუბრისას მივიღეთ გარანტია, რომ მომავალ წელს ტონგასთან და კანადასთან აუცილებლად გავმართავთ ტესტმატჩებს. ივნისში იტალიისა და ირლანდიის ნაკრებებთან თამაში მოვთხოვეთ და აქაც დახმარება აღგვითქვა. ასევე თითქმის გადაწყვეტილია, რომ ევროპის საკლუბო თასებზე საქართველოს A ნაკრებს დაუშვებენ.

10 ნოემბერს მარკ იგანი პორტუგალიასთან თამაშზე დასასწრებად ჩამოვა. ამ და სხვა საკითხებზე უფრო დეტალურად სწორედ მაშინ ვისაუბრებთ.

**ბესიკ ჯანგავაძე**



კოკა ლაზიშვილი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტურნირების მიმოხილვა

# ტურს ახალი ჩემპიონი ჰყავს

ძალიან ძლიერად ატარებს სეზონის მეორე ნაწილს ხორვატი **ივო კარლოვიჩი**, რომელმაც სტოკჰოლმში ჩემპიონობით, წლეულს მესამე საერთეულო ტიტული გაიფორმა.

ეისების წვიმა დაატყდა თავს კარლოვიჩის ყველა ოპონენტს და თუ გავითვალისწინებთ იმასაც, რომ შვედეთში კორტის საფარი სწრაფი და აქედან გამომდინარე, ძლიერი მომწოდებლებისთვის ხელსაყრელი იყო, კარლოვიჩის დამარცხება მილებაზე თითქმის იდეალური თამაშით გახდებოდა შესაძლებელი.

ივომ ბეწვის ხიდზე მეოთხედფინალში გაიარა, როდესაც ფრანგ **არნო კლემანთან** მესამე სეტში, 5:6-ზე ერთი მატჩ პოინტის გადარჩენა მოუხდა. მან ეს ეისით გააკეთა და ეისითვე ჩაამთავრა მარათონული შეხვედრა, რომელიც თითქმის სამ საათს გაგრძელდა და რომლის მსვლელობისას, კარლოვიჩმა 30 ეისი მოაწოდა. ეს ივოსთვის სეზონში 35-ე მოგებული შეხვედრა იყო.

ფინალში კარლოვიჩი მასპინძელ **ტომას იოჰანსონს** შეხვდა. ავსტრალიის ღია პირველობის ყოფილი ტრიუმფატორი ტრავმირებული იყო და ბოლომდე არც კი იცოდა, გავიდოდა თუ არა კორტზე. საბოლოოდ, ტომასს კორსეტით თამაში მოუხდა.

28 წლის ივომ ამჯერად 30 ეისი ვერ გაისროლა, მაგრამ საბოლოო გამარჯვებისთვის 27 აულებელი მოწოდებაც იკმარა. ოთხ მატჩში კარლოვიჩმა 106 ეისი დააგროვა და მხოლოდ 11 ორმაგი შეცდომა დაუშვა.

პირველი სეტის მეექვსე გეიმში იოჰანსონმა ჯერ ორმაგი შეცდომა დაუშვა, მერე კი, ბრეიკ პოინტზე ფორჰენდის შესრულებისას, ბურთი აუტში გაგზავნა. კარლოვიჩმა მინი-ბრეიქი შეინარჩუნა და პირველი სეტი სულ რაღაც 28 წუთში 6:3 მოიგო.

იოჰანსონმა მეორე სეტის დასაწყისშივე მოიპოვა უპირატესობა, როდესაც კარლოვიჩს ბრეიკი, 15:40 ჩამორჩენის შემდეგ გაუკეთა. სეტობრივი თანაფარდობის აღსადგენად, შვედმა მეორე პარტიაში 34 წუთი იკმარა.

ბოლო სეტში კი, კარლოვიჩის მოწოდება სტაბილურობის ეტალონად იქცა. ივომ საკუთარ მოწოდებაზე მხოლოდ 3 გათამაშება წააგო და 21 წუთში მოამთავრა ყველაფერი. იოჰანსონის მოწოდება მან მეორე და მეოთხე გეიმებში აიღო.

გახარებულ გოლიათს ტურნირის მთავარი პრიზი ლეგენდარულმა **ბიორნ ბორგმა** გადასცა, რომელსაც სტოკჰოლმში ტიტული 1980 წელს მოიგო.

ამ გამარჯვებით, ივო კარლოვიჩი გახდა მხოლოდ მეორე მოთამაშე, რომელსაც მიმდინარე სეზონში ტურნირები სამ სხვადასხვა საფარზე აქვს მოგებული. მანამდე, იგივეს გაკეთება **როჯერ ფედერერმა** მოახერხა, კარლოვიჩის უნივერსალიზმი კი, შემდეგ ტურნირებზე გამოჩნდა - ჰიუსტონი (თიხნარი), ნოტინგემი (ბალახი) და სტოკჰოლმი (ჰარდი).

ხორვატს 2007-ში უკვე 1135 ეისი დაუგროვდა, თუმცა ყველა დროის რეკორდამდე ძალიან ბევრი უკლია (1996 წელს, **გორან ივანიშევიჩმა** 1477 ეისი დააგროვა), რადგან სეზონის ბოლომდე ცოტა ტურნირია დარჩენილი.

■ ■ ■

ვენაში **ნოვაკ ჯოკოვიჩმა** ამ სეზონში მეხუთედ იჩემპიონა და ფინალში შვეიცარიელი **სტანისლას ვავრინკა** 75 წუთში 6:4, 6:0 დაამარცხა.

გადამწყვეტი, პირველი სეტის მესამე გეიმი გამოდგა, რომელშიც ჯოკოვიჩმა მხოლოდ მეოთხე ბრეიკ-პოინტით მოახერხა მეტოქის მოწოდების აღება. გეიმი 13 წუთს გაგრძელდა.

ნოვაკს 2007-ში ყველაზე მეტი, 65 საერთეულო გამარჯვება დაუგროვდა, მეორე ადგილზე მყოფ **რაფაელ ნადალს** კი, სამი მატჩით ნაკლები აქვს მოგებული.

■ ■ ■

მოსკოვში, კრემლის თასის ზედიზედ მეორედ მოიგო რუსმა **ნიკოლაი დავიდენკომ**. ეს მისთვის ამ სეზონში პირველი, კარიერაში კი მეთერთმეტე ტიტული გახლდათ.

ATP-ის ტურზე რუსი ჩოგბურთელის ბოლო გამარჯვება 2006 წლის ოქტომბრის თვით თარიღდებოდა, როცა მან პარიზის მასტერსის ფინალში **დომინიკ ჰრბატის** დამარცხება შეძლო.

■ ■ ■

მოსკოვშივე, იმავე კრემლის თასის ქალთა ფინალში, კიდევ ერთმა მასპინძელმა იმარჯვა. **ელენა დემენტიევამ** მეხუთე ურთიერთშეხვედრაში პირველად აჯობა **სერენა უილიამსს**. მანამდე, რუსს ამერიკელისთვის ერთი სეტიც არ ჰქონდა მოგებული.

გარდა ამისა, ელენამ კიდევ ერთი უსიამოვნო ტრადიცია დაარღვია. აქამდე ის ორჯერ იყო კრემლის თასის ფინალში და ორივეჯერ დათმო ტიტული, კვირას კი, როგორც იქნა, სამშობლოში ნანატრი გამარჯვება ელირსა.

■ ■ ■

ბანგკოკის მთავარი პრიზი კი, მოულოდნელად **ფლავია პენეტამ** მოიგო. იტალიელმა მთავარი გამარჯვება ნახევარფინალში მოიპოვა, როდესაც **ვენუს უილიამსს** აჯობა, ფინალში კი **იუნ-იან ჩანს** კლასის ხარჯზე მოუგო.

გადამწყვეტ მატჩში პენეტამ მხოლოდ 4 უნებლიე შეცდომა დაუშვა და კარიერაში მეოთხედ გაჩემპიონდა.

**ზურაბ თალაკვაძე**



ივო კარლოვიჩი

**ATP**

**BA-CA Tennis Trophy**

ვენა (ავსტრია). ჰარდი
**საპრიზო ფონდი**: 642 750 ევრო

**ფინალი**

**ნოვაკ ჯოკოვიჩი (სერ, 1)**-სტანისლას ვავრინკა (შვეიც) 6:4, 6:0.

**კრემლის თასი**

მოსკოვი (რუსეთი). ხალიჩა
**საპრიზო ფონდი**: 1 000 000 დოლარი

**ფინალი**

**ნიკოლაი დავიდენკო (1)**-პოლ ანრი მატიო (4, საფ) 7:5, 7:6.

**სტოკჰოლმის ღია**

სტოკჰოლმი (შვედეთი). ჰარდი
**საპრიზო ფონდი**: 680 250 ევრო

**ფინალი**

**ივო კარლოვიჩი (ხორ, 7)**-ტომას იოჰანსონი (შვედ) 6:3, 3:6, 6:1.

**WTA**

**კრემლის თასი**

მოსკოვი (რუსეთი). ხალიჩა
**საპრიზო ფონდი**: 1 000 000 დოლარი

**ფინალი**

**ელენა დემენტიევა (რუს)**-სერენა უილიამსი (აშშ, 4) 5:7, 6:1, 6:1.

**ბანგკოკის ღია**

ბანგკოკი (ტაილანდი). ჰარდი
**საპრიზო ფონდი**: 200 000 დოლარი

**ფინალი**

**ფლავია პენეტა (იტა)**-იუნ-იან ჩანი (ჩინ) 6:1, 6:3.



ენდი მიურეი

სკანდალი

# მიურეი ჩაწყობილ თამაშებზე ალაპარაკდა

ბოლო ერთი თვის განმავლობაში, ბრიტანელი **ენდი მიურეი** მეორედ გამოეხმაურა ჩაწყობილი თამაშების გამო ატეხილ სკანდალს. მსოფლიოს მე-17 ჩოგანი ღიად აცხადებს, რომ თანამედროვე ჩოგბურთში ასეთი შემთხვევები ხშირად ხდება.

*"სამწუხაროა, რომ ყველა ყველაფერს ხედავს, მაგრამ ხმას არავინ იღებს. ბევრი ჩოგბურთელი, ვისთანაც საუბარი მქონია, მსგავსი პრობლემის არსებობას უჩივის, მაგრამ მხოლოდ პირადი საუბრებით პრობლემა ვერ მოგვარდება"*, - აცხადებს მიურეი.

*"ამის დამტკიცება ძალიან რთულია. თანაც, ამით არა ჩვენ, არამედ პროფესიული ტურის ჩინოვნიკები და შესაბამისი ორგანოები უნდა იყვნენ დაინტერესებულნი. იმედი მაქვს, რომ ისინი ამ პრობლემის მოგვარებით დაკავდებიან. პირადად მე, მზად ვარ გამოძიებას დავეხმარო. ჩაწყობილ მატჩებს აუცილებლად უნდა ვებრძოლოთ, თუმცა მესმის, რომ ეს ძალიან რთული იქნება"*, - მოჰყავს ჩოგბურთელის სიტყვები სააგენტო "როიტერს".

მიურეის თქმით, ჩოგბურთში პრაქტიკულად შეუძლებელია, შეამჩნიო და დაამტკიცო, ჩაწყობილია თუ არა მატჩი. *"მოთამაშემ შეიძლება მთელი შეხვედრა იბრძოლოს, მაგრამ გადამწყვეტ გეიმებში რამდენჯერმე შეცდება, ერთ-ორ ორმაგ შეცდომას დაუშვებს და საქმე გაკეთებულია".*

*"ჩოგბურთელის კარიერა 10 წელიწადზე ოდნავ მეტ ხანს გრძელდება. ამ დროის განმავლობაში, მან მთელი დარჩენილი ცხოვრების სამყოფი თანხა უნდა შეაგროვოს. მაგრამ არიან ბიჭები, რომლებიც ტურნირებზე პირველ წრეს ვერ ცდებიან და 2500 ევროზე მეტს ვერ იღებენ. მათ ხომ, ფრენისა და სხვა უამრავი ხარჯის დაფარვა უწევთ"*, - ასე ასრულებს "როიტერთან" საუბარს მიურეი.

ტრავმა

# შარაპოვა ისევ ისვენებს

რუსი **მარია შარაპოვა** WTA-ს მორიგ ორ ტურნირს გამოტოვებს. მსოფლიოს მეხუთე ჩოგანი ამ კვირას ვერ შეძლებს შვეიცარიის ქალაქ ციურიხში შარშან მოპოვებული ტიტულის დაცვას. გარდა ამისა, რუსი ჩოგბურთელი ვერც ავსტრიის ქალაქ ლინცის ტურნირზე გამოვა, რომელიც 22 ოქტომბერს უნდა დაიწყოს.

შარაპოვას უარის ოფიციალური მიზეზი, მხარის ტრავმა გახლავთ. სწორედ ამ დაზიანების გამო, მარიამ ამ სეზონის დიდი ნაწილი გააცდინა.

ამდენი უქმობის შედეგად, რუსი ჩემპიონთა რბოლაში მერვე ადგილამდე ჩამოქვეითდა. ჯერჯერობით, შარაპოვა სოლიდური სხვაობით უსწრებს მეცხრე ადგილზე მყოფ სლოვაკ **დანიელა ჰანტუხოვას**, მაგრამ მაინც არსებობს იმის შანსი, რომ მარია ვერ მოხვდეს წელიწადის შემაჯამებელ ტურნირში.

შეგახსენებთ, რომ აშშ-ის ღია პირველობის მესამე წრეში დამარცხების შემდეგ, შარაპოვა გასულ კვირას, კრემლის თასზე დაუბრუნდა კორტს, მაგრამ პირველივე წრეში დამარცხდა ბელარუს **ვიქტორია აზარენკასთან** (6:7, 2:6).



მარია შარაპოვა

## რეიტინგები

| ATP-ის რეიტინგი | |
|---|---|
| 1(1). როჯერ ფედერერი (შვეიც) | 7355 |
| 2(2). რაფაელ ნადალი (ესპ) | 5385 |
| 3(3). ნოვაკ ჯოკოვიჩი (სერ) | 4370 |
| 4(4). ნიკოლაი დავიდენკო (რუს) | 3255 |
| 5(5). ენდი როდიკი (აშშ) | 2505 |
| 6(6). ფერნანდო გონსალესი (ჩილ) | 2245 |
| 7(8). დავიდ ფერერი (ესპ) | 2130 |
| 8(7). ჯეიმს ბლეიკი (აშშ) | 2110 |
| 9(9). ტომი რობრედო (ესპ) | 2035 |
| 10(12). ტომი ჰაასი (გერ) | 1940 |
| 11(10). ტომას ბერდიჩი (ჩეხ) | 1935 |
| 12(11). რიშარ გასკე (საფ) | 1885 |
| 13(13). ივან ლუბიჩიჩი (ხორ) | 1675 |
| 14(14). გილერმო კანიასი (არგ) | 1673 |
| 15(15). კარლოს მოია (ესპ) | 1620 |
| 16(16). ხუან იგნასიო ჩელა (არგ) | 1485 |
| 17(18). ენდი მიურეი (ბრიტ) | 1480 |
| 18(17). მიხაილ იუჟნი (რუს) | 1465 |
| 19(19). ლეიტონ ჰიუიტი (ავსტრა) | 1365 |
| 20(20). ხუან მონაკო (არგ) | 1350 |

| ATP-ის საჩემპიონო რბოლა | |
|---|---|
| 1(1). როჯერ ფედერერი (შვეიც) | 1171 |
| 2(2). რაფაელ ნადალი (ესპ) | 1012 |
| 3(3). ნოვაკ ჯოკოვიჩი (სერ) | 848 |
| 4(4). ნიკოლაი დავიდენკო (რუს) | 530 |
| 5(5). ენდი როდიკი (აშშ) | 466 |
| 6(6). დავიდ ფერერი (ესპ) | 424 |
| 7(7). ფერნანდო გონსალესი (ჩილ) | 343 |
| 8(12). ტომი ჰაასი (გერ) | 328 |
| 9(8). ტომი რობრედო (ესპ) | 327 |
| 10(9). ჯეიმს ბლეიკი (აშშ) | 326 |
| 11(10). რიშარ გასკე (საფ) | 320 |
| 12(11). ტომას ბერდიჩი (ჩეხ) | 317 |
| 13(13). კარლოს მოია (ესპ) | 315 |
| 14(14). ივან ლუბიჩიჩი (ხორ) | 314 |
| 15(17). ხუან იგნასიო ჩელა (არგ) | 283 |
| 16(15). მიხაილ იუჟნი (რუს) | 281 |
| 17(16). გილერმო კანიასი (არგ) | 280 |
| 18(18). ლეიტონ ჰიუიტი (ავსტრა) | 273 |
| 19(19). ენდი მიურეი (ბრიტ) | 266 |
| 20(20). მარკოს ბაღდატისი (კვი) | 258 |

| ფულადი მონაგარი | |
|---|---|
| 1. როჯერ ფედერერი (შვეიც) | 7 063 620 |
| 2. რაფაელ ნადალი (ესპ) | 4 344 435 |
| 3. ნოვაკ ჯოკოვიჩი (სერ) | 3 213 700 |
| 4. ნიკოლაი დავიდენკო (რუს) | 1 559 775 |
| 5. ენდი როდიკი (აშშ) | 1 224 120 |
| 6. დავიდ ფერერი (ესპ) | 1 178 452 |
| 7. ფერნანდო გონსალესი (ჩილ) | 1 131 930 |
| 8. ტომაშ ბერდიჩი (ჩეხ) | 1 055 320 |
| 9. რიშარ გასკე (საფ) | 957 290 |
| 10. ტომი ჰაასი (გერ) | 935 350 |
| 11. ივან ლუბიჩიჩი (ხორ) | 912 445 |
| 12. მიხაილ იუჟნი (რუს) | 907 625 |
| 13. ტომი რობრედო (ესპ) | 906 197 |
| 14. ხუან იგნასიო ჩელა (არგ) | 897 015 |
| 15. ჯეიმს ბლეიკი (აშშ) | 893 035 |
| 16. კარლოს მოია (ესპ) | 837 185 |
| 17. გილერმო კანიასი (არგ) | 819 715 |
| 18. მაიკ ბრაიანი (აშშ) | 737 185 |
| 19. ბობ ბრაიანი (აშშ) | 733 360 |
| 20. მარკოს ბაღდატისი (კვიპ) | 718 055 |

| WTA-ს რეიტინგი | |
|---|---|
| 1(1). ჟუსტინ ანენ-არდენი (ბელ) | 5500 |
| 2(2). სვეტლანა კუზნეცოვა (რუს) | 3775 |
| 3(3). ელენა იანკოვიჩი (სერ) | 3475 |
| 4(5). ანა ივანოვიჩი (სერ) | 3175 |
| 5(4). მარია შარაპოვა (რუს) | 3161 |
| 6(7). სერენა უილიამსი (აშშ) | 2766 |
| 7(6). ანა ჩაკვეტაძე (რუს) | 2625 |
| 8(8). ვენუს უილიამსი (აშშ) | 2470 |
| 9(9). დანიელა ჰანტუხოვა (სლოვაკ) | 2177 |
| 10(14). ელენა დემენტიევა (რუს) | 2022 |
| 11(12). მარიონ ბარტოლი (საფ) | 2021 |
| 12(10). ნადია პეტროვა (რუს) | 1976 |
| 13(11). ამელი მორესმო (საფ) | 1921 |
| 14(17). დინარა საფინა (რუს) | 1820 |
| 15(13). ნიკოლ ვაიდიშოვა (ჩეხ) | 1710 |
| 16(16). შაარ პეერი (ისრ) | 1682 |
| 17(15). პატი შნიდერი (შვეიც) | 1679 |
| 18(18). ტატიანა გოლოვინი (საფ) | 1624 |
| 19(19). მარტინა ჰინგისი (შვეიც) | 1577 |
| 20(20). აგნეს შავაი (უნგრეთი) | 1363 |

| WTA-ს საჩემპიონო რბოლა | |
|---|---|
| 1. ჟუსტინ ანენი (ბელ) | 4975 |
| 2. ელენა იანკოვიჩი (სერ) | 4096 |
| 3. სვეტლანა კუზნეცოვა (რუს) | 3581 |
| 4. ანა ივანოვიჩი (სერ) | 3162 |
| 5. სერენა უილიამსი (აშშ) | 2766 |
| 6. ანა ჩაკვეტაძე (რუს) | 2628 |
| 7. ვენუს უილიამსი (აშშ) | 2470 |
| 8. მარია შარაპოვა (რუს) | 2431 |
| 9. დანიელა ჰანტუხოვა (სლოვაკ) | 2096 |
| 10. ელენა დემენტიევა (რუს) | 2022 |
| 11. მარიონ ბარტოლი (საფ) | 1989 |
| 12. დინარა საფინა (რუს) | 1902 |
| 13. ნადია პეტროვა (რუს) | 1864 |
| 14. შაარ პეერი (ისრ) | 1698 |
| 15. პატი შნიდერი (შვეიც) | 1686 |
| 16. ნიკოლ ვაიდიშოვა (ჩეხ) | 1621 |
| 17. ტატიანა გოლოვინი (საფ) | 1618 |
| 18. ამელი მორესმო (საფ) | 1478 |
| 19. სიბილ ბამერი (ავსტრია) | 1436 |
| 20. მარტინა ჰინგისი (შვეიც) | 1372 |

| ფულადი მონაგარი | |
|---|---|
| 1. ჟუსტინ ანენი (ბელ) | 4 185 086 |
| 2. სერენა უილიამსი (აშშ) | 2 058 521 |
| 3. სვეტლანა კუზნეცოვა (რუს) | 1 934 312 |
| 4. ვენუს უილიამსი (აშშ) | 1 843 187 |
| 5. ელენა იანკოვიჩი (სერ) | 1 670 257 |
| 6. ანა ივანოვიჩი (სერ) | 1 645 224 |
| 7. მარია შარაპოვა (რუს) | 1 258 550 |
| 8. ანა ჩაკვეტაძე (რუს) | 1 133 766 |
| 9. მარიონ ბარტოლი (საფ) | 1 083 325 |
| 10. დან. ჰანტუხოვა (სლოვაკ) | 930 452 |
| 11. დინარა საფინა (რუს) | 853 752 |
| 12. ნიკოლ ვაიდიშოვა (ჩეხ) | 796 678 |
| 13. შაარ პეერი (ისრ) | 772 380 |
| 14. ელენა დემენტიევა (რუს) | 686 371 |
| 15. ლიზელ ჰუბერი (აშშ) | 671 354 |
| 16. მარა სანტანჯელო (იტა) | 669 662 |
| 17. ნადია პეტროვა (რუს) | 655 962 |
| 18. კატ. სრებოტნიკი (სლოვენ) | 655 452 |
| 19. პატი შნიდერი (შვეიც) | 652 967 |
| 20. კარა ბლეკი (ზიმ) | 649 162 |

მასტერსის თასი

# დავიდენკო შანხაიშია

გასულ კვირას ჩატარებული ტურნირების შემდეგ, მამაკაცთა წლის შემაჯამებელი ჩემპიონატის რიგით მეოთხე მონაწილე გაირკვა. კრემლის თასის მოგებამ რუს **ნიკოლაი დავიდენკოს** შანხაიში გამგზავრების უფლება მისცა. მას ATP-ის ჩემპიონთა რბოლაში 530 ქულა დაუგროვდა და სეზონის დარჩენილ ტურნირებშიც რომ არ მიიღოს მონაწილეობა, მაინც მოხვდება რვა საუკეთესოს შორის.

აქვე შეგახსენებთ იმ ჩოგბურთელთა გვარებს, რომლებმაც დავიდენკომდე მოიპოვეს მასტერსის თასზე თამაშის უფლება: **როჯერ ფედერერი, რაფაელ ნადალი** და **ნოვაკ ჯოკოვიჩი**.

შანხაის ტურნირის დანარჩენი ოთხი მონაწილე მადრიდისა და პარიზის მასტერსების შემდეგ გაირკვევა.

NBA. სეზონის წინ

# კობის პოზიცია და ოპოზიცია

დღევანდელ მიმოხილვაში ყურადღებას მსროლელებს დავუთმობთ. პირველ ადგილზეა მოთამაშე, რომელიც არა მარტო აღნიშნულ ამპლუაში, არამედ მთელს ლიგასა და საკალათბურთო სამყაროშია უძლიერესი. მომდევნო ადგილებზეც მაგარი ბიჭები დგანან.

### 1. კობი ბრაიანტი
**(ლეიკერსი)**

მნიშვნელობა არა აქვს, სად დაიწყებს ან გააგრძელებს სეზონს **კობი ბრაიანტი**. "ლეიკერსში" თუ ნებისმიერ სხვა გუნდში, კობი პირველი მოთამაშე, საუკეთესო მექულე და ყველაზე ქარიზმატული ფიგურა იქნება. რთული ხასიათის მიუხედავად, მას მაინც ყველა თვალებში შესციცინებს, ნიავს არ აკარებს და ცდილობს, ყველგან და ყველაფრით კმაყოფილი იყოს.

კობიმ, ლიგის ისტორიაში ყველაზე ახალგაზრდამ დააგროვა 10 000 ქულა, სამჯერ ჩემპიონი გახდა, "ყველა ვარსკვლავის" შეხვედრის უცვლელი მონაწილეა, მაგრამ ბრაიანტს აკლია რეგულარულის უძვირფასესი მოთამაშის ტიტული, რომლის მოპოვებასთან იგი ორჯერ საკმაოდ ახლოს იყო, მაგრამ მასმედია უპირატესობას ყოველთვის ვიღაც სხვას ანიჭებდა. ბრაიანტისთვის ეს ფაქტორი დამატებითი მოტივაცია იქნება.

ბრაიანტი ამ სეზონშიც უპრობლემოდ გადალახავს საშუალოდ 30 ქულას, 5 მოხსნასა და ამდენივე შედეგიან გადაცემას, დაცვაში კი კობი ყოველთვის ერთ-ერთი საუკეთესო იყო. შარშანდელ რეგულარულში მან ზუსტი საჯარიმოების პროცენტით (86.9) კარიერის რეკორდიც კი დაამყარა, თუმცა თუ "ლეიკერსი" და ეს დიდი კალათბურთელი საერთო ენას ვერ გამონახავენ, იქნებ მომდევნო რეიტინგისას, ბრაიანტის სხვა გუნდის სახელით მოხსენიება მოგვიხდეს.

### 2. დუეინ უეიდი
**(მაიამი)**

**დუეინ უეიდმა** შარშან, ტრავმების გამო მხოლოდ 51 შეხვედრაში მიიღო მონაწილეობა, მაგრამ როდესაც მოედანზე იმყოფებოდა, იმავე კობის თითქმის არაფერში ჩამოუვარდებოდა. "მაიამის" უკანახაზელმა კარიერის რეკორდები ქულებში (27.4), პასებში (7.5), ჩაჭრებსა (2.1) და ზუსტ საჯარიმოებში (80.8) დაამყარა. უეიდი ამ სეზონის სტარტსაც გამოტოვებს, რადგან ნაოპერაციევ მხარზე სარეაბილიტაციო კურსი ექნება დასამთავრებელი.

ფლორიდელთა ვარსკვლავი დაცვაშიც შეუდარებელია და თუ **შაკიც** ჯანზე იქნება, მაშინ "ჰიტი" არამარტო აღმოსავლეთის, არამედ სრულიად ლიგის ერთ-ერთი გრანდი გახდება. სხვა მხრივ, ფლორიდელებს საპლეიოფოდ მაგარი ბრძოლა მოუწევთ. უეიდის მონაგარი სადღაც 26 ქულა, 6 მოხსნა და ამდენივე პასი უნდა იყოს.

### 3. ვინს კარტერი
**(ნიუ ჯერსი)**

შარშან, "მფრინავ" **ვინსს** კარიერაში საუკეთესო წელიწადი კი ჰქონდა, მაგრამ გაითვალისწინეთ ისიც, რომ ეს ვინს კარტერის საკონტრაქტო სეზონი იყო. საკითხავია, ამ სეზონშიც შერჩება თუ არა "ნეტსის" ვარსკვლავს მსგავსი მოტივაცია?

კარტერი ფიზიკურად შესანიშნავ ფორმაშია. "ნიუ ჯერსის" **ჯეისონ კიდის, რიჩარდ ჯეფერსონისა** და ვინსის უმაღლეს დონეზე თამაში, წლეულს განსაკუთრებულად დასჭირდება. მის დივიზიონში ხომ ძალიან კარგი "ტორონტო" და აგრეთვე, **კევინ გარნეტითა** და ამ რეიტინგის კიდევ ერთი წევრით გაძლიერებული "ბოსტონი" იქნებიან, რაც გუნდს მოდუნების საშუალებას არ მისცემს. თუ კარტერი 22-23 ქულას მოიმკის და დაცვაშიც შარშანდელივით მოტივირებულ-მონდომებული იქნება, "ნიუ ჯერსის" საპლეიოფო პრობლემები არ შეექმნება.

### 4. ტრეისი მაკგრეიდი
**(ჰიუსტონი)**

ორი წლის წინათ, **ტრეისი მაკგრეიდიმ** სულ რალაც 47 შეხვედრაში მიიღო მონაწილეობა, შარშან კი გაცილებით კარგად შევიდა სეზონში და ეს მაჩვენებელი 71-მდე აიყვანა. "ჰიუსტონს" საჩემპიონო ამბიციები მოსძალებია და საამისოდ, მარტო **იაო მინისა** და არგენტინელი **ლუის სკოლას** ტანდემი არ იქნება საკმარისი. მთავარია, ტრეისი ჯანზე და ხასიათზე იყოს.

6.5 შედეგიანი გადაცემით, ტრეისიმ კარიერის საუკეთესო შედეგი აჩვენა. იგი ბევრ შეცდომას კი უშვებს, მაგრამ ბოლო მეოთხედში მწვრთნელი თუ ვინმეზე აწყობს თამაშს, ეს პირველ რიგში, მაკგრეიდი გახლავთ. დრიბლინგის ოსტატი, საშუალო სროლისას ულამაზესი მოძრაობის პატრონი, ჩატენვების მოყვარული ტი-მაკი, წელსაც "ჰიუსტონის" მთავარი იმედი იქნება და ალბათ, კარიერაში პირველად, ფლეი ოფის პირველი წრის გავლაც შეეძლება.

### 5. რეი ალენი
**(ბოსტონი)**

როგორ გაიყოფენ სროლებსა და ლიდერის ფუნქციებს გარნეტი, **პოლ პირსი** და რეი ალენი? ამაზე "სელტიქსის" მთავარმა მწვრთნელმა **დოკ რივერსმა** უნდა იზრუნოს.

ალენი ასაკში შედის და უწინდელივით "რკინის კაცი" ველარ არის, რასაც მისი ბოლოდროინდელი ტრავმიანობა ადასტურებს. რეი დღესაც ერთ-ერთი საუკეთესოა ზუსტ სამქულიანებსა და მათ პროცენტულ მაჩვენებელში, თუმცა მან ოდნავ მაინც უნდა გააუმჯობესოს დაცვა, რადგან სხვაგვარად, "სელტიქსს" პრობლემები შეექმნება. გარნეტსა და პირსს, ხშირად ორმაგი მეურვეობას დაუწესებენ, რითაც ალენმა შესატევად საკმარისი სივრცე უნდა ირგუნოს. მისი საშუალო სტატისტიკა შარშანდელივით მაგარი (26.4 ქულა, კარიერის რეკორდი) ვერ იქნება, მაგრამ ეს არაა მთავარი. ალენსა და დანარჩენებს ყველაზე მეტად "სელტიქსის" ჩემპიონობა სურთ.

### 6. მაიკლ რედი
**(მილუოკი)**

აი, კაცი, ვინც მთელი თავისი ცხოვრება ერთი მოთამაშის ჩრდილში იქნება. "მილუოკიში" **მაიკლ რედს** იქამდე არ გაეზარდა ნდობა და სათამაშო დრო, სანამ იქ რეი ალენი თამაშობდა. და აი, ამ რეიტინგშიც რეის უკან მოთავსდა ვარსკვლავი, რომელიც ბოლო შვიდი რეგულარულის განმავლობაში, პერმანენტულად ზრდის ქულათა საშუალო მონაგარს (2.2, 11.5, 15.1, 21.7, 23.0, 25.4, 26.7).

შარშან, "მილუოკის" პლეიოფი პროგრამა-მინიმუმად ჰქონდა დასახული, მაგრამ დეკემბერში რედმა ტრავმა მიიღო, 29 მატჩი გამოტოვა, "ბაქსმა" კი მის გარეშე იმდენი შეხვედრა დათმო, რომ მაიკლის გამოჯანმრთელების შემდეგ, დაკარგულის ანაზღაურება უკვე რთული იყო. რედს დაცვაში ბოლომდე დახარჯვა არასოდეს უყვარდა, მაგრამ თუ საპლეიოფო ამბიციები აქვს, ეს კომპონენტი მაქსიმალურად უნდა გააუმჯობესოს.

### 7. ჯო ჯონსონი
**(ატლანტა)**

**ჯო ჯონსონი,** ისევე როგორც მისი თანაგუნდელი ჯოშ სმიტი, ლიგის ყველაზე ნაკლებად დაფასებულ და აღიარებულ ვარსკვლავებში შედის. რედის მსგავსად, ჯოც შვიდი წელიწადია ზრდის შედეგიანობას (6.3, 9.6, 9.8, 16.7, 17.1, 20.2, 25.0) და ნელ-ნელა თამაშის დანარჩენ კომპონენტებშიც იხვეწება. მისი შარშანდელი სტატისტიკა (25.2 ქულა, 4.4 შედეგიანი გადაცემა, 4.2 მოხსნა, 2.1 ზუსტი სამქულიანი) ვარსკვლავისთვის შესაფერისია, მაგრამ ჯოსა და მთელი "ჰოქსის" მთავარი მიზანი კონფერენციის რვა საუკეთესო გუნდში მოხვედრა იქნება. თუ გავითვალისწინებთ, რომ ჯორჯიელებს წელს ორი უნიჭიერესი ახალბედა (მძიმე ფორვარდი **ელ ჰორფორდი** და გამთამაშებელი **ეისი ლო**) დაემატა, მაშინ საპლეიოფო სურვილი იქნებ რეალობადაც იქცეს. ჯონსონის სტატისტიკა კი არ უნდა გაუუარესდეს.

**სხვები**

8. ჯეისონ რიჩარდსონი (შარლოტი)
9. კევინ მარტინი (საკრამენტო)
10. ბრენდონ როი (პორტლენდი)
11. რიკი დევისი (მინესოტა)
12. მანუ ჯინობილი (სან ანტონიო)
13. მაიკ მილერი (მემფისი)
14. ჯეისონ ტერი (დალასი)
15. მონტა ელისი (გოლდენ სტეიტი)
16. ბენ გორდონი (ჩიკაგო)
17. რიჩარდ ჰამილტონი (დეტროიტი)
18. რაჯა ბელი (ფინიქსი)
19. კუტინო მობლი (კლიპერსი)
20. ჯამალ კროუფორდი (ნიუ იორკი)

ზურაბ თალაკვაძე



ჯერჯერობით კობი ფილ ჯექსონის განკარგულებაშია

## TV სპორტი

**16 ოქტომბერი. სამშაბათი**

**НТВ-პლუსი (ფეხბურთი)**

**12:00** თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
**12:20** სეზონის საუკეთესო მატჩები. გერმანიის ჩემპიონატი. ბაიერნი-შალკე.
**14:10** ევრო 2008. შესარჩევი მატჩი. შოტლანდია-უკრაინა.
**16:00** თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
**16:15** ჩემპიონთა ლიგის ჰიტ-ალღუმი. ლაციო-რეალი.
**18:10** სეზონის საუკეთესო მატჩები. ინგლისის ჩემპიონატი. ლივერპული-ჩელსი.
**20:00** თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
**20:20** ამხანაგური მატჩი. 1986 წელი. სსრკ-ინგლისი.
**22:00** FUTBOL MUNDIAL. საერთაშორისო ტელეჟურნალი.
**22:30** თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
**22:45** სეზონის საუკეთესო მატჩები. ესპანეთის ჩემპიონატი. ბარსელონა-სევილია.

**SPORT 1 (უკრაინა)**

**08:45** მინი-მოედანი.
**09:00** სპორტკლუბი.
**10:00** ავტოსპორტი. A1 გრან-პრი. ჩეხეთი.
**12:30** სპორტდოსიე. მთის ველოსიპედი.
**13:00** სინქრონული ცურვა. ბრაზილია.
**15:00** ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგა. ჯგუფური ეტაპი. II ტური. მანჩესტერი-რომა.
**16:55** ფეხბურთი. ესპანეთის ჩემპიონატი. ბარსელონა-ატლეტიკო.
**18:50** ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგა. ჯგუფური ეტაპი. II ტური. ინტერი-ეინდჰოვენი.
**20:50** ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგა. ჯგუფური ეტაპი. II ტურის მიმოხილვა.
**22:20** სპორტინფორმი. ახალი ამბები.
**22:30** ჰოკეი. NHL. რეგულარული ჩემპიონატი. ბაფალო-ტორონტო.
**00:20** სპორტინფორმი. ახალი ამბები.
**00:30** სპორტკლუბი.
**00:40** ფეხბურთი. ევრო 2008. შესარჩევი მატჩი. ინგლისი-ესტონეთი.
**02:40** სპორტდოსიე. მთის ველოსიპედი.
**03:05** ფეხბურთი. ესპანეთის ჩემპიონატი. ბარსელონა-ატლეტიკო.
**04:45** ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგა. ჯგუფური ეტაპი. II ტური. მანჩესტერი-რომა.
**06:40** მინი-მოედანი.

**EUROSPORT**

**10:30** ფეხბურთი. ევრო 2008. შესარჩევი მატჩები.
**10:45** ფეხბურთი. ევრო 2008. შესარჩევი მატჩი. შოტლანდია-უკრაინა.
**11:30** ფეხბურთი. ევრო 2008. შესარჩევი მატჩი. ფარერები-საფრანგეთი.
**12:30** ფეხბურთი. ევრო 2008. შესარჩევი მატჩი. ირლანდია-გერმანია.
**13:15** ფეხბურთი. ევრო 2008. შესარჩევი მატჩი. რუმინეთი-ჰოლანდია.
**14:15** ფეხბურთი. ევრო 2008. შესარჩევი მატჩები.
**14:30** სნუკერი. ბრიტანეთის გრან-პრი. IV დღე. აბერდინი. შოტლანდია (LIVE).
**20:00** ფეხბურთი. ევრო 2008. შესარჩევი მატჩები.
**20:15** ჩოგბურთი. WTA-ს ტური. II დღე. ციურიხი. შვეიცარია (LIVE).
**22:00** სნუკერი. ბრიტანეთის გრან-პრი. IV დღე. აბერდინი. შოტლანდია (LIVE).
**00:30** რალი. მსოფლიო ჩემპიონატი. საფრანგეთი.
**01:30** ფეხბურთი. ევრო 2008. შესარჩევი მატჩები.
**01:45** სნუკერი. ბრიტანეთის გრან-პრი. IV დღე. აბერდინი. შოტლანდია.

**EUROSPORT-2**

**09:30** ახალი ამბები.
**12:00** ექსტრემალური სპორტი.
**13:00** ხელბურთი. EHF-ის ჩემპიონთა ლიგა. ჯგუფური ეტაპი. ზაპოროჟიე (უკრაინა)-ჰამბურგი (გერმანია).
**14:00** ახალი ამბები.
**16:00** ფეხბურთი. ევრო 2008. შესარჩევი მატჩი. შოტლანდია-უკრაინა.
**16:45** ფეხბურთი. ევრო 2008. შესარჩევი მატჩი. ფარერები-საფრანგეთი.
**18:30** ფეხბურთი. ევრო 2008. შესარჩევი მატჩი. დანია-ესპანეთი.
**19:15** ფეხბურთი. ევრო 2008. შესარჩევი მატჩი. რუმინეთი-ჰოლანდია.
**20:00** ახალი ამბები.
**20:30** ექსტრემალური სპორტი.
**21:30** ახალი ამბები.
**22:00** ხელბურთი. ესპანეთის ჩემპიონატი.
**22:30** მოტოსპორტი. მსოფლიო ჩემპიონატი. ავსტრალიის გრან პრი.
**00:00** რესტლინგი.
**01:00** ახალი ამბები.
**01:15** ექსტრემალური სპორტი.

ფორმულა 1

## გლოკი რალფს შეცვლის

თითქმის არავის ეპარება ეჭვი, რომ გაისად, "ტოიოტას" რიგებიდან ნასული გერმანელი **რალფ შუმახერის** ადგილს, მისივე თანამემამულე **ტიმო გლოკი** დაიკავებს.

ცოტა ხნის წინათ, გლოკმა უარი განაცხადა "BMW-ზაუბერთან" სატესტერო კონტრაქტის გაფორმებაზე და იაპონურ საჯინიბოსთან დაიწყო მოლაპარაკებები.

სავარაუდოდ, გლოკის წლიური ხელფასი 2 მილიონი დოლარი იქნება, რაც "ტოიოტას" დიდი ეკონომიის საშუალებას მისცემს. ეს გუნდი რალფ შუმახერს, წელიწადში 19 მილიონს უხდიდა.

25 წლის გერმანელს ფორმულაში დიდი გამოცდილება არ აქვს, თუმცა ვერც ახალბედას ვუწოდებთ. 2004 წელს, მას დებიუტი ჰქონდა "ჯორდანის" შემადგენლობაში და სამ რბოლაში ორი ქულის მოპოვებაც შეძლო. შემდეგ ტიმო ამერიკულ სერია "ჩემპკარში" გადავიდა, სადაც საუკეთესო დებიუტანტის პრიზი მოიგო, მოგვიანებით ევროპაში დაბრუნდა და დღემდე GP2-ის სერიაში მოღვაწეობდა.

რალი

**მსოფლიო ჩემპიონატი**

**კორსიკის რალი (XIII ეტაპი)**

1. ლოები ("სიტროენი", საფრანგეთი) - 3:28.31,5; 2. გრონჰოლმი ("ფორდი", ფინეთი) - +23,7; 3. სორდო ("სიტროენი", ესპანეთი) - +44,3; 4. ლატვალა ("ფორდი", ფინეთი) - +2.30,5; 5. პ.სოლბერგი ("სუბარუ", ნორვეგია) - +2.42,1; 6. ატკინსონი ("სუბარუ", ავსტრალია) - +3.53,8; 7. კოპეჩკი ("შკოდა", ჩეხეთი) - +8.02,9; 8. პონსი ("სიტროენი", ესპანეთი) - +9.34,2.

საერთო ჩათვლა: 1. გრონჰოლმი - 104 ქულა; 2. ლოები - 100; 3. პირვონენი ("ფორდი", ფინეთი) - 74; 4. სორდო - 45; 5. პ.სოლბერგი - 38; 6. ატკინსონი - 29; 7. ჰ.სოლბერგი ("ფორდი", ნორვეგია) - 28; 8. ლატვალა - 24.

კონსტრუქტორთა თასი: 1. ფორდი - 179 ქულა; 2. სიტროენი - 147; 3. სუბარუ - 71; 4. სტობარტი - 64; 5. კრონოსი - 39; 6. შკოდა - 6.

## ცხელი ხაზი

**ფეხბურთი**

**მუნდიალი 2010**

| | |
|---|---|
| **აზია** | |
| მაკაო-ტაილანდი | 1:7 |
| **ამხანაგური მატჩი** | |
| ჰონდურასი-პანამა | 1:0 |
| **ინგლისი** | |
| **I ლიგა** | |
| ლუტონი-ნორთჰემპტონი | 4:1 |
| **შვედეთი** | |
| **II დივიზიონი** | |
| იონჩოპინგი-სუნდსვალი | 1:1 |
| **ირლანდია** | |
| ბრეი-დერი | 1:1 |
| ლონგფორდი-უოტერფორდი | 1:1 |

**ჰოკეი**

| | |
|---|---|
| **რუსეთი** | |
| ს. იულაევი-მეტალურგი (მ) | 5:4 |
| ლადა-ტრაქტორი | 4:0 |
| ცსკა-დინამო | 2:2 |
| **შვედეთი** | |
| ლინჩოპინგი-იურგორდენი | 0:4 |
| ლულეა-მორა | 3:3 |
| ფრიოლუნდა-ფერიესტადი | 5:0 |

**ჩოგბურთი**

| | |
|---|---|
| **ATP. მადრიდი** | |
| ანდრეევი-მონაკო | 7:6, 0:6, 4:6 |
| მელცერი-ჯინეპრი | 6:2, 6:7, 4:6 |
| ანჩიჩი-ჟიკელი | 6:4, 6:2 |
| მიურეი-შტეპანეკი | 6:4, 6:1 |
| ბაღდატისი-პაველი | 6:3, 4:6, 6:1 |
| ფ. ლოპესი-ვოლანდრი | 6:3, 6:2 |
| ვერდასკო-მონტანიესი | 6:1, 6:1 |
| დელ პოტრო-სტარაჩე | 7:5, 6:1 |
| ნიემინენი-კუბეკი | 3:6, 6:3, 4:6 |
| **WTA. ბანგკოკი** | |
| ვაიდიშოვა-სრებოტნიკი | 6:4, 6:2 |
| გოლოვინი-კირილენკო | 6:3, 6:4 |
| ა. ბონდარენკო-ბაშჩინსკი | 6:2, 6:1 |
| კრაიჩეკი-მირზა | 6:1, 6:4 |

ეროვნული ბიბლიოთეკა

## სხვადასხვა

### ჩოგბურთი

## კარლსენმა კარიერა დაასრულა

ამ კვირას, კარიერაში თავის უკანასკნელ ტურნირს ჩაატარებს დანიელი **კენეტ კარლსენი**. 34 წლის ჩოგბურთელი სამშობლოში, ქალაქ კიოლდინგში გასამართ "ჩელენჯერზე" ითამაშებს, რის შემდეგაც, აქტიურ სპორტს გამოეთხოვება.

კარლსენის პროფესიული კარიერა 15 წელიწადი გრძელდებოდა. მის ანგარიშზე ATP-ის სამი ტიტული (1998 - ჰონგ კონგი, 2002 - ტოკიო, 2005 - მემფისი) და ჰონორარის სახით გამომუშავებული 2 990 460 დოლარია. კენეტმა 2001 წლის სეზონში მიაღწია რეიტინგში მისთვის უმაღლეს საფეხურს (65-ე ადგილი).

### კალათბურთი

## ჰემილტონი დაიმტვრა

"დეტროიტ პისტონზის" ერთ-ერთმა ლიდერმა, მცველმა **რიჩარდ ჰემილტონმა** კვირას "დენვერთან" საკონტროლო შეხვედრის (109:106) დასრულება ვერ შეძლო. მატჩის მსვლელობისას, ჰამილტონმა მარცხენა ფეხის ტრავმა მიიღო.

ჯერჯერობით უცნობია, რამდენად სერიოზულია კალათბურთელის დაზიანება, თუმცა იმის თქმა დარწმუნებით შეიძლება, რომ ჰემილტონი ხვალ, მორიგ საკონტროლო შეხვედრაში მონაწილეობას ვერ მიიღებს.

## უორიორზმა პაუელი მოიცილა

"გოლდენ სტეიტ უორიორზის" სამწვრთნელო შტაბმა საწვრთნელი შეკრებიდან დაითხოვა თავდამსხმელი **კარლოს პაუელი**. ეს 24 წლის კალათბურთელი ჩრდილოეთ კაროლინას უნივერსიტეტის აღზრდილია.

"მეომართა" მწვრთნელებს პაუელის გასინჯვა საკონტროლო მატჩებში ჰქონდათ განზრახული, მაგრამ გუნდიდან ისე დაითხოვეს, ერთხელაც არ მისცეს თავის გამოჩენის საშუალება.

პაუელის გაშვების შემდეგ, "გოლდენ სტეიტის" შემადგენლობა 17 კალათბურთელამდე შემცირდა.

## მგლებმა ორი გამთამაშებელი დაკარგეს

როგორც უკვე ვიტყობინებოდით, "მინესოტას" მთელი წინასასეზონო პერიოდის განმავლობაში დააკლდება გამთამაშებელი **რენდი ფოიე**. ახლა კი ირკვევა, რომ ტრავმა მიიღო ამავე ამპლუის მეორე მოთამაშემ, **სებასტიან ტელფეირმა**, რომელიც ამ ზაფხულს, **კევინ გარნეტის** გაცვლის შედეგად აღმოჩნდა "მგლების" რიგებში.

სააგენტო AP-ის ინფორმაციით, 22 წლის ტელფეირმა მარცხენა მუხლი დაიზიანა და ჯერჯერობით უცნობია, რამდენი ხანი დასჭირდება მის მკურნალობას.

## ბოში მალე დაბრუნდება

ერთკვირიანი იძულებითი პაუზის შემდეგ, მომავალ უიქ ენდზე "ტორონტო რეპტორზის" რიგებს დაუბრუნდება ფორვარდი **კრის ბოში**. კალათბურთელმა ტრავმა 3 ოქტომბერს, იტალიის ქალაქ ტრევიზოში მიიღო, სადაც კანადური კლუბი შეკრებას გადიოდა.

მიუხედავად ამ დაზიანებისა, ბოშმა ორ მატჩში მიიღო მონაწილეობა ("ვირტუსთან" და "ბოსტონთან") და მხოლოდ ამის შემდეგ დაიწყო მუხლის მკურნალობა.

## შაკი ემეკამ წააქცია

ტრავმამ შეაწუხა "მაიამი ჰიტის" ცნობილი ცენტრი **შაკილ ო'ნილი**. ვეტერან კალათბურთელს მარცხენა ბარძაყი მაშინ ეტკინა, როცა მისი გუნდი საწვრთნელ შეხვედრას "შარლოტ ბობკეტსის" წინაალმდეგ (92:76) მართავდა.

შაკმა ტრავმა "შარლოტის" ცენტრთან, **ემეკა ოკაფორთან** შეჯახებისას მიიღო. მაიამელი მეტოქის სამწამიანში შესვლას ცდილობდა, როცა ოკაფორმა ბარძაყში ჩაარტყა ფეხი.

ო'ნილმა პირველ ტაიმში ტრავმირებული ფეხით თამაში გააგრძელა, თუმცა მეორე ნახევარში მოედანზე აღარ გამოჩენილა.

## ტყუამ ამერიკელი შეიძინა

მოახლოებული ევროლიგის წინ, ესპანეთის "ტაუგრესმა" მორიგი შენაძენი გააკეთა. ამჯერად, კლუბმა NBA-დან ფორვარდი **ლინტონ ჯონსონი** (203 სმ) დაიმატა. ეს უკანასკნელი შარშან "ნიუ ორლეან ჰორნეთსში" თამაშობდა.

"ტაუმ" ჯონსონთან ორთვიანი კონტრაქტი გააფორმა. ახალწვეულმა შემადგენლობაში ტრავმირებული **ჯეიმს სინგლტონის** ადგილი უნდა დაიკავოს.

### ცურვა

## ზიგლერის სამი რეკორდი

გერმანიის ქალაქ ესენის საერთაშორისო ტურნირი **კეიტ ზიგლერის** სრული ტრიუმფით დასრულდა. ამერიკელმა მოცურავემ 25-მეტრიან აუზში, სამი დღის განმავლობაში სამი მსოფლიო რეკორდი გააუმჯობესა.

თავდაპირველად, ზიგლერმა 1500 მეტრ დისტანციაზე ფრანგი **ლორ მანოდუს** რეკორდს ერთბაშად 10 წამი ჩამოაკლო, შემდეგ კი, ზედიზედ ორჯერ დაამყარა რეკორდი 800 მეტრზე ცურვაში. ამერიკელმა ეს დისტანცია ჯერ 8 წუთსა და 9.68 წამში დაფარა, ხოლო მეორე დღეს კი, 8 წუთი და 8 წამი დააფიქსირა.

### ველოსპორტი

## პეტაკის ფრანგული ტრიუმფი

საფრანგეთში ამ სეზონის ბოლო კლასიკური ერთდღიანი რბოლა გაიმართა - კვირას 101-ედ ჩატარდა "პარიზი-ტური".

დისტანციის სიგრძე 256 კილომეტრი იყო და გამარჯვებულის ბედი სპრინტერული ფინიშის შემდეგ გაირკვა - "პარიზი-ტური" კარიერაში პირველად მოიგო ცნობილმა იტალიელმა **ალესანდრო პეტაკიმ**, რომელმაც უკან ჩამოიტოვა თანამემამულე **ფრანჩესკო ჩიკი** და ესპანელი **ოსკარ ფრეირე**. ამ ველომრბოლებმა შესაბამისად მეორე და მესამე ადგილები დაიკავეს.

### ჭადრაკი

## ესპანური ტრიუმფი

თურქეთის ქალაქ ქემერში ჭადრაკში კლუბებს შორის ევროპის თასის გათამაშება დასრულდა.

შვიდტურიანი შეჯიბრების შემდეგ, მამაკაცებს შორის ესპანურმა კლუბმა "ლინექს მეჯიქმა" გაიმარჯვა, რომლის შემადგენლობაში საყოველთაოდ ცნობილი დიდოსტატები - **გატა კამსკი** და **მაიკლ ადამსი** გამოდიან.

ქალებს შორის, ჩემპიონი მონაკოს სახელით მოასპარეზე კლუბი "სერკლ დ'ეშეკი" გახდა.

## ჰოკეი



ჰენრიკ ზეტერბერგი

NHL. რეგულარული ჩემპიონატი

# ველურებმა ზედიზედ მეხუთე მოიგეს

**ანაჰაიმი–მინესოტა 0:2**

0:0, 0:2, 0:0

**გოლები**: 0:1 როლსტონი-1 (ბელანჟე-3, შულტცი-2), 0:2 პერიში-1 (რადივოევიჩი-1, მ. კოივუ-2).

"მინესოტა უაილდი" ერთადერთი გუნდია ახალ რეგულარულში, რომელსაც ჯერ ქულა არ დაუკარგავს. ამ გუნდისთვის სტენლის თასის მფლობელის ძლევა ზედიზედ მეხუთე გამარჯვება იყო სეზონში. "ველურებს" თავიანთი ისტორიის განმავლობაში ასეთი სტარტი არასოდეს ჰქონიათ. კიდევ ის არის აღსანიშნავი, რომ ამ ხუთიდან სამი მატჩი "მინესოტამ" ისე მოიგო, რომ საკუთარ კარში გოლი არ გაუშვია.

ამჯერად "უაილდის" კარს ძირითადი მეკარის, ფინელი **ნიკლას ბექსტრიომის** დუბლიორი **ჯოშ ჰარდინგი** იცავდა. 23 წლის გოლკიპერმა კარიერის რეკორდი დაამყარა - 37 დარტყმა მოიგერია და NHL-ში თავისი მესამე შათაუტი შეასრულა.

"მინესოტამ" შარშანდელ პლეიოფში "ანაჰაიმთან" მარცხისთვის რევანში აიღო. "იხვების" საქმე კი, სულ უკან მიდის. შვიდ მატჩში სტენლის თასის მფლობელს 5 წაგება დაუგროვდა. "ანაჰაიმს" ვერც იმან უშველა, რომ გუნდს დაუბრუნდა ძირითადი მეკარე **ჟან-სებესტიან ჟიგერი**, რომელმაც 25 დარტყმის მოგერიება შეძლო.

როგორც ჩანს, **ტეემუ სელიანე** და **სკოტ ნიდერმაიერი** ამ გუნდისთვის დიდი ძალა იყო. ვეტერანი ჰოკეისტების გარეშე, "ანაჰაიმმა" ვერაფრით შეძლო თამაშის დალაგება.

"დაქსის" წარუმატებელი თამაშის კიდევ ერთი მიზეზი ის არის, რომ გუნდი ძალიან ცუდად იყენებს რიცხობრივ უპირატესობას. "მინესოტასთან" მასპინძლებს რვაჯერ შეეძლოთ ზედმეტი ჰოკეისტის გათამაშება, მაგრამ ერთხელაც ვერ იხეირეს, ბოლო ოთხ მატჩში კი, ეს შანსი 23-დან მხოლოდ ერთხელ გამოიყენეს.

**ლოს ანჯელესი–დეტროიტი 1:4**

0:0, 0:2, 1:2

**გოლები**: 0:1 დაციუკი-1 (ზეტერბერგი-7), 0:2 დრეიპერი-4, 1:2 კამალერი-6 (ვიშნოვსკი-3, ფროლოვი-4), 1:3 ჰოლმსტრიომი-5 (ზეტერბერგი-8, დაციუკი-5), 1:4 ზეტერბერგი-4 (ჰოლმსტრიომი-2, დაციუკი-6).

"ლოს ანჯელესისთვის" მხოლოდ ლონდონის ყინული ყოფილა ფეხბედნიერი. სეზონის გახსნის მატჩში, ბრიტანეთის დედაქალაქში "ანაჰაიმის" დამარცხების შემდეგ, "კინგზმა" ზედიზედ მეხუთე მატჩი წააგო. ბოლოს, "მეფეებს" ასეთი ცუდი სტარტი 1987-88 წლების სეზონში ჰქონდათ - მაშინაც, მათ ექვსიდან ხუთი თამაში წააგეს.

ეს მატჩი საიუბილეო იყო "დეტროიტის" სათადარიგო მეკარისთვის, **კრის ოსგუდისთვის** - ვეტერანმა ძირითადში მე-600 შეხვედრა ჩაატარა. ოსგუდმა თითქმის უშეცდომოდ ითამაშა და ჯამში 27 დარტყმა მოიგერია. ერთადერთი, ვისაც ის ვერ გაუმკლავდა, "მეფეების" საუკეთესო ფორვარდი **მაიკლ კამალერი** იყო, რომელიც ოტაველ **დენი ჰიტლისთან** ერთად, 6 გოლით სნაიპერთა დავაში ლიდერობს.

თუ კამალერი გოლეადორთა შორის არის საუკეთესო, ამ მატჩის შემდეგ, გოლი+პასის სისტემით ჩემპიონატის ბომბარდირთა დავაში "დეტროიტის" შვედი ლეგიონერი **ჰენრიკ ზეტერბერგი** დაწინაურდა. ამ ფორვარდმა გოლი და ორი პასი მიითვალა და ახლა მის ანგარიშზე 12 ქულა (4 გოლი+8 პასი) ირიცხება.

სხვათა შორის, სტუმრებმა "ლოს ანჯელესს" იუბილე ჩაუშხამეს. იმ დღეს, "კინგზი" ჰოკეის ეროვნულ ლიგაში ჩატარებული პირველი მატჩის 40-წლიან იუბილეს აღნიშნავდა.

"დეტროიტი" დასავლეთ კონფერენციაში მხოლოდ "მინესოტას" ჩამორჩება.

## მოტორბოლა

**მსოფლიო ჩემპიონატი**

**ავსტრალიის გრან-პრი**

**XVI ეტაპი**

**125 კუბ.სმ (23 წრე - 102.304 კმ)**

1. **პეშეკი** (ჩეხეთი, "დერბი") - 38:03.020; 2. **ოლივე** (ესპანეთი, "აპრილია") - +0.090; 3. **ფაუბელი** (ესპანეთი, "აპრილია") - +0.190; 4. **კორსი** (იტალია, "აპრილია") - +0.405; 5. **რაბათი** (ესპანეთი, "ჰონდა") - +0.915.

**საერთო ჩათვლა**: 1. **ტალმაში** (უნგრეთი, "აპრილია") - 237 ქულა; 2. **ფაუბელი** - 236; 3. **კოიამა** (იაპონია, KTM) - 166; 4. **პეშეკი** - 161; 5. **კორსი** - 155.

**250 კუბ.სმ (25 წრე - 111.200 კმ)**

1. **ლორენსო** (ესპანეთი, "აპრილია") - +48:28.585; 2. **ბაუტისტა** (ესპანეთი, "აპრილია") - +19.634; 3. **დოვიციოზო** (იტალია, "ჰონდა") - +19.724; 4. **ჰიროში აიომა** (იაპონია, KTM) - +19.797; 5. **ლიუტი** (შვეიცარია, "აპრილია") - +20.066.

**საერთო ჩათვლა**: 1. **ლორენსო** - 287 ქულა; 2. **დოვიციოზო** - 242; 3. **დე ანჯელისი** (სან მარინო, "აპრილია") - 215; 4. **ბაუტისტა** - 181; 5. **ბარბერა** - 146.

**მოტოგრანპრი (27 წრე - 120.096 კმ)**

1. **სტოუნერი** (ავსტრალია, "დუკატი") - 41:12.244; 2. **კაპიროსი** (იტალია, "დუკატი") - +6.763; 3. **როსი** (იტალია, "იამაჰა") - +10.030; 4. **პედროსა** (ესპანეთი, "ჰონდა") - +11.663; 5. **ბარუში** (ბრაზილია, "დუკატი") - +19.475.

**საერთო ჩათვლა**: 1. **სტოუნერი** - 322 ქულა; 2. **როსი** - 230; 3. **პედროსა** - 201; 4. **ჰოპკინსი** (ბრიტანეთი, "სუძუკი") - 165; 5. **ვერმიულენი** (ავსტრალია, "სუძუკი") - 160.

სპორტული გაზეთი

განახლებულია ბადრი პატარკაციშვილის ინიციატივითა და ხელშეწყობით

მთავარი რედაქტორი
თენგიზ გაჩეჩილაძე

დირექტორი
პაატა გელაშვილი

რედაქტორები
მამუკა ჩიხლაძე
გია თვალაბეიშვილი

ქართული სპორტი
ნიკოლოზ ნეფარიძე
პაატა თოთაძე
მერაბ მამულაშვილი
დავით ცაგაძე
ლევან ჯანეზაშვილი
გია ტუხაშვილი
დავით თავართქილაძე
ირაკლი თავაძე
ვაჟა სიმონიშვილი
ზვიად შათირიშვილი
კობა ხატისაშვილი
ბესიკ ჯანგავაძე

უცხოური სპორტი
შალვა ბიგილაშვილი
გოტფრიდ ლენცი
ილია ნიკოლაიშვილი
მერაბ ლორთქიფანიძე
დავით ჩუბინიძე
ზურაბ თალაკვაძე

რეგიონული კორესპონდენტები:
დავით კოხრეიძე, ვასილ ბალახაძე, მერაბ ბრძელიძე, მამუკა ქანთარია, ირაკლი დარცმელიძე, ნიკო ვაყელიშვილი

ფოტო
ალექსანდრე კოტორაშვილი
ნუგზარ სუარიძე

ტექნიკური რედაქტორი
მიხეილ ჯაში

ტექნიკური ჯგუფი:
მანანა აკიმოვა, მზია ელიზბარაშვილი, ხათუნა სამხარაძე, დავით გეგეჭკორი, დავით შალუტაშვილი, კობა გელაშვილი

კორექტურა
ლელა ხომასურიძე
ლევან ბიბილაშვილი

გავრცელების სამსახური და ფინანსური ჯგუფი:
დავით მაისურაძე (დირექტორის მოადგილე), გივი ვეშაპიძე, ქეთევან დიდბერიძე

მარკეტინგის სამსახური
თამარ ჯიშკარიანი (ტ: 46 34 48)
ბაქარ გაჩეჩილაძე (ტ: 899 91 87 17)

პირველი ნომერი გამოვიდა 1934 წლის 13 აპრილს თბილისში, სახელწოდებით "საქართველოს ფიზკულტურელი". 1936-39 წლებში ერქვა "ფიზკულტურელი", "ლელომდე" დაიბეჭდა 362 ნომერი. 1949 წლის 10 ივლისს გაზეთი აღადგინა მიხეილ კაკაბაძემ.

2006 წელს გაერთიანდა გაზეთ "სპორტთან".

სპორტი

გამოდიოდა 2002-06 წლებში.

ლელოს მთავარი რედაქტორები:
მიხეილ კაკაბაძე (1949-52, 64-76)
ერემო მახათაძე (1952-53)
ირაკლი უგულავა (1953-64)
ანზორ ბასილაია (1976-83)
არჩილ გოგელია (1984-85)
თენგიზ გაჩეჩილაძე (1985-დან)

პარტნიორი:
საქართველოს ოლიმპიური ფონდი

მისამართი
ახმეტელის 10ა,
0159 თბილისი
(დილომი, ახ. კინოსტუდია, პირველი სართული);
ტელეფონი: 46 30 98, 46 30 56, 46 32 62, 899 55 48 97 (მთ. რედაქტორი). 53-39-11
ფაქსი: +995. 32 46 30 97
e-mail: sporti@sporti.ge;
ინდექსი 66435 INDEX

გამოდის ყოველდღე, გარდა კვირისა